


N9 2016

185/4

1852



ამინდი პლოზა // ცხად // თარგმანი // არტი



2016/9

ყოველთვიური ლიცეიაფერული -
სამართლის ქურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

უურნალში გამოყენებულია
კარლო ფაჩულიას
ილუსტრაციები

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობუანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადლობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ქურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხატვაჭრით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

დათო მალრაძე კულტურა – მეცნური ნაკლი	3	გამოხსენება მიმოზა კვირკვია ბედისწერის გარდუვალობა და კათარზისი	62
პოეზია მანანა ჩიტიშვილი	8	დოკუმენტური პროზა მედეა ზაალიშვილი ცაში გამოკიდული სახლი	66
პროზა ლანა მანველი აილინი მოთხოვობა	16	თარგმანი ჰაინრიხ ჰაინე თარგმნები ზურაბ აბაშიძემ და სიმონ ჯაფარიძემ ვასილი შუკშინი	84
პოეზია დებიუტი თეონა ბითაძე	34	უცხონი თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა	87
პროზა გიორგი შერვაშიძე მოთხოვობები	37	ქართველი მხარეული სუსაზური ენაზე შორენა ლეპანიძე	93
პოეზია დებიუტი ნინო კაკაჩია	46	მანანა ანუა – ტყვეობის ასი დღე თარგმნა ირმა კინწურაშვილმა	
ინტერვიუ ადამიანურ ღირებულებათა ნანგრევებქვეშ	48	ერთოვენი ალინა ქადაგიშვილი	114
დაჩა მარაინის ესაუბრება ნუნუ გელაძე		კარლო ფარულიას გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში	
ესეისტის ნინო ქუთათელაძე აფხაზეთის მონატრება	56		

დათო მალრაძე

კულტურა – მეცნიერებები

საქართველო
წლევანდელი დამო-
უკიდებლობის დღე-
სასწაულს ევროსაბ-
ჭოს სრულუფლე-
ბიანი წევრი სახელ-
მწიფოს სტატუსით
ხვდება.

ჩვენი საზოგა-
დოების ვალია და-
ამტკიცოს, რომ სა-
ქართველო ისტორი-
ის შემთხვევითობამ
კი არ მიიყვანა ევ-
როპასთან, არამედ
იგი კულტურით,
ორიენტაციითა და
ტრადიციით ბუნებ-
რივ გარემოს დაუბრუნდა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ანუ
დემოკრატიულ სახელმწიფოში თავი-
სუფალი საზოგადოების ასაშენებლად,
როგორც სამართლებრივი თვალსაზრი-
სით სასამართლო რეფორმაა უპირვე-
ლესი, მორალის მხრივ, ასევე უმთავ-
რესია კულტურის რეფორმა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში კულტუ-
რის რეფორმის განხორციელება ძალ-
ზე რთულია, რადგან კონტრკულტურა,
რომელიც ჩვენში ათწლეულების მან-



ძლიზე უპირისპირდებოდა კულტურას,
ავანსცენიდან უმტკივნეულოდ არ ჩა-
დის და ბევრი მსახურიც ჰყავს საზო-
გადოებასა თუ ხელისუფლებაში.

XX საუკუნის ლიტერატურის ისტო-
რია და საერთოდ, ხელოვნების ისტო-
რია კონიუნქტურული დითირამბულო-
ბით მნიშვნელოვნადაა წარყვნილი და
გადაფასებას საჭიროებს. სულიერ მო-
ნაპოვრად შერაცხული ფსევდოხელოვ-
ნება და სიყალბის ნიაღვარი, როგორც
წესი, ჩქმალავს ჭეშმარიტ ღირებულე-
ბებს, რომელთა ღირსეულ წარმოჩენა-

საც ასე უფრთხის კონტრკულტურით გალაღებული უმეცრება.

ამოსაძირკვია ხელოვნების შეფასების სოცრეალისტური თეორია, რის დეკლარირებასაც ასე კატეგორიულად გაურბიან, იგი ერთი შეხედვით უარყოფილია, მაგრამ საზოგადოების ცნობიერებაში ფესვგადგმული.

აღნიშნული შეფასება-გადაფასების საშუალების ერთი რომელიმე უწყება თავს ვერ გაართმევს. ამისათვის საჭიროა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სწორი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებსა და საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პრობლემა, გააუმჯობესებს სულიერ-ზნეობრივ, ანუ კულტურულ ამინდს სახელმწიფოში.

სახელმწიფოს მხრიდან კულტურის ხელშეწყობა უპირველესად კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვით გამოიხატება.

შევეცდები, ორიოდე სიტყვით გამოვხატოთ საკუთარი პოზიცია საკითხებზე, რომლებიც, ჩემი ფიქრით, უპირველეს საზრუნავთა ზედაპირზეა.

კანონი კულტურის შესახებ უნდა არეგულირებდეს კულტურის მატერიალური ძეგლების დაცვას, მათზე ზრუნვას, რაც საზოგადოებამი ეროვნული საგანძურის ექსპონატების გატანა-არგატანასთან დაკავშირებით ატეხილ აუიოტას აგვაცდენდა, სადაც ორმხრივ შეძახილებში კვალიფიციური ხმა ჯერჯერობით სუსტად ისმის.

მიმართია, რომ ექსპოზიციას, ადგილზე თუ უცხოებში, წინ უნდა უსწრებდეს კონცეფცია, რაც თავიდათავია ნებისმიერი კულტურული აქციისათვის. კონცეფციას უნდა ერთვოდეს პროექტი, რომელშიც მკაფიოდ უნდა ჩანდეს, როგორც პროპაგანდისტული, ასევე კომერციული სარგებელი; ხოლო ხელშეკრულება სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს დაცვით მექანიზმს.

ვფიქრობ, წესად უნდა დადგინდეს

პროექტის ორგანიზატორების (ავტორების) მიერ პროექტის დაცვა პარლამენტის კულტურის კომიტეტის წინაშე, რომელიც მოიწვევს სპეციალისტებსა და მასმედინის წარმომადგენლებს.

ობიექტურ სირთულეთა დასაძლევად, მიმართია, რომ ისტორიულ სიძველეთა ქრისტიანული ნაწილის ექსპონირება უნდა ხდებოდეს საპატრიარქოს პატრონაჟით, როგორც მისიონერული აქტი.

წმინდა წერილიდან გამომდინარე, ეს ეკლესიის მსახურთა ერთგვარი ასპარეზიცაა. სხვაგვარად მოციქულებიც წმინდა ნაწილების მოფენისა და ქადაგების ნაციონალური საზღვრებით შემოიფარგლებოდნენ და უცხო ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში) არ პოვებდნენ, მით უფრო, მოწამებრივ აღსასრულს.

სახიფათოდ მეჩვენება საერო პირთაგან ეკლესიის მიმართ ნაციონალური მოტივის გამძაფრებისკენ მოწოდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ „...და შეიმოსეთ ახალი, რომელიც განახლდება შემცენებით, თანახმად მისი ხატისა, ვინც შექმნა იგი; სადაც არ არის ბერძენი და იუდეველი, წინდაცვეთილობა თუ წინდაუცვეთელობა, პარპაროსი, სკვითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველაფერი და ყველაფერში ქრისტე“ (პავლე მოციქულის ეპისტოლენი კოლაელთა მიმართ, თავი 2, მუხლი 10, 11).

არ არსებობს ქართული ქრისტიანობა.

არსებობს ქრისტიანობა საქართველოში.

კულტურულ მემკვიდრეობასთან მხოლოდ გენეტიკური კავშირი არანაირი თავმომწონეობის და საზოგადო მოლვანეობის საფუძველს არ იძლევა. მასზე ზრუნვის წადილი და უფლება მხოლოდ მაშინ ჩინდება და მიღლწევა, როცა პიროვნება თანაზიარია კულტურისა, რისთვისაც თავდადებულია. ასეთ დროს იბადება დიდი პასუხისმგებლობა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ასევე საკუთარი თავის წინაშე და ამით შეიცნობა კაცი, ვისაც ნება აქვს მონაწილეობდეს

ქვეყნის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში. ვფიქრობ, უკულტურობაა ის, რომ დღეს საქართველოს ხაზინა გაცილებით მეტს ხარჯავს „ახლის“ შესაქმნელად, ვიდრე კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

მონუმენტური ხელოვნების პროპაგანდისტული ტენდენცია განვითარებული ქვეყნის ფუფუნებაა და არა წაცევული ხაზინის მქონე ქვეყნის პრიორიტეტი.

რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა არ შეწყდეს ხელოვნების ძვირად ღირებული დარგების ტრადიცია, მაგრამ ეს უნდა ხორციელდებოდეს უმკაცრესი კონკურენციის პირობებში და კონკურენცია, როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძველი, უნდა იქცეს საყველთაოდ, ანუ კვალიფიციური უიურის წინაშე სასტარტო ვითარება ყველა პრეტენდენტისათვის თანაბარი უნდა იყოს.

მეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ურჩევნია, გმირების ღვანლის წინაშე მათ ქანდაკებებთან რიტუალური „პატივით“ მოიხადოს მოვალეობა, რომ ამით ნამდვილი პასუხისმგებლობისგან გაითავისუფლოს თავი.

ვფიქრობ, პარლამენტის კულტურის კომიტეტმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს დედაქალაქის ისტორიული ნაწილის კორექტირებული პროექტი (სართულიანობა, სიმაღლე, გეგმარებითი სტრუქტურა, მასშტაბი...) და დადგენილ ფარგლებში აგრესიული, გრანდიოზული ქალაქთმშენებლობის შეზღუდვები დააკანონოს.

სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს წარსულს სახელოვნებო სამყაროში საპჭოური რეუიმით ნაკარნახევი ხელისუფლებისგან ხელდასხმული „ხევისბერების“ ინსტიტუტი. ხევისბერობა თემური წყობილების სიმბოლოა და არა დემოკრატიული საზოგადოების ატრიბუტი.

გადასახედია ხელოვნების ქრესტო მათია.

მასკულტურა, როგორც ხელოვნების სუროგატი, ახალი კომუნიკაციის საშუალებებით სტიქიურად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში იყიდებს ფეხს, მაგრამ სახელმწიფო მოვალეა შეძლებისადაგვარად არეგულიროს ეს პროცესი არა მდარე პროდუქციის ტირაჟირების აკრძალვით, არამედ ნამდვილი ღირებულების შენარჩუნება-ხელშეწყობით. ამ პროცესების რეგულირება (დაბეგვრის მექანიზმი და ა. შ.) კულტურაში სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედია. ეს საკითხიც კანონით უნდა წესრიგდებოდეს.

თანამედროვე ეტაპზე ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ მიმართია საქართველოს სახელმწიფო ნიშნების აღდგენა.

ჩვენი ინიციატივა ჰერალდიკის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის თაობაზე (კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება, 1994 წ.) ერთადერთ მიზანს ისახავდა – საქართველოს დავუბრუნოთ სახელმწიფო დროშა და გერბი.

ჩვენს ქვეყანას, ევროპაში ერთ-ერთ უძველესს, უნდა ჰქონოდა და აქვს კიდეც სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი ატრიბუტიკა: სახელწოდება – საქართველოს დროშა – გორგასლიან-დავითიანი; გერბი – კვართიან-დავითიანი.

უფრველად მოსათოება საქართველოს ისტორიის ყოველ მოსახვევზე ქვეყნისათვის ახალ-ახალი სახელმწიფო ნიშნების თხზვის ენთუზიაზმი. ამას გაუგებრობისა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაკნინების გარდა არაფერი მოაქვს.

ისტორიული ნიშნების იგნორირება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის იგნორირებაა.

ჩვენს პარლამენტს აქვს პატივი, უფლება და საშუალება, მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, დაუბრუნოს ქვეყანას ისტორიული სახელმწიფო ნიშნები (დროშა, გერბი).

ზოგი მეცნიერისა თუ პოლიტიკოსის ეჭვი ქართული ისტორიული დროშის,

გერბის სინატიფისა და სემანტიკის შესახებ, ვფიქრობ, უსაფუძვლოა.

ტაროვსკის დადასტურებული ვარაუდი აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მიგნებამ უეჭველი გახადა – საქართველოს დროშის სახე დადგენილია. ეჭვს არ იწვევს საქართველოს გერბის სახეც.

საქართველოს სახელმწიფო დროშისა და გერბის აღდგენა არის უტყუარი გარანტია ისტორიული ტრადიციისა – დაცულ იქნეს ნებისმიერი აღმსარებლობის ყველა მოქალაქის უზენაესი უფლება.

მხოლოდ კანონის მიღების შემდეგ უნდა გამოცხადდეს კონკურსი კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ნიშნების მხატვრულ ინტერპრეტაციაზე დამტკიცებული აღნერილობის მკაცრი დაცვით.

საზოგადოდ, ტრადიციების შენარჩუნება ერის კულტურაზე მეტყველებს. „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა!“ – ჯოყოლა ალხასტას ძეს ათემევინებს ვაჟა-ფშაველა და საერო კანონზე (სისხლის აღება) ერთი ფრთის დაქნევით მაღლა აყენებს ზეკაცურ კოდექსს. ამით მწერალი სტუმარმასპინძლობის ჩვენებურ ტრადიციას ზნეობის უმაღლეს გამოხატულებად გვიხატავს.

ჯეიმს ჯონისის „დუბლინელების“ ერთერთი პერსონაჟი, გაბრიელი ამბობს: „ალპათ, ზოგი მიკიუნებს და მეტყვის, ეგ ტრადიცია (სტუმარმასპინძლობა) ჩვენი ნაკლი უფროა, ვიდრე თავმოსაწონებელი ამბავიო. დაე, ასე იყოს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს გახლავთ ჭეშმარიტად მეფური ნაკლი“.

ეს მაგალითები მისთვის მოვიხმეთ, რათა კიდევ ერთხელ მივაპყროთ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მასზედ, რომ ევროპული კულტურა უმთავრესად ერთი ფესვითაა ნასაზრდოები და ტრადიციების შენარჩუნებით ხასიათდება.

რაც შეეხება დღესასწაულებს, საქართველოს, როგორც უძველესი კულ-

ტურის ქვეყანას, აქვს თავისი საეკლესიო და საერო დღესასწაულები. ამ გზაზე ხელისუფლების თუ კერძო პირების მხრიდან თვითშემოქმედება მეტად სახითათოა.

მარიამობის პარალელურად დედის დღის დაწესება არასწორია, ან მწყემსის დღის აღნიშვნა ლაშარობის საპირნონედ. ხშირად ამგვარი ინიციატივები გათავისებული ათეიზმითაა ნასაზრდოები და შეფარვით ჭეშმარიტ სარწმუნოებას უპირისპირდება.

მშვიდობიანი კავკასიის მისაღწევად, რომელსაც ყველა მოაზროვნე კავკასიელი ესწრაფვის, კავკასიის ხალხთა მეგობრობის დღე კი არ უნდა გამოვიგონოთ, არამედ „ალავერდობის“ დღე-სასწაულს შევუერთდეთ, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა აღმსარებლობის კავკასიელები ერთად აღნიშნავენ.

ვკადნიერდები და საქართველოს ხელისუფლებას ვთავაზობ, წესად აქციოს „ალავერდობაზე“ კავკასიის სახელმწიფოთა ლიდერების მოწვევა.

„ალავერდობა“ მართლაც შეიძლება იქცეს მშვიდობიანი კავკასიის სიმბოლოდ.

ენის დღესთან დაკავშირებით მინდა აღვინიშნო, რომ ქართული ენის დღე, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გვარნახობს (საქართველოს ეკლესიის კალენდარი), ლაზარეს შაბათს უნდა ალინიშნებოდეს, თოთხმეტი აპრილით კი იქნებ სათავე დავუდოთ ქართული ენის ფესტივალს, სადაც სახალხო მთქმელებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალი პოეტები, პედაგოგები, არტისტები, ფოლკლორული ანსამბლები და ა. შ. რაც შეეხება ძეგლს, კარგა ხანია, რაც იაკობ გოგებაშვილმა თავისი „დედა ენით“ სამუდამო ძეგლი აუგო ქართულ ენას.

მშობლიური ენით, კულტურით ალტაცებისაგან გულყრა სრულიად უადგილოა. ქართულ ენაზე, ისევე როგორც ქართულ კულტურაზე, ზრუნვაა

საჭირო და სახელმწიფო პოლიტიკის
სწორად წარმართვა, რათა როცა მოა-

წევს უამი, გვითხრას მაცხოვარმა:

– ლაზარე, გამოვედ გარე!

P.S. საკუთარი სასახლეებიდან კულ-
ტურის ჭირისუფლის მანტიით შემოსილ
ხელოვნების მსახურთა გახშირებული
მოწოდებანი ბიზნესმენთა და ხელისუფ-
ლების მიმართ ხელოვანთა ყოფითი პი-
რობების გაუმჯობესებისკენ, შეურაც-
ხყოფს მათ, ვისაც ხელოვანის მთავარ

თვისებად ღირსება მიუჩნევია და მათი
ძალისხმევა ბრძოლაში არც ბიზნესმენ-
თა და არც ხელისუფალთა შემნეობებს
არ გულისხმობს. ამიტომ ვთხოვ ყვე-
ლას, როცა ჩვეულ ამპლუაში პირადი
კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად
საქმიანი წრეების თუ ხელისუფლების
წარმომადგენლებს მიმართავენ, საკუ-
თარი გვარ-სახელით ისაუბრონ. სხვაგ-
ვარად, ღირსება, რომელიც ტალანტს
ახარებს, ფერმკრთალდება.





მანანა ჩიტიშვილი

მაძილი შენამდე

ჩემს გზაზე, ვარდს რომ უნდა ეხარა,
შემომასიეს შავი ჭილყვავი,
წინ გადამიდგა მთელი ქვეყანა,
შენამდე რომ არ მოვსულიყავი.

ვერ დაგემდურე წრფელს და სახიერს,
შორი მზერაც კი რომ არ შემახე,
ჭორების ისეთ ცეცხლში გამხვიეს,
რომ ვერასოდეს ვერ დაგენახე.

დღეს მხოლოდ სევდით და დანანებით
ვიხსენებ წარსულს ნაწილ-ნაწილად,
ან იღბალს ასე როგორ დავნებდი,
ან ბედმა ასე როგორ გამწირა.

რომ გზად, სად ვარდებს უნდა ეხარა,
შემომასიეს შავი ჭილყვავი,
წინ გადამიდგა მთელი ქვეყანა,
შენამდე რომ არ მოვსულიყავი.

ზარები რეპენ

გესმის, განგაშის ზარები რეკენ
და გმინვა ისმის ცხმორით თუ ამღით,
ალგეთი თუ კვლავ არ დაზრდის ლეკვებს,
უიმლეკვებოდ სიცოცხლე არ ღირს.

აქ მთებს სხვაგვარი სიცივე თოშავს,
სხვაგვარად ისმის ხევების კვნესა,

ქართლში თუ ქართულს ვერ გაშლი დროშას,
როგორ დაარქმევ იმ მინას შენსას.

უცხო სჭვრეტს ახლა ოხირის ჩანჩქარს
და ლარგვისს, უნინ მომხდურის შემტევს,
უქართველებოდ ქსნის ხევი დარჩა,
უქართველებო მამული ჩემს მტერს.

გესმის, განგაშის ზარები რეკენ
და გმინვა ისმის ცხმორით თუ ამღით,
ალგეთზე თუკი ვერ დავზრდით ლეკვებს,
უიმლეკვებოდ სიცოცხლე არ ღირს.

„ალუდა შეთელაურის“ დასრულების შემდეგ

გზას მოსდევდა არაგვიანს
მაჯის შემტყობარი მთისა,
მოჰყვებოდა ჩუმი გმინვა
მუცალის და მისი ძმისა.
შეცნობილი ჰქონდა მისხლით
სიბრძნე წუთისოფლის გზისა,
ანგელოზნი პირჯვარს სწერდნენ,
მადლი დასდიოდა ლვთისა.
არვინ ჰგავდა ხორციელი,
არცა თვითონ ჰგავდა ვისა,
უხდებოდა სახელიანს
კარგ ყმად დატირება მტრისა,
მამულს კვართად გადააცვა
ჯავრი ქეთელაურისა.



ცაზე გადადის ლრუბელი ლეგა,
თითქოს ვეება მთები იძვრიან,
ჩემი ყოველი სტრიქონი მე მგავს,
შენც იგივე თქვა, თუ შეგიძლია?

მე ქართლის ყველა მტკაველი ვკოცნე,
ვინ დამიძრახავს სურვილს უცოდველს,
მამულო, შენთვის ალვლენილ ლოცვებს,
შემინდე, თუკი ლექსი ვუწოდე.

მუხრანის ბოლოს

ქარი ქრის მუხრანის ბოლოს,
ისმის შრიალი მუხათა,
ხორცი სთხოვეს და აჭმია,
პურ-ღვინოზედაც უხათრა.
მერმე იძალა ყივჩალმა,
წერას თუ ჰგავდა ატანილს,
ორად ნაპობი დაასკდა
მიწას შავქვიშანაჭამი.
ისე ნუ მომკლავ, უფალო,
მტერს რომ მამული ეჭიროს,
ერთი ვერ დავკრა ყივჩალსა,
ქვიშა ვერ გავაღეჭინო.

მე ისევ მახსოვს

გახუნდა ყრმობის კაბა-ჯუბანი,
დამძიმდა გული ქართან კამათით,
მე ისევ მახსოვს შენი უბანი,
შენი ჭიშკარი და მისამართი.

მახსოვს ქალები გამკილავ მზერით,
კართან რა ტბორი მედგა ჭორების,
როგორ დააკლდა სამყაროს ფერი
შენი უარით და განშორებით.

და ახლა, დრომ რომ დამკრა ნესტარი,
მზემ რომ დაისის შუქი მომფინა,
ახლაღა ვწუხვარ, რომ არც ნესტანი,
არც თინათინი არა ვყოფილვარ.

ღიმილიც ყოვნის

აბრუნებს უამი საწუთროს მორევს,
აჰყევი, ვიდრე გული დაუნჯდა,
ძნელი ცუდ ლექსთა თხზვა არის, თორემ,
კარგი ლექსების წერას რა უნდა.

მზე ჩამავალი გადივლის გორებს,
მიჰყება ჩუმი შრიალი ფოთლის...
სიძულვილს უნდა მიზეზი, თორემ,
სიყვარულს ერთი ღიმილიც ყოფნის.

დიორდა ქამი

ვიცი, დღეის დღე რასაც მიქადის
ან ქარში რაზე კვნესის ყველა ხე,
მე ვიგონებდი, ვითომ გიყვარდი,
ხსოვნას რომ დიდხანს შემოენახე.

გამკრთალდა ჩემი გადმოსახედი,
ვიცი, ჩემს გზაზე მალე ითოვებს...
მშვენივრად მახსოვს, ისე წახვედი,
ნუგეშად სიტყვაც არ დამიტოვე.

დრო კი მავლებდა წლების ლაპიერს,
სიბრძნის ასაკიც მოდგა უცები,
დიოდა უამი და შენ მაგიერ
ლექსებს ჩემს თავს მე თვითონ ვუწერდი.

ვიცი, დღეის დღე რასაც მიქადის,
ზოგჯერ გულივით ტყდება მინაც ხომ
და მე ვიგონებ, ვითომ გიყვარდი,
ხსოვნამ რომ დიდხანს შემოგინახოს.

დრო

კლდეცა და ქვა ანდამატიც
დროისგან ყველა იძლია,
არ გამოგივა კამათი,
არც ბრძოლა არ შეგიძლია.

ნუ იტყვი, ნისლებრ ვბოლავდი,
ფიქრი არ მქონდა ჟამისა,
მკლავი გასცვითა ფოლადი,
მახვილიც – ხორასანისა.

ცხრა ციხის ლიბო დამიხრავს,
მეცხრე ცას ვიყავ მთეველი,
განა რა ამირანი ხარ,
ჟამო, რა მოურევნელი.

შემუსრე მინდვრის ხალიჩა,
ყოვლს აცამტვერებ ნებისად,
ვერც ჯაჭვის კაბა გადგირჩა,
ვერცა – გვირგვინი მეფისა.

ერთ დროს კლდეს ვგავდი ფრიალოს,

ვიშატილ-მოვიარლუნე,
შუა გამტეხე, ტიალო,
რაკი ვერაფრით გამლუნე.

კლდეცა და ქვა ანდამატიც
დროისგან ყველა იძლია,
არ გამოგივა კამათი,
არც ბრძოლა არ შეგიძლია.



მამულო,
უამი გიდგას ხენეში,
არც ქომაგი ჩანს
შენი სიმართლის...
ბედნიერი ვარ,
თუ შენს კედელში
ერთ მცირე კენჭად
მაინც მიმათვლი.

იშლება ლურჯად
ზეცის მარმაში,
ყვავილობს ნატვრა,
როგორც გულის ხე,
ქართული სიტყვის
საღმრთო ტაძარში
თუ ერთ მლოცველად
მეც მიგულისხმე.

გზები

მზე იწვის რაღაც უცნაურ გზნებით,
სიცხე ათრთოლებს მჭვირვალე ეთერს,
ჩვენ ავირჩიეთ ისეთი გზები,
რომლებიც ერთურთს არასდროს კვეთენ.

თუმცა საწუთრო ბევრგვარად ვზომე,
ვერ ავერიდე ზამთრის ამინდებს,
ძველ მოგონებებს, ვით მშიერ ლომებს,
შორიდან ვუვლი და თავს ვარიდებ.

გათავდა, მორჩა, ჩემთვის დასრულდა...
სუყველა ხსოვნა ქარმა შეკონა,
მე დავამთავრე ომი წარსულთან,
დღემდე რომ უსასრულო მეგონა.
მაშ, რადლა მტკივა განგების ნება, –

რომ ჩვენ წინ ყველა კარი დაკეტეს
და რომ ჩვენ მიერ ნარჩევმა გზებმა
ერთურთი არსად არ გადაკვეთეს.

სანამ დროა

ქართულ მიწას ნაწილ-ნაწილ
ვაძლევთ უცხოს, ჩინ-მაჩინელს,
მოყვარისა რა გითხრათ და
მჭერი მრავლად გავიჩინეთ.

უშფოთველი ძილით გვძინავს,
თუმც დრო შფოთიანად მიდის,
მჯობნი იუდაზე რით ვართ –
უფლის სადარ მამულს ვყიდით.

სულით ბევრჯერ წაწყმედილებს
ცოდვის გვიჩხრიალებს ვერცხლი,
ვერ შევიგნეთ, რომ მერმისი
მოდის მახვილით და ცეცხლით.

ნუ ჰეგონია ავს და მპარავს,
მისი დრო და ამინდია,
აღვიგვებით მიწის პირით,
ვით ქალდეა ან მიდია.

იქნებ ჯერაც უფლის ნებით
წინ სხვაგვარი ბედი გვიძევს,
გამოფხიზლდი, შემოგტირი,
სანამ დროა, გაილვიძე!

ვერ ვთქვი

თუ დაუღლიხარ მხოლოდ მოლოდინს,
გული რომ ბორგავს ფეთქვით,
რისი თქმაც გსურდა,
 თუ თქვი ბოლომდის?
მე, მაგალითად, ვერ ვთქვი.
ვის გავუთენდით,
 ვის დავუდამდით,
ვისკენ გავლიერ შარა,
შენ ვინც გიყვარდა,
 მას თუ უყვარდი?
მე, მაგალითად – არა!

შენი უარი

გაუცვდა ფერი ზედაზნის სერებს,
გაღმა ჩანს შინდი წითლად მღუარი,
ჩემი მღელვარე განდობის მერე
რა მნარე იყო შენი უარი.

გახსოვს, თიბავდნენ თრიმლიან ფერდობს,
ცელი რანაირ უინით შხიოდა,
შენთან ყოველი შეხვედრის შემდგომ
ჩემთვის მზე ახლად ამოდიოდა.

შენ გთვლიდი მაინც სულის ზიარად,
თუმც არ უჩანდა ბოლო მოლოდინს
და მე მიწაზე თითქოს კი არა,
შენგან დანთებულ ცეცხლში ვცხოვრობდი.

ეს დღე იმ დღეებს არ ჰგავს სრულებით,
დავრჩი სურვილთა ღარიბ ფიცრულთან...
გახუნდნენ ჩემი გაზაფხულები,
ჩემი ვარდებიც ჩამოიფურცლა.

გიშრის თვალებით მიმზერს კუნელი,
ღმერთო, საწუთო რამდენს მედავა...
ლექსს მაინც შერჩა ძველი სურნელი,
ამდენი წლების მიუხედავად.

დღეს ჩემი ლექსი ამგვარი თუა,
თუ წარსულ დღეთა ალმური ახლავს,
იმ დროს შენს ნათქვამ უმწარეს უარს,
ო, რა მადლობით ვიხსენებ ახლა.

ჩემი მზეც ჩადის

ჩემი მზეც ჩადის,
ცისკიდურზე ჩნდება ხანძარი,
ბინდბუნდში მთათა მწვერვალები
ყინულს ალხობენ...
გახსოვს, გულიდან
სტრიქონების რა სპა დავძარი
და მზე მამულის
ოდნავაც ვერ მივიახლოვე.

წუხელ თურქული მახვილივით
მთვარე ეკიდა,
ღრუბლის კოშკები
ქარებმა რა უინით არბიეს,
ამოამზევეთ
ფირუზები ზარდახშებიდან
და ჩემს სარეცელს
ლურჯ ცრემლებად მიმოაბნიეთ.

აღარ ყვავილობს ძველებურად
ჩემს კართან ნუში,
ალუვსებელი სურვილების
ჯამი იცლება
და სიყვარული,
სახადივით რომ მჭირდა გულში,
ის სიყვარულიც
ჩემთან ერთად გარდაიცვლება.

შენ ნუ გაშინებს,
თუ ამ გზიდან ვერ დავბრუნდები,
ხომ არის ჟამი ალვსების და
ჟამი გაცვეთის,
გაფანტეთ ქარში
ლალები და იაგუნდები,
წამ სიცოცხლეზე არ იცვლება
რადგან არც ერთი.

ჩადის ჩემი მზეც,
ცისკიდურზე ჩნდება ხანძარი,
ბინდპუნდში მთათა მწვერვალები
ყინულს ალხობენ...
გახსოვს, გულიდან
სტრიქონების რა სპა დავძარი
და მზე მამულის
ოდნავაც ვერ მივიახლოვე.



ლანა მანველი

აილინი

აილინი შინ გვიან დაბრუნდა. თანა-
მედროვე ხელოვნების გალერეაში, სა-
დაც ის მუშაობდა, იმ დღეს მხატვარ
ქორაი ერდემირის პერსონალური გა-
მოფენა გაიხსნა. სტუმრების მიღება და
ნახატებთან დაკავშირებულ კითხვებზე
პასუხების გაცემა მას ეკისრებოდა. გა-
მოფენამ მშვენივრად ჩაიარა და შვიდი
ტილოც გაიყიდა.

დამთვალიერებლებიც ნასიამოვნები
დარჩენენ და მხატვარიც.

...აილინმა ხელ-პირი დაიბანა და
ოთახში შევიდა; სიბნელეში ფეხი სის-
ველები ჩადგა; მაშინვე სინათლე აანთო
– როგორც ჩანს, კატებს ისევ ეჩეუბათ
და წყლის დასალევი ჭურჭელი გადა-
ეყირავებინათ. ქალმა გაპრაზებულმა
დაარტყა ფეხი სველ იატაკს და ტილოს
მოსატანად სააბაზანოში გავიდა...

ცოტა ხანში მოშინაურებული და
აბაზანამიღებული აილინი, რბილ სა-
ვარძელში მოკალათებული, ცხელ, ქა-
ფიან ყავას სვამდა და მთელი დღის
განმავლობაში მომხდარ ამბებზე ფიქ-
რობდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ –
ქორაი ერდემირზე... ყავის ფინჯანი პა-
ტარა მაგიდაზე დადგა, კომოდის ზედა
უჯრა გამოალო და იქიდან ცელოფანში

შეფუტული შავი ფერის, შვინდისფერი
ლენტებით გაწყობილი მამაკაცის პიჟა-
მა ამოილო. ქსოვილს ხელი გადაუსვა
და გულის ჯიბეში მოთავსებული სუ-
რათების პატარა შეკვრით ხელში ისევ
სავარძელში ჩაჯდა. სულ ზევით ქო-
რაი ერდემირის ახალგაზრდობაში გა-
დაღებული სურათი იდო. შესანიშნავი
გარეგნობის ახალგაზრდა კაცი დამატ-
ყველებლად იცინოდა. უნაკლო თეთ-
რი კბილები და ბრწყინვალე შავი თმა
ჰქონდა. აილინმა სურათი ტუჩებთან
მიიტანა, მერე ნელ-ნელა ჩააცურა და
გულთან მიიკრა. სევდანარევი ტკივი-
ლით მოეწურა გული და თვალის კუთ-
ხეში ცრემლი გაუჩნდა. ერთი ხელით ის
სურათი ეჭირა გულთან, მეორეთი კი
დანარჩენი ფოტოები გადაეშალა მარა-
ოსავით.

შავ-თეთრი ფოტოდან სკოლის ფორ-
მიანი, გრძელნაწნავიანი ექვსიოდე წლის
გამხდარი გოგონა შემოჰყურებდა. სუ-
რათს ბავშვური ხელით – „თმა ისე მაქვს
როგორც დედა მიკეთებდა ამერიკაში“
– ეწერა.

მეორე ფოტოზე ორმოცდაათი წელს
გადაცილებულ, მაღალ, მხარბეჭიან მა-
მაკაცს პატარა აილინის ხელი ჩაებლუ-
ჯა და ამერიკის საელჩოს ნინ ფოტოგ-
რაფს ულიმოდა. ფოტოს – „პაპამ რომ
ნამიყვანა გვარის გამოსაცვლელად“ –
ეწერა...

I ნაწილი

არზუ ამერკის ქალაქ ნიუ-ორლეანში რომ ჩამოვიდა 25 წლისა იყო. მანამდე თურქეთში ერთ-ერთ ჯაზ-ანსამბლში მღეროდა. ფირფიტაც ჰქონდათ გამოშვებული, მაგრამ იფიქრა, რომ აზრი არ ჰქონდა სტამბულში მის მუსიკალურ მოღვაწეობას. ხალხი უფრო პოპულარულ სიმღერებს უსმენდა და ამიტომაც იყო, რომ ამერიკაში დასახლება გადაწყვიტა.

ნიუ-ორლეანი წყნარი ქალაქი აღმოჩნდა, სადაც ბევრი მუსიკოსი ცხოვრობდა, ყველგან ცოცხალ მუსიკას უკრავდნენ. მუსიკალური ფესტივალებიც ხშირად ტარდებოდა.

არზუმ ამ მხიარულ ქალაქში თავი კარგად იგრძნო. რამდენიმე დღე სასტუმროში გაატარა, მერე კი ხმის ჩამნერ სტუდიას მიაშურა, რომლის მისამართიც მუსიკალურ ფირმა „ეროლ შაჰინის“ მეპატრონემ მისცა. სტუდიაში გულთბილად მიიღეს. არზუმ ინგლისური ენა კარგად იცოდა, თურქეთში ამერიკული კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, ამიტომაც კონტაქტი არ გასჭირვებია.

სტუდიაში მისი შესრულების სტილს მოუსმინეს, რამდენიმე სატელეფონო საუბრის შემდეგ კი აცნობეს, რომ საკმაოდ მოზრდილ ბარ „Jonson and Spanser“-ში იმ დღესვე შეეძლო დაეწყო რეპეტიციები ჯგუფთან „Middle Night“, რომელიც ახალ სოლისტს ეძებდა.

არზუ ჯგუფის ხელმძღვანელმა, ტომ პარკერმა მიიღო, რომელიც იმავდროულად საქსოფონზეც უკრავდა. ჯგუფის დანარჩენ წევრებთან გაცნობისა და მცირე გასაუბრების შემდეგ რეპეტიცია დაიწყეს...

ერთ კვირაში ტომმა არზუ სასტუმროდან პატარა პანსიონში გადაიყვანა. ყველაფერი რომ დაღაგდა, სტამბოლში მშობლებს დაურეკა და თავისი მდგომარეობა გააცნო.

ტომი და არზუ დამეგობრდნენ. ტომი ვაშინგტონიდან იყო. არზუსავით

ისიც მუსიკის სიყვარულს ჩამოეყვანა ნიუ-ორლეანში. მხიარულმა და ვაჟკაცური გარეგნობის ახალგაზრდამ არზუ მალე მოხიბლა. ცოტა ხანში ტომიც პანსიონში გადაბარგდა და ერთად ცხოვრება დაიწყეს.

სწორედ ამ ურთიერთობის ნაყოფი იყო აილინი.

ფეხმძიმობის პირველ თვეებში არზუ ისევ განაგრძო ჯგუფში სიმღერას. ბოლო თვეებში კი ფეხები უსივდებოდა და ხმაურიანი მუსიკაც ანუსებდა, მალე იღლებოდა. ჯგუფს ახალი სოლისტი ესაჭიროებოდა. არზუ წერვიულობდა, ტომი ამშვიდებდა – ჰპირდებოდა, რომ სხვა სოლისტი მხოლოდ მისი ძველი ფორმის დაბრუნებამდე იმდერებდა.

...არზუმ ზაფხულის ცხელ დღეს დღეს იმშობიარა. ჯგუფის წევრებმა და ამხანაგებმა ბავშვისთვის საჭირო ტანსაცმელი და საქანაო საწოლი საჩუქრად მიუტანეს.

თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ შემდეგ, რამდენადაც ქალი უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა შვილის მიმართ, იმდენად უპასუხისმგებლო იყო კაცი. ღამით ბარში უკრავდა ჯგუფთან ერთად, მაგრამ დღისითაც იშვიათად მიდიოდ შინ. რამდენჯერ წასულა არზუ პატარა აილინით ხელში მის საძებნელად.

ბოლოს გაიგო, რომ თურმე ტომი ჯგუფის ახალ სოლისტთან სასიყვარულო რომანით ერთობოდა და მასთან ცხოვრობდა. იმ ხანებში აილინი უკვე ცხრა თვის იყო.

არზუ საშინელ დეპრესიაში ჩავარდა. ბავშვი რომ არ ჰყოლოდა საპატრონებელი, ალბათ გაგიჟდებოდა. ერთ ხანს თურქეთში დაბრუნება დააპირა, მაგრამ ვერ გაძედა. მისმა მშობლებმა აილინის არსებობა არც იცოდნენ, თანაც მუსიკალური საზოგადოების მოერიდა. ათას რამეს იტყოდნენ, გაზეთები მის შესახებ სტატიებს დაბეჭდავლნენ სენსაციური სათაურებით.

ყველაფერ ამას ისედაც განადგურებული ქალი ვერ გაუძლებდა და ამიტომაც, როდესაც ცოტა მოღონიერდა, ახალ ცხოვრებაზე დაიწყო ფიქრი.

შემოსავალი უკვე არსაიდან აღარ ჰქონდა. მართალია, აილინის გვარი პარკერი იყო და შეეძლო ტომისგან ალიმენტი მოეთხოვა, მაგრამ იმდენად იყო განაწყენებული, გადაწყვიტა, ბავშვი მამის დაუხმარებლად გაეზარდა და მისთვის არც არასოდეს ეჩვენებინა.

ერთ საღამოს ძველი ტანსაცმლიდან შესაფერისი სამოსი შეარჩია, ცოტა მაკიაჟიც გაიკეთა, აილინისგან თავისი ჩანთა გამოითხოვა, რომლითაც კარგახანი იყო უკვე ბავშვი თამაშობდა. შვილი მეზობელ შინაბერას დიდი რუდუნებით მიაბარა და სამსახურის საშოვნელად გასწია.

ახალი ნაწვიმი იყო. ნიავიც ქროდა. ჰაერი დაწმენდილიყო. ქალს სიამოვნებდა სველ ასფალტზე სიარული. მთელი არსებით გრძნობდა, რომ ბედმა ამ ქალაქში ჩამოიყვანა და ბოლოსაც აქ მოულებდა. პატარა აილინზე ფიქრობდა – ისეთი უმანკო და უსუსური იყო, არზუს თვალები აუწყლიანდა.

...ზედიზედ რამდენიმე ბარს მიაკითხა, მაგრამ იქ სოლისტი არ სჭირდებოდათ. ბოლოს ახლად გახსნილ ღამის კლუბ „Blues and Jazz“-ში შევიდა. დამლაგებლებს სკამები მაგიდებზე შემოეწყოთ და მოზაიკურ იატაკს რკინის ჯოხებზე დამაგრებული ნაჭრებით წმენდნენ. მეპატრონე იკითხა. ორი შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი მიუახლოვდა, ერთ-ერთმა მისვლის მიზეზი ჰკითხა. ქალმა პასუხი გასცა. ცოტა ხნით მოცდა ურჩიეს და კარს იქით გაუჩინარდნენ.

რამდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ კიბით ზედა სართულზე აიყვანეს. არზუ, მწვანე ტყავგადაკრული კარის წინ იდგა. გამბედაობა მოიკრიბა და შეაღია. გემოვნებით მოწყობილ ოფისში აღმოჩნდა. გული საშინლად უცემდა. იმდე-

ნად იყო აფორიაქებული, რომ უცბად ვერც კი შეამჩნია ფანჯარასთან მდგომი დაბალი, ჩასუქებული კაცი, რომელიც გამელოტებულ თავზე ისვამდა ხელს. კლუბის მეპატრონე ებრაელი აღმოჩნდა.

– ისააკ გარიპი!

– არზუ გულთექინი!

მცირედი საუბრის შემდეგ ბ-ნმა ისააკმა სტუმარს სასმელი შესთავაზა. ქალმა იუარა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ბავშვი არ უხსენებია, აუხსნა, რომ აუცილებლად სჭირდებოდა სამუშაო.

კლუბში სოლისტი არ სჭირდებოდათ, მაგრამ კეთილმა ებრაელმა გამონაკლისი დაუშვა და არზუს კვირაში სამ დღეს, ღამის პირველი საათიდან საათ-ნახევრის განმავლობაში პროგრამის მომზადება შესთავაზა ადგილობრივ ჯგუფთან ერთად.

კლუბის მეპატრონის – ისააკ გარიპის ეს კეთილშობილური საქციელი იქნებ იმანაც განაპირობა, რომ მის პაპას თავის დროზე სავაჭრო ურთიერთობები ჰქონია ოსმალობთან.

რაც შეეხება ანაზღაურებას – მსმენელის რაოდენობის მიხედვით დაუწესებდნენ ხელფასს.

მუშაობის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში თუკი ორივე მხარე კმაყოფილი იქნებოდა, მხოლოდ მაშინ გააფორმებდნენ კონტრაქტს. არზუ დროებით დაემშვიდობა ახალ პატრონს, საღამოს ისევ უნდა მისულიყო, რათა ჯგუფს გასცნობოდა.

პანსიონისკენ მიმავალ გზაზე გამუდმებით აილინზე ფიქრობდა. მისი მუშაობის დროს ბავშვს მომვლელი სჭირდებოდა. წეტა, თუ დათანხმდებოდა მეზობელი შინაბერა ქალი ბავშვის ძიძობაზე?!

ან ფულს რამდენს მოითხოვდა?! იცოდა, პანსიონის გადასახადს, აილინის და საკუთარ ხარჯებს მხოლოდ სამი დღის ხელფასი არ ეყოფოდა. შეთავსებით სხვა სამსახურიც უნდა მოეძებნა.

...საღამომდე ბავშვის მოვლაში

იყო. პატარა აილინი თითქოს გრძნობდა, რომ ამიერიდან დედასთან მთელ დღეს ველარ იქნებოდა და გვერდიდან არ სცილდებოდა. ფეხდაფეს დასდევდა სათამაშოებით ხელში. არზუ სადაც გაჩერდებოდა, ისიც იქვე ჩამოჯდებოდა და თამაშობდა.

ქალი სახელმწიფოსგან პენსიას იღებდა და იმით გაპქონდა თავი. არზუმ აილინის მოვლა შესთავაზა.

ბეჭი, სამოც წელს მიახლოებული, გამხდარი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირით და ჭრელი თვალებით არცთუ სასიამოვნო ძინის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ კეთილი ბუნების იყო და არზუც აილინის მოვლას მხოლოდ ამას ანდობდა. თუმცა უნდა ითქვას რომ სხვა არჩევანი არც ჰქონდა. ბეჭი ყოველკვირული ანაზღაურების საფასურად ძინბაზე დათანხმდა. აილინი წყნარი, თეთრი და ბუნებულა ბავშვი იყო. ქალს ნათესავები არ ჰყავდა და პატარა გოგონა ცხოვრებას გაუხალისებდა.

არზუმ კლებ „Bluez and Jazz“-ში მუშაობის ერთი კვირის თავზე იმავე ქუჩაზე მდებარე ბარ „Stars of the Night“-ში იშოვა ადგილი, იმ განსხვავებით, რომ აქ როიალის თანხლებით უნდა ემდერა.

პირველ ხანებში საშინლად იღლებოდა. თუ რეპეტიციები არ ჰქონდა, მთელ დღეს ეძინა, საღამოს დასიებულ თვალებზე ჩაის კომპრესებს იდებდა და ბეჭის უსმენდა, რომელიც უკვე წლინახევრის აილინს ზღაპარს უყვებოდა.

კვირა დღეს ისვენებდა. დილით ის, აილინი და ბეჭი ერთად საუზმობდნენ. მერე ატრაქციონებზე მიდიოდნენ. აილინი კისკისებდა და არზუც უბედიერებს დედად გრძნობდა თავს. იქვე მდებარე სასადილოში ცოტას წაიხემსებდნენ და სუპერმარკეტში შედიოდნენ. აილინი საბავშვო სექციიდან დიდხანს არ გამოდიოდა. ერთმანეთზე აყირავებულ მანქანებზე დაჯდომას ცდილობდა, კალათში ჩაყრილ ლამაზ, ფერად-ფერად ბურთებში პანია ხელებს ურევ-

და და კმაყოფილი ჩანდა.

საღამოს ივახშებდნენ და აბაზანის შემდეგ მალევე წვებოდნენ. არზუ დასცეკეროდა მძინარე შვილს და გული ეკუმშებოდა – ტომს არც კი ახსენდებოდა მათი არსებობა. საერთო ნაცნობებიც გაურბოდნენ მასზე რაიმეს თქმას. არზუც მის დავიწყებას ცდილობდა, მაგრამ გულის კუნჭულში მიტოვებული ქალის ტკივილი ღრღნიდა.

...გვიანი შემოდგომის საღამო იდგა. გარეთ წვიმა სცრიდა. არზუმ საწვიმარი მოისხა, ოთხი წლის აილინს ხელები და ლოყები დაუკოცნა, გრძელი, დატალლული თმის სურნელება შეისუნთქა და კლუბის გზას გაუდგა. ირგვლივ სველი მიწის სუნი იდგა. მიდიოდა და ქუჩაში მიმავალთ აკვირდებოდა.

ხალხში ყოფნა სიამოვნებდა. ასე თუ ისე, ცხოვრება ააწყო. მუსიკალური მოღვაწეობაც წარმატებული ჰქონდა. მათი ჯგუფი „The Night Jazzmans“ საკმაოდ პოპულარული იყო ნიუ-ორლეანსა და მის ახლომახლო ქალაქებში. ფესტივალებშიც იღებდნენ მონაწილეობას და ხანდახან გასტროლებსაც ანუბდნენ.

ის იყო კლუბს მიუახლოვდა, რომ მეპატრონის თეთრი შევროლე გაჩერდა. საიდანაც ისაავ გარიჟი და ევროპულ სტილზე ჩაცმული უცნობი გადმოვიდნენ.

კლუბის მეპატრონებ ანიშნა, რომ შეჩერებულიყო. არზუ შედგა. ებრაელი მამაკაცს მიუბრუნდა:

– კლუბის სოლისტი შენი თანამემამულეა!

სტუმარმა ხელი გაუწოდა.

– Mehraba! Ben Can Erdemir! Nasilsiniz? (გამარჯობა! მე ჯან ერდემირი ვარ! როგორ ხართ?)

ქალს ურუანტელმა დაუარა. შესცეკეროდა შესანიშნავი გარეგნობის კაცს და თითქოს მოაჯადოვესო, პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა.

ებრაელმა ჩაახველა. არზუმ შეამ-

ჩნია, რომ ჯანს გაცნობის მიზნით გა-
მოწვდილი ხელი ისევ ჰერში ეჭირა.

– Arzu... Arzu Gultekin! Hosgeldiniz!
(არზუ... არზუ გულთექინი! კეთილი
იყოს!)

მამაკაცის ხელიდან გადმოღვრილ-
მა სითბომ მთელ სხეულში დაუარა.
მიზეზს ვერ ხვდებოდა, საბაბი იქნებ
ნლების მანძილზე თურქეთისა და ახ-
ლობლების მონატრებით გატარებული
დღეები იყო?!

არზუმ იმ ღამეს სულ სხვანაირი გა-
ტაცებით იმღერა, თითქოს მთელი მი-
სი ნამღერი მხოლოდ კუთხეში, მრგვალ
მაგიდასთან მჯდომ ჯან ერდემირს
ეძღვნება. ოცდაათ წელს მიტანებულ
ქალს ასეთი რამ ჯერ არ განეცადა. იქ-
ნებ, ეს იყო სწორედ ის ერთი ნახვით
შეყვარება, რის შესახებაც ხშირად მო-
ესმინა.

ტომთან ყველაფერი სხვანაირად
მოხდა. არზუსთვის უცხო სამყაროში
პირველი დამხმარე და ახლობელი მხო-
ლოდ ტომი იყო. გრძნობებზე არ ლაპა-
რაკობდნენ და თითქოს სცენარის მი-
ხედვით მოქმედებდნენ.

...პროგრამის დამთავრების შემდეგ
ჯანმა საგრიმიოროში ორქიდეების ლა-
მაზი თაიგული მიართვა და სახლში გა-
ცილება შესთავაზა...

ახალგაზრდა კაცმა სიცოცხლე და
სიყვარული შემოიტანა არზუს ცხოვ-
რებაში. აილინიც მალე მიერჩია ამ მხი-
არულ, თურქულად მოლაპარაკე ძიას,
რომელიც ათასგვარი სათამაშოთი თუ
ლამაზი კაბებით დატვირთული მოდიო-
და მასთან. არზუ ბედნიერი იყო.

ერთ თვეში ჯან ერდემირმა ნიუ-ორ-
ლეანის ცენტრში თურქული კერძების
რესტორანი გახსნა.

ახლო მეგობრობის ზუსტად ორი
თვის თავზე კი ეპრალი მეგობრის,
ისააკ გარიპის თანდასწრებით, არზუს
ცოლობა სთხოვა. არზუმ თავი უბედ-
ნიერეს ქალად იგრძნო. კარგა ხანია
ყურებამდე ჩაეფლო სიყვარულში და

იცოდა, რომ მისი გრძნობა ცალმხრივი
არ იყო.

თებერვალში დაქორწინდნენ. შეთან-
ხმდნენ – ქორნინებას ოფიციალურ სა-
ხეს თურქეთში, ზაფხულის პირველივე
თვეებში მისცემდნენ.

არზუს აღარ ეშინოდა მშობლებთან
შეხვედრის – გვერდით უკვე ჰყავდა
ქმარი, რომელიც აილინს შესანიშნავ
მამობას უწევდა.



არზუმ ლომაზე ჯანის შეხება იგ-
რძნო, დამძიმებული ქუთუთოები ძლი-
ვს გაახილა და გაიღიმა.

– ახლავე ავდგები!

ჯანმა თითო ტუჩებზე მიადო:

– შშ... დაიძინე, სამსახურში ვისაუზ-
მებ.

არზუ საბანში გაეხვია და ნახევრად
მძინარე ხმით უთხრა:

– დღეს ბეტისთან ვაპირებთ წას-
ვლას, რამდენი ხანია აილინი არ უნა-
ხავს, ცოტას გავისეირნებთ. საღამოს
მოდი და სახლში წამოგვიყვანე.

ჯანმა თანხმობის ნიშნად თმაში ხე-
ლი შეუცურა და ტუჩებში აკოცა.

...ბეტის, რომელიც, ის იყო, ფოს-
ტიდან დაბრუნებულიყო, ძალიან გა-
უხარდა მათი დანახვა. აილინი ხელში
აიტაცა და იმ ხანებში პოპულარული
საბავშვო ფილმის გმირ პაოლას ცნო-
ბილი სიმღერა დაიწყო:

ერთ წვიმიან დღეს,
უსახლკარო ფისო,
შეეფარა ჩვენი
სახლის კიბეს,
შევიყვანე სახლში,
აგვირია სახლი
დედა ბრაზობს –
მივცეთ ვისო

ბეტიმ აილინი დაბლა დასვა და არ-
ზუ ყურადღებით შეათვალიერა.

– ცოტაოდენ სიფერმკრთალეს რომ
ყურადღება არ მივაქციოთ, შესანიშნა-
ვად გამოიყურები. ო... სუნამო გამო-

გიცვლია და მდიდრულად გაცვია!

— გული ნუ დაგწყდება, შენ რომ მოგენონება, ისეთი საჩუქრები მოგიტანეთ.

ერთმანეთს გადაეხვივნენ. შინაპერამ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველა ოჯახური წვრილმანი და დარწმუნდა, რომ არზუ ნამდვილად ბედნიერი იყო ჯანთან.

აილინი ლაპარაკს არ აცდიდათ და ცოტა ხანში ბეტის ყველა კუთხე-კუნჭული გადაუჩრიყა.

ბევრი ლაპარაკის თუ ემოციის შედეგი იყო, ალბათ, რომ არზუ ჩქარა დაიღალა. ცოტა თავიც სტკოოდა და სუნთქვაც უჭირდა.

ბეტი და აილინი სამზარეულოში ნამცხვარს აცხობდნენ. მაგიდაზე ახალი წიგნები ეწყო. ლექსების კრებული აიღო და გადაფურცლა... უეცრად ყურებში შუილი იგრძნო და თვალთ დაუბნელდა... წონასწორობადაკარგულმა თავი ძლიერად ჩამოარტყა მაგიდის კიდეს...

ბეტის კივილმა პანსიონის ბინადართ მის ოთახში მოუყარა თავი. შეშინებული აილინი დედას არ სცილდებოდა და თავზე ხელს უსვამდა. არზუ ფრთხილად დააწვინეს საწოლზე და ჩალურ-ჯებულ საფეთქელზე სველი ტილო დაადეს. პანსიონის მეპატრონებ რესტორანში დარეკა და ჯანს მომხდარი ამბავი აცნობა. ცოტა ხანში გულგახეთქილი ჯანი მოვარდა და ჯერ ისევ გონდაკარგული არზუ უახლოეს საავადმყოფოში სწრაფად გადაიყვანა.

...აფორიაქებული ჯანი ტრავმატოლოგიური განყოფილების მოსაცდელში ბოლთას სცემდა, პატარა აილინს ტირილით თვალებდასიებულ ბეტის კალთაში ეძინა. ისააკ გარიპი კუთხეში მიმდგარი ლოცულობდა.

...არზუ გულთექინი კომიდან არ გამოსულა, ისე გარდაიცვალა. უეცარი წონასწორობის დაკარგვა იმ ნაყოფის მიზეზით მოხდა, რომელიც ამქვეყანაზე მოუსვლელად დედასთან ერთად გა-

ემგზავრა სულთა სამეფოში.

დაკრძალვაზე ტომი თითქმის მთვრალი მოვიდა. აილინი ახლოსაც არ გაეკარა. ჯანს, რომელიც მამასთან მისვლას აიძულებდა, ფეხზე ეკვროდა და კბენდა.

არზუ მუსულმანური წეს-ჩვეულების მიხედვით დაკრძალეს.

აილინს თვალები ჩაუვარდა, საჭმელს არ ჭამდა. ჯანი იძულებული გახდა, ბეტისთვის მიემართა დახმარებისთვის და ერთი კვირა მასთან დატოვა. გოგონა ცოტა მოსულიერდა, მაგრამ განუწყვეტლივ დედაზე ლაპარაკობდა – თან ცრემლების დამალვას ცდილობდა, თითქოს რამდენიმე დღეში გაზრდილიყო.

ერთიანად განადგურებულმა ჯან ერდემირმა არ იცოდა, აილინისთვის რა მოეხერხებინა. ბეტიმ ბავშვის თურქეთში, არზუს დედ-მამასთან გაგზავნა ურჩია. გადაწყვეტილება მიიღეს და თურქეთში დარეკეს.



იბრაჰიმ გულთექინი ვაშინგტონში შუადლისით ჩამოფრინდა. ნიუ-ორლეანის თვითმფრინავი მხოლოდ ორი საათის შემდეგ იყო. ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი მოსაცდელ სალონში ხელებში თავჩარგული იჯდა და ორი დღის წინანდელ სატელეფონო საუბარზე ფიქრობდა:

არზუ უკვე აღარ იყო და სამახსოვროდ პატარა გოგონა დაეტოვებინა მათთვის. ძნელი დასაჯერებელი იყო ის, რომ ექვსი წლის მანძილზე, მას და მის ცოლს როგორც წარმოედგინათ, შვილის ცხოვრება სინამდვილეში ისეთი არ ყოფილა. კაცმა, რომელიც ტელეფონის თურქულად ილაპარაკა და არზუს მეუღლედ გააცნო თავი, მწუხარებით შეატყობინა მისი გარდაცვალების ამბავი და დარეკვის მთავარ მიზეზად პატარა გოგონას უიმედო მდგომარეობა დაასახელა. იბრაჰიმს ისევ აერია ფიქრები:

– თუკი ის კაცი არზუს მეუღლეა, მაშინ ბავშვის მამაც ის უნდა ყოფილიყო, მაშინ რატომ სთხოვდა გოგონას თურქეთში წაყვანას?!

– შვილის სიკვდილის მიზეზი გულისნასვლით გამოწვეული დაცემა ყოფილა. არზუ მეორე ბავშვს ელოდა და მშობლებს ისევ არაფერი არ გააგებინა!!!

– თურქეთში ჩამოსვლასაც სულ სდებდა სხვადასხვა მიზეზით. თვითონაც პენსიაზე აპირებდა გასვლას და არ უნდოდა, სამუშაო დღეები მოეკლო სტაჟისათვის...

არზუს ბავშვობა გაახსენდა და დასის-ხლიანებულ თვალებში ცრემლი მოაწვა.

ბავშვობაში გოგონას წითელი სათა-მაშო როიალი ჰქონდა და საღამოობით დედ-მამას კონცერტებს უმართავდა. თუ-კი შეატყობდა, რომ ნაჩეუბრები იყვნენ, ჯერ დედასთან მივიდოდა და ჰკითხავდა:

– „დედიკო! მამიკო გიყვარს?“ – ქალი თავს მოერეოდა და – მიყვარსო – ეტ-ყოდა. არზუ ყელზე ჩამოეკიდებოდა და – თუ გიყვარს, მაშინ – „ჩემო საყვა-რელო ქმარიკო“ – უთხარიო აძალებ-და. მერე მამასთან მიირბენდა და იმავე კითხვს გაუმეორებდა კაცი – მიყვარსო – ეტყოდა და იმასაც – მაშინ: „ჩემო საყვარელო ცოლიკო“ – უთხარიო. მის ქცევაზე ერთად იცინოდნენ და პატარა არზუ გახარებული კითხულობდა – რა ბედნიერები ვართ, არაო?

„მეც ბედნიერი ვარ, დედაც ბედნიე-რია, მამაც ბედნიერია და ჩემი სათამა-შო ძროხაც...“

იბრაჟიმა ტეკივილით გაიღიმა და ცხვირში სიმწარე იგრძნო.

შეუცნობლად მტრულად განეწყო იმ კაცის მიმართ, რომელმაც ჯან ერდე-მირად გააცნო თავი.

– როგორ მოხდა, რომ არზუმ არ აც-ნობა თავისი პირადი ცხოვრების შესა-ხებ?!

– ისე როგორ დაშორდა მშობლებს, რომ უკანასკნელ გზაზეც კი მის გვერ-დით არ იყვნენ?!

კაცი ნერვიულობისაგან ხელებს ის-რესდა, როცა ნიუ-ორლეანის მგზავ-რებს მზადყოფნა გამოუცხადეს.

იბრაჟიმი წამოდგა, ერთი სული ჰქონდა, სასაფლაოზე მისულიყო და შვილის სამარისთვის უხმო საყვედური ეთქვა.



აეროპორტში ჯან ერდემირი დახ-ვდა. უხმოდ მიესალმნენ ერთმანეთს და სასუბროდ იქვე მდებარე კაფეტერიაში დასხდნენ. მცირედი წახემსების შემ-დეგ ჯანმა არზუზე დაიწყო ლაპარაკი. იმასაც მოუყვა, რაც მის გაცნობამდე გადახდა თავს ან უკვე გარდაცვლილს.

იბრაჟიმს წიკაპი უკანკალებდა, ჯა-ნის მიმართ მტრული დამოკიდებულება თანდათან კეთილგანწყობამ შეცვალა.

„ესეი იგი, გოგონას მამა ეს არ ყო-ფილა“.

„რამდენი რამ გადაუტანია მის ქა-ლიშვილს?!“

მკაცრი მამა არასოდეს ყოფილა და ამიტომაც გული ეწურებოდა იმის გა-ფიქრებაზე, რომ არზუმ თავის ცხოვ-რებაში არ ჩაახედა, დახმარება არ სთხოვა. დედა უფრო მკაცრად ექცეო-და შვილს – დისციპლინისა და წესრი-გის მოყვარული ქალი არზუს გადაჭარ-ბებელ სიყვარულს არ აგრძნობინებდა.

...სასაფლაოზე სიმშვიდე სუფევდა. ჯანი არზუს საფლავთან შეჩერდა და ჩაიმუხლა. თეთრი მარმარილო მზე-ზე ბზინავდა. იბრაჟიმმა პირი მაგრად მოკუმა, რომ არ ელრიალა. მისი ერთა-დერთი ქალიშვილის ცხოვრების ბილი-კი აქ მთავრდებოდა. მარმარილოს ხე-ლები დაადო და ცრემლები ლაპალუბით წამოუვიდა.

ტიროდა ჯანიც... არზუ მათ გვერ-დით ალარ იყო... ერთის – შვილი, მე-ორის – ცოლი. ამიერიდან მის გარეშე მოუწვდათ ცხოვრების გაგრძელება. ვინ იცის, იქნებ ჯანს სხვა ქალში ეპო-ვა თანაგრძნობა, მაგრამ გამწარებულ

მამას ერთადერთი შვილის დაკარგვით მიღებულ ტრაგმას ვინ გაუქარწყლებდა? ჯანი წამოდგა და მხარზე შეეხო წასვლის ნიშნად.

იბრაჰიმმა შვილის სულს „FATIHA SURESI“ (ლოცვა მიცვალებულთათვის (ყურანიდან). წაუკითხა, მერე ცოლის მიერ გამოტანებულ თავსაფარში ერთი მუქა საფლავის მინა ჩაყარა, გამოკრა და ჯიბეში სათუთად შეინახა...

სასაფლაოდან ორივენი პანსიონის-კენ გაემართნენ. იბრაჰიმს შვილიშვილი უნდა ენახა.

●

პანსიონის თითქმის ყველა ბინადარი ბეტის ოთახში შეკრებილიყო. აილინს მაქმანით განყობილი ფრიალა კაბა ეცვა, დატალლული თმა კი ბაფთებით და-ემაგრებინა.

ბეტიმ ლოცებზე ვარდისფერი პუდრი წაუსვა, მაგრამ ჩავარდნილ თვალებს ვერაფერი უშველა. ბავშვი ფანჯარასთან იდგა და უცნობი პაპის გამოჩენას ელოდა. უეცრად ქუჩის კუთხეში ჯანი ძიას წითელ კადილაკს მოკრა თვალი და გარეთ გავარდა, ბეტიც ფეხდაფეხ მიჰყვა. მანქანა გაჩერდა. ჯანმა იყოჩალა – იბრაჰიმს მანქანიდან გადმოსვლაში მიეხმარა და კიბისკენ გაუძლვა. იბრაჰიმ გულთექინმა პანსიონს შეხედა და გაშეშდა – კიბის თავში არზუს ბავშვობის ორეული იდგა და ცნობისმოყვარეობის-გან გადიდებული თვალებით უყურებდა.

...აილინმა კიბის საფეხურები ჩაირბინა და გაჩერდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

რამდენიმე დღეში თითქოს გაზრდილიყო და ჭურაც მომატებოდა, ბავშვური გამოხედვა აღარ ჰქონდა. იბრაჰიმ-საც დაებინდა თვალები... რამდენიმე წამის შემდეგ იქვე, კიბეზე ჩამომჯდარ აქვითინებულ პაპას კალთაში შვილიშვილი ეჯდა, რომელიც ტირილით წმენდდა მოხუცს ცრემლებს და დამტვრეული თურქულით: – „Beni Türkiyeye

götürürmusun?” (თურქეთში წამიყვან? (თურქ.) – ევედრებოდა.

ამ გულისამაჩუყებელ შეხვედრას პანსიონის მკვიდრნი ცრემლმორეულები ღიმილით უყურებდნენ, ბოლოს ბეტიმ თავი ვეღარ შეიკავა და ატირებული შევარდა შენობაში...

ღამის გასათევად ჯანის სახლში წავიდნენ. პატარა გოგო მალე გაუშინაურდა იბრაჰიმს. მთელი სახლი მოატარა. ლოცები ვარდისფრად აეტკიცა, თვალებიც ბედნიერებისგან უელავდა, ემოციებით დაღლილს მალე ჩაეძინა.

შუაღამებდე ისხდნენ იბრაჰიმი და ჯანი ბუხრის წინ, ცხელ ჩაის სკამდნენ და საუბრობდნენ. იბრაჰიმმა ბავშვის თურქეთში წაყვანა გადაწყვიტა. რადგანაც აილინი მამის გვარზე იყო, საზღვარგარეთ მისი გაყვანის ნებართვა ტომ პარკერისგან უნდა მიეღოთ. ჯანმა ბუხარს წვრილი შეშა შეუკეთა და იბრაჰიმს მიუბრუნდა:

– სიმართლე გითხრათ, მე და განსვენებულ თქვენს ქალიშვილს გადაწყვეტილი გვქონდა, აილინი ერდემირად ჩაგვენერა ხელისმონერის შემდეგ, ამის გამო ტომთან ვაპირებდი შეხვედრას. ახლა კი, რადგანაც ვითარება შეიცვალა, თუ სურვილი გექნებათ, თქვენს გვარზე ჩაწერეთ ბავშვი. არა მგონია, მამამისმა რაიმე პრობლემა შეგიქმნათ – ის ხომ უყრადღებასაც არ აქცევდა არზუს და აილინს.

გადაწყვიტეს, მეორე დღესვე ენახათ ტომ პარკერი და აილინის გვარის თაობაზე მოლაპარაკებოდნენ.

●

მეორე დღეს, საღამოს, იმ ღამის კლუბში წავიდნენ, სადაც ტომ პარკერის ჯგუფი უკრავდა. ტომის მოსვლამდე საათზე შეტი იყო. დაცარიელებულ კლუბში ერთ-ერთ მაგიდასთან ჩამოსხდნენ. იბრაჰიმი და ჯანი საუბარს შეყვნენ და ვერ შენიშნეს, როგორ ავიდა აილინი სცენაზე, რომელსაც სანახევ-


როდ აშუქებდა ფერადი პროექტორი. უნესრიგოდ მიყრილ სკამებზე ნოტები ეყარა. გოგონამ როიალს სახურავი ახადა და კლავიშებს თითები გადაუსვა. ამ გარემოში უდედობამ შეაკრთო და პატარა გული მოეკუმშა. როიალი ხმაურით დახურა, სწრაფად ჩამოირბინა რამდენიმე საფეხური და პაპას იღლიაში შეუძვრა.

...ტომი თმაჩჩილი და ჩანითლებული თვალებით მოვიდა. ბარმენს ორ-

შეუფერებელი რამაა...“

აილინი მუხლებიდან ჩამოუცურდა და იბრაჟიმს მიეკრო.

„აი, ხომ ხედავთ...“ – განაგრძო ტომმა. – „ჩემს ცხოვრებაში მთავარი ჯაზია – ერთადერთი, რასაც ვერ ვულალატებ. არზუ მიყვარდა, მეგონა ოჯახს ავაწყობდით, მაგრამ ყოველდღიურობამ გამომფიტა. გამიგეთ, ახალი-ახალი გატაცებები, გრძნობები მჭირდება, რომ რამე შევქმნა... მოკ-



მაგი ვისკი მოსთხოვა და კუთხის მაგიდასთან ჩამოჯდა. როგორ უნდოდა იბრაჟიმს, ყელში სწვდენოდა და მოეხრჩო ეს უპასუხისმგებლო და მოუწესრიგებელი ტიპი, მაგრამ აილინის დაკარგვის შიშით თავს იკავებდა... ჯანმა თავიანთ მაგიდასთან მიიყვანა, საქმის ვითარება გააცნო და მოფიქრებისთვის დრო მისცა. ტომი უშედეგოდ შეეცადა აჩჩილი თმის გასწორებას, მერე აილინი კალთაში ჩაისვა. ბავშვმა უხერხულად ჩაბუნა თავი. ტომმა ჩახრინწული ხმით დაიწყო ლაპარაკი: „ვიცი, რომ არზუსთვის ცუდი ქმარი ვიყავი, გოგონასთვის კი უხეირო მამა, მაგრამ მინდა, იცოდეთ რომ გულში სიბოროტე არ მაქვს... უბრალოდ, ოჯახი ჩემნაირებისთვის საშინელი ტვირთია, მოკლედ,

ლედ, მაპატიეთ... ბავშვზეც არანაირი პრეტენზია არ მაქვს...“

აილინი ხვდებოდა რომ მასზე იყო საუბარი. ამ კაცს, რომელიც პირველად დედის საფლავზე ნახა და თურმე მამამისი ყოფილა, შვილი არ უნდოდა. ნაწყენი და შეურაცხოფილი იყო. ახლა უკვე აღარ ჰყავდა დედა, რომელსაც გაუნებივრდებოდა, ბეჭი, რომელთანაც ითამაშებდა, სულ მალე ძიას ჯანსაც დაშორდებოდა და ბაპასთან ერთად უცნობ თურქეთში წავიდოდა. იბრაჟიმში უეცრად გამქრალ სითბოს ეძებდა და თითქოს პოულობდა კიდეც. ბავშვური შეუცდომლობით გრძნობდა, რომ ამ ქვეყანაზე დედის შემდევ მისთვის ყველაზე ახლობელი სწორედ ის იყო.

ტომი ყველა საჭირო საბუთის მიცე-

მაზე დათანხმდა, რითაც აიღინი დედის გვარზე გადასვლის უფლებას მოიპოვებდა და თურქეთში პაპასთან ერთად გაფრინდებოდა. გამომშვიდობებისას ჯაჭვის ყელსაბამი მოიხსნა, აიღინის ჩამოკიდა ყელზე, შუბლზე აკოცა და ბედნიერება უსურვა.

ეს იყო აიღინის ბოლო შეხვედრა მა-მასთან.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯანმა ნო-ტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუ-მენტები მოიტანა – გვარის გამოცვლა თურქეთში უნდა მომხდარიყო.

...აპრილის მზიანი დღე იდგა, ნიუ-ორლეანის აეროპორტში რომ მივიდნენ. გამომშვიდობებისას ჯანს დიდხანს ჰყავდა ჩახუტებული გოგონა და თვა-ლებიდან ცრემლები სდიოდა, თუმცალა ეს არ იქნებოდა მათი ბოლო შეხვედრა.

ამერიკას რომ გამოემშვიდობა, აი-ლინი მეექვსე წელინადში იყო. უხარო-და, თურქეთში საჩუქრებით სავსე ყუ-თი მიჰქონდა, რომელიც ბეტის და ძია ჯანს გაემზადებინათ მისთვის.

II ნაწილი

აიღინმა ადრიანად გაიღვიძა, ტუმ-ბოდან ჭიქა აიღო, წყალი დალია და შიშველი ფეხები ხალიჩას შეახო. სახ-ლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. დერეფანში გამოვიდა და ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელში შევიდა. ბებიას და პაპას ზურგშექცევით ეძინათ. გოგონამ სა-ბანი ასწია და შუაში ჩაუწვა. იბრაჟიმი და თურქანი ერთდროულად გადმოტ-რიალდნენ და შვილიშვილს მოეფერნენ. აიღინმა ერთი ხელი პაპას, მეორე კი ბებიას შეუცურა თავებეშ და ორივეს ლოყები დაუკოცნა...

იმ დროს აიღინი უკვე გულთექნიად იწერებოდა. უფროსები ცდილობდნენ უცხოობა არ ეგრძნო ობოლ გოგონას. თურქანი ყოველ დილით, საუზმის შემ-დეგ, თუთის ბაქმაზს ასმევდა მოსალო-

ნიერებლად. მართალია, ბავშვი ისევ გამხდარი იყო, მაგრამ თვალები აღარ ჰქონდა ჩავარდნილი. უბანში თანატოლე-ბი გაიცნო. ბებიამ ლამაზი კაბები შეუ-კერა. ოთახიც მოუწყვეს (არზუს ყოფი-ლი ოთახი), პაპასთან ერთად დადიოდა ზოოპარკში, ატრაქციონებზე, საბავშვო წარმოდგენებზე, გამოფენებზე...

საშემოდგომოდ დაწყებით, ხუთწლი-ან სკოლაში უნდა დაეწყო.

სასკოლო ფორმის და სასწავლო ნივ-თების საყიდლად ერთად წავიდნენ. დიდ-ხანს არჩევდნენ ბეიოლლუს¹ დუქნებში შესაფერისი ზომის სასკოლო კაბას, მერე – ჩანთა, რვეულები, ფანქრები... წიგნებს სკოლაში დაურიგებდნენ. ყველაფერს რომ მორჩინენ, დაღლილებმა მეთევზე-ბისგან შემწვარი თევზი იყიდეს და იქვე ხის პატარა მაგიდასთან ლიმონთან ერ-თად მიირთვეს გემრიელად.

აიღინის კმაყოფილებისგან თვალები უბრნებინავდა. პაპამ ცივი ლიმონათი უყიდა და კიდევ უზარმაზარი ნაყინიც. ბებია გამუდმებით წუხდა – ბავშვს ყელს გაუციებსო, მაგრამ იბრაჟიმი – ჩემს კუდრაჭა გოგოს არაფერი მოუვა, პაპასავით მაგარიაო. – ამბობდა.



სწავლა თხუთმეტ სექტემბერს და-იწყო. დილაუთენია დიდი მღელვარება სუფევდა გულთექინების პატარა ოჯახ-ში. აიღინი საგულდაგულოდ გამოაწ-ყვეს ფორმის კაბაში. ბებიამ ორი წვრი-ლი ნაწილი თეთრი ბათებით შეუკე-რა. პაპამ მოზრდილ პურის ნაჭერზე ბლომად წაუსვა კარაქი და ვიდრე არ შეაჭამა, თავი არ დაუხებებია, ბოლოს ახლად გამოწურული ფორთოხლის წვე-ნიც მიყოლებინა და სკოლისკენ გას-წიეს. ჩანთა, რა თქმა უნდა, იბრაჟიმს ეჭირა.

სკოლაში საზეიმო განწყობა იგრძნობ-ოდა. ყველაზე მეტად პირველკლასელე-

¹ბეიოლლუ – სტამბულის ერთ-ერთი ძველი უბანი.

ბი ღელავდნენ. ჭიშკართან ფოტოგრაფი იდგა. სწორედ მან გადაულო აილინს პირველი სურათი ფორმის კაბით. გამხდარი, მხრებზე ნაწილები გადმოფენილი გოგონა თვალებში არცთუ ისე კარგად გადამალული სევდით შეყურებდა უცნობ ბიძიას.

თურქეთის რესპუბლიკის დაარსების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილმა ჰიმნმა სიამაყე მოჰკვარა მსმენელს და ყველა ერთად აჰყვა გუნდს.

იმ დღიდან აილინის ცხოვრებაში დაიწყო სკოლის პერიოდი, რომელიც თერთმეტ წელიწადს გაგრძელდა.

●
აილინი უეშმაკო, მიმნდობი გოგო იზრდებოდა. იბრაჟიმის და თურქანის მზრუნველობამ არ გააამპარტავნა – ამხანაგები უყვარდა, მხიარულ გარემოში ყოფნა მოსწონდა, თუმცა თავად ყოველთვის თავშეკავებულად იქცეოდა. ხმა კარგი ჰქონდა, თუმცა დედასავით ჯაზს არ მოუხიბლავს – უფრო ძველი თურქული სიმღერები იტაცებდა.

შინ ჯდომა უყვარდა. ბებიას, რომელიც უკვე სამოც წელს გადაცილებოდა, საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. პაპაც მობერდა, თუმცა თავი მაინც მხნედ ეჭირა. არ უნდოდა, სიბერით შვილიშვილთან მეგობრული ურთიერთობა გაეფუქებინა. აგრე უკვე რამდენი ხანი იყო, რაც ფეხები ტეხდა, კიბეებზე სულ სვენებ-სვენებით ადიოდა, მაგრამ მაინც მიჰყავდა აილინი გამოფენებზე. განსაკუთრებით „ქენთერის თეატრში“ უყვარდათ წასვლა – რატომდაც მსახიობი ილდიზ ქენთერს შვილიშვილს ამსგავსებდა, ორივეში ერთად კი არზუს ეძებდა. იბრაჟიმა თითქოს წლების წინათ ჩაიმარხა გულში შვილის ტკივილი და მთელი ძალ-ლონე აილინის გაზრდას მოახმარა. უყურებდა დაქალებულ შვილიშვილს და სული უკვენესოდა – არზუ ვერ ხედავდა გაზრდილ შვილს. რამდენჯერ გამოუღვიძებია თურქანი მის ოხვრას. ქალი ხვდებოდა, რომ წლებმა

ვერ გაუნელეს ტკივილი. თვითონაც ნალვლობდა, მაგრამ აილინმა, მასზე ზრუნვამ რჯახურმა წვრილმანმა და ყოველდღიურმა საქმე ქმართან შედარებით ნალველი გაუნელა.

იბრაჟიმ გულთექინმა ბოლოს ვეღარ გაუძლო გაუნელებელ სულის გლოვას და არზუს გარდაცვალების ზუსტად მე-ათე წლისთავზე გარდაიცვალა. თურქანი მეზობლებს უყვებოდა თუ როგორ ოხრავდა განსვენებული მთელი ლამე, გამთენისას კი სული დალია.

თექვსმეტი წლის აილინი მეორედ დაობლდა. იმ წელიწადს ლიცეუმის ბოლო კლასში გადავიდა.

●
აილინის სტამბულის სახელმწიფო კონსერვატორიის ხელოვნების ფაკულტეტზე მოეწყო და იმ წელს თურქანიც გარდაიცვალა. ბოლო ხანს თავს ცუდად გრძნობდა, თავბრუ ეხვეოდა და უღონობას უჩიოდა. კლინიკაში გამოკვლევები ჩაუტარეს და სისხლის გათეთრება აღმოჩენის სულ რამდენიმე თვეში ისიც იბრაჟიმის გზას გაუდგა. მათგან აილინს თბილი მოგონებები, მათი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და სტამბულის ერთ-ერთ ძველ უბან ბეიოლლუში ხით ნაშენები ორსართულიანი ძველი სახლი დარჩა. სახლი წარსულით და არზუს სურათებით იყო სავსე.

აილინი ერთი კვირა შინ გამოიკეტა. კარსაც არავის უდებდა. ადვილი არ იყო თვრამეტი წლის ქალიშვილის-თვის ახალ მდგომარეობასთან შეგუება. ამიერიდან თავის ბატონ-პატრონი უნდა ყოფილიყო. ახლო ნათესავები არ ყავდა და ცხოვრებას მარტო უნდა გამკლავებოდა.

…კვირა დღეს დილაადრიანად წამოდგა, გაბუჟებული სხეული დაჭიმა და ღრმად ამოისუნთქა, ჯერ ზედა სართული მოიარა – ორი საძინებელი და ნახევრად ღია ბიბლიოთეკა კიბის თავში. მერე დაბლა ჩავიდა: სალონი,

მისაღები საჯდომი ოთახი, ვიწრო სამზარეულო; ტყალეტსა და აბაზანაშიც შეიხედა. ფანჯრები გამოაღო, საიდანაც შემოდგომის სუსხი შემოიჭრა, შეაურულა და ბებიის ნაქონი სქელი შალი მოისხა მხრებზე – ბავშვობისას – შეციებული რამდენჯერ გაუთბია თურქანს ამ შალით. აილინმა თითქოს ისევ იგრძნო ქალის სხეულის სითბო, ხელები ტანზე შემოიხვია და ცრემლი ჩაყლაპა. საშინლად მარტოსული და გამოფიტული იყო. მცირე ხანს კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. სახლი არეულ-დარეული და ჭუჭყიანი იყო. სპორტული შარვალი და ჯემპრი ჩაიცვა და სახლის დალაგებას შეუდგა. პირველ რიგში კედლებიდან დედის გადახუნებული სურათები ჩამოხსნა, სამზარეულოში შევიდა, საღებავგადაცლილი, მოცისფრო ხის ყუთი-დან ლურსმნები და ჩაქუჩი ამოილო და ბებია-პაპის საძინებელში ავიდა. ოთახში ნესტის სუნი იდგა, ფანჯარა გამოაღო, ლოგინი გაანიავა და ხელმეორედ გაასწორა. თეთრეული მეზობლებს გამოეცვალათ. ძველმოდური, სარკეებიანი კარადიდან ტანსაცმლის გამოლაგება დაინტენი. იბრაჟიმის თეთრი პერანგი დიდხანს ეჭირა ხელში. სამოსასაც ეტყობოდა უპატრონობა – აქა- იქ ყვითელი ლაქები გასჩენოდა. თურქანს ქმრის ტანსაცმელი სხვისთვის მისაცემად ვერ გაემეტებინა და სათუთად ჩამოეკიდა კარადის მარჯვენა კუთხეში...

აილინმა განსვენებულების სამოსით ორი დიდი ჩანთა გაავსო. სარკიანი მაგიდიდან მტვერი გადაწმინდა, იქვე მდგარ, ჯერ კიდევ დაუცლელ ლიმონიან-სპირტიან წყალს სახურავი მოხსნა და ხელებზე დაისხა, სითხე საფეხულებზე შეიზილა. გული დამძიმებოდა. უჯრიდან საოჯახო ალბომი ამოილო. ეს თურქანის და იბრაჟიმის კუთვნილი ალბომი იყო – თავისი კარგა ხნის წინათ ჰქონდა გაიტანა თავის ითახში.

ალბომის პირველ გვერდზე ჩვილი არზუს ფოტო იდო. შემდგომი ფურ-

ცლები ქრონოლოგიურად ლაგდებოდა: არზუ – ბაღში, არზუ – სკოლაში, მშობლებთან, ამხანაგებთან, მასანავლებლებთან, გამოსაშვებ საღამოზე, სტუდიაში ჩანერაზე, რეპეტიციაზე, კონცერტზე... ბოლო გვერდზე, მოზრდილ კონვერტში შედარებით ძველი ფოტოები ჩაელაგებინათ. ესენი იბრაჟიმის და თურქანის ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოები იყო. რამდენიმე გამოარჩია და ცალკე დადო...

ცოტა ხანში დაწკრიალებულ ოთახს კმაყოფილებით შეავლო თვალი; წარსული თითქოს ამ ოთახში გამოამწყვდია, კედლები დედის, ბებიისა და პაპის სურათებით დაამშვენა... მათი ყველა პირადი ნივთიც აქ ამოიტანა. სახლის სხვა ადგილას უკვე ველარ ნახავდით არზუს ფოტოებს თუ მის ნივთებს. ფანჯარასთან თავისთვის სავარძელი მიდგა, ხანდახან ისევ მათ სამყაროში რომ ეგრძნო თავი...

აილინს წარსულისგან სურდა თავის დალწვა; ავეჯი გადაადგილა, უფრო პრაქტიკულად მოიწყო სახლი. შეიძლება ასეთი განლაგება ძველ მობინადრეთათვის მოუხერხებელიც ყოფილიყო, მაგრამ მის უკვე ერთადერთ ბინადარს დამძიმებული სულის შემსუბუქება სურდა... გვიან ლამით იპანავა და ღრმა ძილს მიეცა...



სარკმელზე მტრედის ნისკარტის კაკუნმა გამოაღვიძა; მსუბუქად გრძნობდა თავს. წამოდგა და ნაბდის ჩუსტებში წაყო ფეხები – უხეშმა ნაჭერმა დაჩხვლიტა. ქვევით ჩავიდა. სამზარეულოში ჯერ კიდევ ბნელოდა – პატარა ფანჯარაში შემოსული სინათლე პნელს ვერ უმკლავდებოდა. შუქი აანთო, ჩაიდანში წყალი ჩაასხა, გაზის ბალონი შეანჯლრია და კომფორტი ჩართო. ვიდრე წყალი ადუღდებოდა მინავლებულ ცეცხლზე, მაცივრიდან შავი ზეთისხილი გამოიღო. გამხმარ მარცვლებს ცოტა ზეთი დაასხა და ლიმონი დააწურა.

საპურეში ერთი პურის ნაჭერი, დარჩენილიყო. სტიპენდიის აღებამდე კი ჯერ კიდევ ერთი კვირა იყო. მაგიდა არ აულავებია. უნივერსიტეტში მისვლამდე იბრაჟიმის და თურქანის ნაქონი ტანსაცმელებით სავსე ჩანთები ჰუმანიტარულ საზოგადოება „წითელ მთვარეში“ უნდა ჩაებარებინა, რათა იქიდან გაჭირვებულთათვის მიეწვდინათ.

ვიწრო ქვაფენილი ჩაიარა და ტრამვაის გაჩერებასთან შედგა. ირგვლივ უცნობი სახეები და შემოდგომის სუსტი მეფობდა. მართალია, აილინის საახლობლო არასოდეს დიდი არ ყოფილა, მაგრამ ბებია-პაპის სიკვდილის შემდეგ მათაც ჩამოსცილდა და ახლა ამქეყნად ყველაზე მარტოსულად თვლიდა თავს. აუდიტორიაში შევიდა და თავის ადგილას ჩამოჯდა. რამდენიმე თანაკურსელი გამოელაპარაკა. აილინმა ისინი მოკლე პასუხებით თავიდან მოიცილა. ხელებზე თავი ჩამოაყრდნო და ფიქრებში ჩაიძირა...

შინ დაბრუნებულმა ერთხანს ხელოვნების ისტორიის ტომებს უკირკიტა, რამდენიმე პატარა ჩანაწერიც გააკეთა, მაგრამ გული ვერ დაუდო და ტელევიზორი ჩართო. TRT-ზე თურქეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ბრამსის „ბოშურ ცეკვას“ უკრავდა.

აილინი ჯერ მხოლოდ თვრამეტი წლის იყო. მისი თანატოლები დროს მხიარულად ატარებდნენ – კინოში, თეატრში, კონცერტებზე დადიოდნენ. ზოგი კაზინოსაც სტუმრობდა და ცნობილი მომღერლების – ზექი მურენის, გუნულიაზარის, ემელ საინის და მუაზეზ აბაჯის თაყვანისმცემელი იყო. თუმცა ის არც დაობლებამდე აპყოლია ამხანაგებს. იბრაჟიმთან ერთად თოფქაფის სასახლეში, ბიზანტიულების მიერ აშენებულ მიწისქვეშა წყალსაცავში, აია სოფიაში, დოლმაბაჟჩეს სასახლეში თუ ქალწულის კოშკში უყვარდა სიარული. განსაკუთრებით კი გამოფენები იტაცებდა. უნივერსიტეტის ვესტიბიულში გამოკრული გან-

ცხადება გაახსენდა, რომელიც ცნობილი ფოტოგრაფის – არა გულერის ახალი ნამუშევრების გამოფენის გახსნას იუნიუბოდა და სადაც ხვალ ლექციების შემდეგ აუცილებლად წავიდოდა.



გამოფენაზე თურქეთის თითქმის ყველა კუთხეში გადაღებული ფოტოები იყო წარმოდგენილი. აილინი დიდი გატაცებით ათვალიერებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში შექმნილ ნამუშევრებს: ქვით ნაშენ, უსახურავო სახლის ფანჯრიდან სახედაღარული, თავზე შალმოსვეული მოხუცი ქალი დაშრეტილი თვალებით იყურებოდა. გამხმარი ხელი რკინის გისოსისთვის ჩაეჭიდა, შუა თითზე კი ვერცხლის რგოლი მოუჩანდა.

– „დრო სასტიკი და შეუბრალებელი“
– მოესმა ზურგს უკან. შეცბუნებული მოტრიალდა. მაღალი, შავგვრემანი, ვაჟკაცური გარეგნობის ახალგაზრდა გულითადად უღიმოდა. პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ისევ უცნობმა დაილაპარაკა:

– ქორაი ერდემირი – მხატვარი, – აილინმა გაცნობის მიზნით გაწვდილ ხელს მორიდებით შეაგება თავისი მარჯვენა და ხმადაბლა უპასუხა: – აილინ გულთექინი, ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი.

დანარჩენი ფოტოები ერთად დაათვალიერეს. ქორაიმ თავისუფალი ქცევით და ობიექტური შეფასებებით მაღე მოხიბლა თავის თავში ჩაკეტილი აილინი.



შთაბეჭდილებებით და უცნაური გრძნობით აღსავსე დაბრუნდა შინ. კარი გადაკეტა, ღამის სანათური აანთო და დაღლილი სავარძელში გადაესვენა.

მის მდორე ცხოვრებაში ამ სრულიად ახალმა ნაცნობობამ განსხვავებული სინათლე შემოიტანა. არ იფიქროთ, თითქმის აილინი ადვილად დასაყოლიებელი გოგონა იყო; ნდობით იშვიათად

თუ ენდობოდა ვინმეს და მეგობარიც თითქმის არ ჰყავდა. თავისი სამყარო ჰქონდა – ნარსულში უყვარდა ქექვა. რენესანსის პერიოდის ხელოვნება, კლასიკური მუსიკა, ხალხური სიმღერები შედიოდა მისი ინტერესის სფეროში, თუმცა არც თეატრისა და კინემატოგრაფიის მიმართ იყო გულგრილი. მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა სკოლის წლებშივე ჰქონდა წაკითხული. ახლობლებისგან მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩა: ბაირონი, ჰიუგო, სანდი, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი, მოპასანი, ზოლა, კრაშევსკი, ბრონტე, მარკესი, დრაიზერი, თეკერე, მოემი – ასე გამოიყურებოდა არასრული სია იმ ავტორებისა, რომელთა ნანარმოებებიც მოიპოვებოდა აილინ გულთექინის სახლში. ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდი“, ბავშვობიდან მოყოლებული, მის სამაგიდო წიგნად გადაქცეულიყო. აგნესას ხასიათის შეცნობას ცდილობდა და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანი ასეთი დიდსულოვანი, სათონ, თავმდაბალი, მუდამ სხვებზე მზრუნველი და ყველა პირადი უსიამოვნების მიუხედავად, მშვიდი და ბედნიერი ყოფილიყო?!



ქორაი ვერ იძინებდა. ერთხანს რადიოს უსმინა, მერე აივანზე გავიდა და მარმარილოს (ბოსფორის) სრუტეს გახედა. სანაპირო ნაცრისფერ ნისლს მოეცვა. დიდხანს ვერც იქ გაძლო, ოთახში შებრუნდა და მოლპერტთან გაჩერდა. წინა დღეს ცუდი განწყობის გასაქარვებლად დაიწყო ხატვა. ჩანაფიქრი მუქ ფერებში მოეხაზა. ფუნჯი წყლით სავსე ჭიქაში გარეცხა და იმ საღამოს განწყობის მიხედვით უფრო ღია ფერები გააზავა. დაუფიქრებლად ხატავდა, გონებით აილინთან იყო.

გამოფენაზე სრულიად შემთხვევით მოხვდა. საგამოფენო დარბაზი იმ ბანკე ეკუთვნოდა, სადაც ამერიკაში მყოფი ბი-

ძისგან პერიოდულად იღებდა ფულად გზავნილებს. იმ დღესაც თანხის გამოსატანად იყო მისული, რომ გამოფენის შესახებ შეიტყო და შესვლა გადაწყვიტა. ჯერ კიდევ კარებში იგრძნო, რომ შიგნიდან რაღაც იზიდავდა. რამდენიმე ნაცნობს თვალი აარიდა და ზურგით მდგომი, წაბლისფერთმიანი ქალიშვილი შენიშნა. ფეხებმა თავისით მიიყვანეს მასთან. ერთხანს მის დატალღულ თმას შესცეკროდა. თითებს მათი შეხება მოუნდა, ჰაერში უცწრად გაწვდილი მარჯვენა გონს მოგებულმა ძირს დაუშვა...

გამოფენიდან ძველი ნაცნობებივით გამოვიდნენ. ერთად დაუყვნენ დამჭკნარი ფოთლებით სავსე ქუჩას. უცხოობას არ გრძნობდნენ, აილინის სახლის შესახვევამდე უკვე მის მეგობრად თვლიდა თავს, მეგობრად თუ... მეხსიერებას ღრმად ჩაბეჭდოდა ქალიშვილის თაფლისფერი თვალები.

ქორაიმ ფუნჯი შეაჩერა და ნახატს შეხედა. ტილოზე რიყის ქვებით მოკირწყლული ქუჩა, აქეთ-იქით – გაძარცული ხეები, ჰაერში მოფარფატე გაყვითლებული ფოთლები და სიღრმეში – სინათლიდან მომავალი აილინი იყო გამოსახული.



იმ დღიდან მოყოლებული აილინი და ქორაი განუყრელ წყვილად იქცნენ. ერთხაირ წიგნებს კითხულობდნენ, ერთად დადიოდნენ კინოში, თეატრში, გამოფენებზე. აილინისთვის თითქოს ბავშვობის წლები დაბრუნებულიყო უკან. ყველაფერი ისე გრძელდებოდა, როგორც იბრაჟიმის სიცოცხლეში, იმ განსხვავებით, რომ ახლა ის უკვე ზრდასრული და სიყვარულით აღსავსე ქალიშვილი გახლდათ.

მიუხედავად სიახლოვისა, მათ შორის რაღაც უხილავი ზღვარი მაინც იგრძნობოდა. ქორაი ინტელექტუალური და ქალის პატივისმცემელი, აილინი კი მორიდებული, განათლებული ქალიშვილი იყო.

●
ბეიოლლუს კინოთეატრიდან აღ-ფრთოვანებულები გამოვიდნენ. შინ წასვლა არც ერთს არ უნდოდა. ადრიანი გაზაფხული იდგა და ციონდა. მინებ-დაორთქლილ კაფეში შევიდნენ, ჯერ კიდევ ახლად ნანახი ფილმის ტყვეობაში იყვნენ. კინორეჟისორ ფრანსის ფორდ კოპოლას ტრილოგიის პირველმა ფილმმა „ნათლიმამამ“ ძლიერი ზემოქ-მედება მოახდინა მათზე. ერთი მხრივ, იტალიური წარმოშობის კარლეონების თითქოსდა ჩვეულებრივი, მრავალწევ-რიანი ოჯახი, ოჯახის უფროსის – ვი-ტო კარლეონეს ახლობლების მიმართ სიყვარული, ზრუნვა, ყურადღება და მეორე მხრივ კი, შეუბრალებელი და სასტიკი მაფიის მამა თავისი ამალით – შვილებით თუ ხელქვეითებით.

მარლონ ბრანდოს, ალ პაჩინოს, რო-ბერტ დუვალის და დაინა კიტონის გმი-რებზე საუბრობდნენ, რომ საშუალო ტანის, მაგრამ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდამ ქორაის თვალებზე ააფა-რა ხელები...

ფედონ ფოტიადისი ერდემირების ოჯახის ბერძენი მეგობრების შვილი იყო. ფოტიადისები მარმარილოს ზღვაში მდე-ბარე კუნძულ ბურგაზზე ცხოვრობდნენ. აილინი მალე შეეჩინა ფედონს, რომელ-მაც გულლია და მხიარული საუბრით მათ ინტელექტუალურ შეხვედრებს სიცოც-ხლე შეჰმატა.

●
პარასკევი დღე იყო. უნივერსიტეტი-დან გამოსულ აილინს ქორაი მეთვალ-ყურის ჯიხურთან დახვდა.

– „ჩვენთან უნდა წაგიყვანო, დედა-ჩემს შენი გაცნობა სურს!“

აილინი აღელდა, მოსაწესრიგებლად სახლში უნდოდა შევლა, მაგრამ ქორაი ვერ დაითანხმა.

ქალბატონმა მუალლამ კარგად მი-იღო, პატარა სუფრაც გააწყო და რო-იალზე ძველი იტალიური რომანსებიც

დაამღერა. სუფრა არ აულაგებიათ, ისე ავიდნენ ზედა სართულზე, სადაც ქო-რაის სახელოსნო იყო. ქალმა დიდი აღ-ფრთოვანებით დაათვალიერებინა შვი-ლის ნამუშევრები, მხოლოდ მოლბერტზე დადებულ ტილოგადაფარებულ ნამუშე-ვარზე ვერ თქვა ვერაფერი, რადგანაც ქორაიმ სთხოვა, ნახატი დასრულებამდე არ ენახა. ქვედა სართულიდან ტელეფო-ნის ზარი გაისმა.

ქალბატონმა მუალლამ სტუმარი დრო-ებით დატოვა. აილინი იდუმალ ნახატს მიუახლოვდა და ხელი ასწია, ქორაიმ ელვისებური სიჩქარით შეაჩერა და მისი თითები ათროლებულ ტუჩებზე მიიკრა. აილინი გაყუჩდა. ვაჟმა გულზე მიიხუტა და თავი აუნია. ქალიშვილს თვალები უბრნყინავდა. ქორაი მის სველ ტუჩებს დაეწაფა. აილინს სუნთქვა შეეკრა, შე-ბარბაცდა. ქორაიმ ხელი შეაშველა და ნახატს ტილო შემოაცილა.

– შეხედე!

– ის იყო, აილინმა ნახატს შეხედა, ოთახში შემოსულ, მუალლას ხმა გაის-მა:

– სამახარობლო! ამ დღეებში ბიძა-შენი გვესტუმრება ამერიკიდან!

ახალგაზრდებს ხმა არ გაუღიათ. ქალმა იდუმალ ტილოს შეავლო თვალი. ეს სწორედ ის ნამუშევარი გახლდათ, აილინის გაცნობის ღამეს რომ შექმნა ქორაიმ. აილინმა სემინარი მოიმიზეზა და უხერხულ სიტუაციას თავი დაალწია. გაცილება არ ინდომა, ტრამვაიში ჩაჯ-და და გახურებული შუბლი ცივ მინას მიადო.

სახლამდე კარგა მოშორებით ჩამო-ვიდა, ტროტუარს მიჰყვებოდა და მა-ლაზიის ვიტრინებს ათვალიერებდა. აფორიაქებული იყო. დღემდე ვერ გა-ერკვია, რა გრძნობა აკავშირებდათ ერ-თმანეთთან – ქორაის მეგობრული და-მოკიდებულება უფლებას არ აძლევდა, საკუთარ თავს მისადმი სიყვარულში გამოტყვდომოდა. დღეს კი ყველაფერი გაირკვა, უკვე თამამად შეეძლო ეფიქ-

რა რომ ქორრაის უყვარდა.

– ნეტა, დედამისი ცოტათი მოგვიანებით შემოსულიყო... საშინლად შერცხვა, მაგრამ თბილი ტალღები უვლიდა მთელ სხეულში. საფირმო მაღაზია „Zeki Triko”-ს წინ შეჩერდა. ვიტრინაში ქორაი შენიშნა, სახე აეტკიცა და ტუჩი მოიკვნიტა. კარგად რომ დააკვირდა, ხელში მანექენი შერჩა, რომელიც თავისი ალნაგობით ძალიან ჰგავდა მის შეუვარებულს (უკვე) და რომელსაც შავი აპრეშუმის, შვინდისფერი ლენტებით გაწყობილი შესანიშნავი პიუამა ეცვა. მაღაზიაში შევიდა და სატრფოს პირველი საჩუქარი უყიდა, რასაც მთელი თვის სტიპენდია შესწირა.



ფოტიადისების სახლში დიდი მზადება და ალიაქოთი იყო. ოჯახის ძელი მეგობარი მრავალი წლის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. სწორედაც რომ მის და-სახვედრად იმართებოდა ეს წვეულება.

კუნძული ბურგაზზი სიმწვანეში ჩაფლულიყო, ჰაერიც შესანიშნავი იყო და ზღვის ტალღების ხმაურიც სხვანაირ სიბლის აძლევდა გარემოს. სანაპირო სავსე იყო პატარ-პატარა რესტორნებით, კაფეებით. გაზეთების ჯიშურები, სასურსათო, საოჯახო წვრილმანების მაღაზიებიც მრავლად გაეხსნათ. კუნძულის მოსახლეობას თურქები, ბერძნები და სომხები შეადგენდნენ. სახლი, სადაც ამჟამად ფოტიადისები ცხოვრობდნენ, წლების წინათ ერდემირების კუთვნილება იყო, ამიტომაც გადაწყვიტეს სტუმრის აქ მიღება, მის ბავშვობისდროინდელ ფუძეზე.



ქორაი საოცარი სისათუთით ეპყრობოდა აილინს. ფედონმაც შეამჩნია მეგობრის მღელვარება, თუმცა ეს დიდი ხნის უნახავ ბიძასთან მალე შეხვედრის სიხარულად მიიჩნია.

აილინს ცისფერი, წელიდან გაშვებული

კაბა ეცვა. თმა მხრებზე ჰქონდა გადმოყრილი, ფეხებს კი ქუსლიანი, ნახევრად ლია თეთრი ფეხსაცმელები უმშვენებდა.

გაცისკროვნებული ფანჯრებიდან სტუმრების ხმამაღალი შეძახილები მოისმოდა. სალონში შევიდნენ. აილინმა ამდენ ხალხში თავი უხერხულად იგრძნო. სტუმრებს ფედონის მშობლები კართან ეგბებოდნენ. ის იყო, შედარებით მშვიდ კუთხეში ჩამოსხდნენ, რომ ქალბატონი მუალლა გამოჩნდა, რომელსაც ერთი ხელი მეუღლისთვის, მეორე კი საფეთქლებთან თმაშევერცხლილი მამაკაცისთვის მოეკიდა და გაღიმებული მათკენ მოდიოდა. ახალგაზრდები ფეხზე წამოდგნენ.

– „ჯან! აბა, თუ იცნობ ქორაის?! ხედავ როგორ გაიზარდა, შენი მხარდაჭერით უკვე კაცი დადგა“. ხმას დაუწია: „მეგობარი გოგონაც ჰყავს...“

უფროსებმა გაიღიმეს, აილინი ყურებამდე გაწითლდა, ფედონმა, უხერხულობის გასაფანტავად, რაც შეეძლო კომიკურად წარადგინა თავი უმცროსი მასპინძლის როლში.

ქორაი და ჯანი ერთმანეთს გადაეხვინენ. ორივენი ერთი სიმაღლისა იყვნენ და საოცრად გავდნენ ერთმანეთს. ქალბატონი მუალლა სიამაყით შეჰყურებდა შვილს და მაზლს. მცირე ხნის შემდეგ ქორაიმ ბიძას აილინი გააცნო. გვარი არ უხსენებია. კაცმა ამერიკული აქცენტით, ხავერდოვნი ხმით დაიღაპარაკა – „Can Erdemir, küçük sehir New-Orlean'sdan“. („ჯან ერდემირი, პატარა ქალაქ ნიუ-ორლეანიდან“ (თურქ.).

აილინს თავში თითქოს რაღაც დაჰკრეს. ყურები უგუგუნებდა – ნიუ-ორლეანი! ნიუ-ორლეანი! არზუ... ჯანი ძია... პატარა აილინი... ბეტი...

ჯანს განვდილი ხელი ჰაერში დარჩა. აილინმა, როგორც იყო, გარეთ გამოაღწია. გაოგნებული ქორაი და ფედონი უკან მიჰყვნენ. რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა.

გული ერეოდა და ოფლი ასხამდა.

მაში, ჯან ერდემირი ქორაის ბიძა ყოფილა. როგორ უნდოდა, წარსულს გაქცეოდა. სანაპიროს რომ მიაღწია, ზღვისკენ მიმავალ ავტობუსს კიბე უკვე აეკეცა. ისკუპა და ბაგირმოხვეულ რკინის ბოძს მიენარცხა. ტკივილი არ უგრძნია, ცრემლები გაშრობოდა. ქორაის და ფედონის ყვირილი არც ესმოდა.

სახლში როგორ მივიდა, არც ახსოვდა. „მოგონებების ოთახში“ ავიდა, აქ კი უკვე ვეღარ შეიკავა ტირილი და აღრიალდა. კედლებიდან იბრაჟიმი, თურქანი და არზუ უყურებდნენ. მთელი ღამე ბოდავდა. გათენებისას ჩაეძინა ძალაგალეულს.

...დილით კარზე ზარის ხმამ გამოაღვიძა. დამძიმებული ქუთუთოები ძლივს გაახილა. ზარი შეწყდა... მცირე ხნის შემდეგ საწოლი ოთახის მხრიდან ძახილი გაისმა – ქორაი ეძახდა. ადგომა არც უცდია, თავზე ბალიში დაიფარა და მნარედ აქვითონდა.

გვიან ღამით წამოდგა. ბარბაცით შევიდა სააბაზანოში და მუხლზე შემსარი სისხლი მოიბანა. ფეხი ჩაშავებოდა და სიარულსაც უშლიდა. სარკეში მისი ორეული გამოჩნდა. თვალები სიმწრით მოხუჭა – არ უნდოდა თმაგაბუებული, თვალებჩავარდნილი, ტუჩებდა-ხეთქილი უბედური არსების დანახვა.

●

ქორაის აღარ შეხვედრია. ახალი სემესტრიდან საბუთები ანკარაში, ბილქენთის უნივერსიტეტში გადაიტანა და ხელოვნების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თავის თანაკურსელს გაჰყვა ცოლად. შვილი არ ეყოლათ, რასაც მისი თანამეცხედრე ძალიან განიცდიდა. რაც წლები გადიოდა, აილინს უფრო და უფრო უჭირდა მასთან ცხოვრება. ცოლ-ქმარი თავ-თავის კუთხეს მიკედლებოდა და ზოგჯერ დღე ისე გავიდოდა, ერთ სიტყვასაც არ ეტყოდნენ ერთმანეთს. მათ შორის სიყვარული კარგა ხანია აღარ იყო, ისედაც –

აილინი ხომ წარსულის დავიწყების იმედით გაჰყვა.

ქორწინების მეათე წლისთავზე მოკრიფა გუდა-ნაბადი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სტამბულს მიაშურა.

ჩაუანგებული საკეტი ძლივს გახსნა და პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ ავიდა „მოგონებათა ოთახში“ და წლების მანძილზე დაგროვილი ბოლმა ხმამაღალი ტირილით ამოანთხია.

ამიერიდან იწყებოდა მარტოობის პერიოდი. რამდენიმე სამსახურის გამოცვლის შემდეგ ხელოვნების გალერეაში ხელოვნებათმცოდნედ დაიწყო მუშაობა. სიმარტოვის გასაქარვებლად უსახლკარო კატა შეიკედლა. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ამგვარად აილინმა თავის სამ ფისოსთან ერთად საკმაოდ მშვიდი ცხოვრება დაიწყო.



ქორაის სტამბულში ჩამოსვლის მესამე წელს შეხვდა გალერეაში, მორიგი გამოიჟენის დროს. აილინმა უფრო ადრე შენიშნა გამომწვევად ჩაცმული, ხმამაღლა მოსაუბრე ქალის კავალერი – თმაშევერცხლილი და ოდნავ მოტეხილი. უფლმა გამაღებით დაუწყო ძგერა. ქორაი ერთხანს შედგა, მერე შორიდან დაუკრა თავი და ნახატების დათვალიერება განაგრძო.

განადგურებული აილინი იძულებული იყო, თავისი საქმე გაეგრძელებინა და დამთვალიერებლების ცნობისმოყვარე კითხვებისთვის პასუხი გაეცა. მის სმენას წარამარა სწვდებოდა ქალის გამომწვევი კიკასი. ბოლოს მასაც მიუახლოვდა:

– „უახლოეს ხანში ჩემი მეუღლის ქორაი ერდემირის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა იმართება თქვენს გალერეაში. იმედი მაქვს, საუკეთესოდ წარუძღვებით პროგრამას. გაგეცნობით, მე ფულია ერდემირი გახლავართ!“

აილინს გულში ძლიერმა ტკივილმა დაუკრა და ხელი უნებლიერ მკერდზე მიიღო.

ქორამი ქალს ხელკავი გამოსდო და იფიციალურად გამოემშვიდობა გაფითორებულ აილინს.

●

გამოფენა-გაყიდვამდე ქორაი ერდე-მირი გალერეაში მარტო მივიდა. წარ-სულზე არ უსაუბრიათ, მხოლოდ საქ-მეზე ლაპარაკობდნენ. არადა როგორ უნდოდა აილინს უპასუხო კითხვებზე გაეცა პასუხი... ჩანს, განვლილ წლებს მთლიანად ამოერეცხა ქორაის გული-დან მისი ლანდი. თამაში აილინიც აჰყ-ვა და გამოფენამდე ახლად გაცნობილი კოლეგებივით იქცეოდნენ. სული უტი-როდა. ანკარაში ცხოვრების პერიოდ-ში რამდენჯერ ამოულია ცელოფნიდან სათუად დაკეცილი, მისთვის ნაყიდი პიუამა. დაუყოსია, დაუთვალიერებია საგულდაგულოდ დამალული ფოტოები და მხოლოდ მასთან ხელახალი შესვედ-რის იმედით გაუთენებია უსაშველოდ გრძელი დამებები. ის ხომ წარსულის ერთ წერტილს მიყინვოდა. წლებს ვერ წაეშალა ის თბილი გრძნობები, რომ-ლებიც ეხმარებოდნენ, ძალას მატებ-დნენ ულიმდამ დღეებთან ბრძოლაში. აილინმა ქორაის სახება ცისარტყე-ლის გასაოცარი ფერებით ატარა გუ-ლით და გონებით იმ იმედით, რომ მო-ვიდოდა დრო, როცა იქიდან გააგრძე-ლებდნენ ურთიერთობას, სადაც შენ-ყვიტეს, თანაც ყოველგვარი საყვედუ-რის გარეშე. მას ყოველთვის სჯეროდა ამ დღის დადგომის. სამწუხაროდ, ვერ

გაიაზრა, ვერ მიხვდა ქორაის მხრიდან რამდენად შენარჩუნდებოდა გრძნო-ბათა სიხასხასე. შეურაცხყოფილი და მიტოვებული ახალგაზრდა კაცი განა რამდენ ხანს იგლოვებდა გაუჩინარე-ბულ სატრფოს?!

ქორაი ცხოვრებას აჰყვა, ნაბიჯ-ნაბჯ დასცილდა აილინისეულ სამყა-როს და ახლა შორიდან რომ დაგენახ-ვებინათ იმ პერიოდის საკუთარი თავი, იქნებ, ვერც ეცნო ან უკეთეს შემთხვე-ვაში, გალიმებოდა ახალგაზრდა, რო-მანტიკოსი მხატვრის დანახვაზე? ვინ იცის...

ერთი რამ ცხადი იყო, მის გვერდით მყოფი ქალი არაფრით არ ჰეგვდა აი-ლინს, არც გარეგნულად, არც სული-ერად.

ქორაი ერდემირს აღარ მოსწონდა აილინისნაირი ქალები. ცხოვრებას იგი ძირეულად შეეცვალა, თავის ჩარხში გაეტარებინა და თითქოს ყველა მანკი-ერი თვისება მიეცა მისთვის, როგორც ამბიციური ადამიანისთვის.

აილინის ოცნების კოშკი კი დამ-სხვრეულიყო. მისი ადგილი არაფრის-მთქმელ სიცარიელეს დაეკავებინა. აღარ ჰქონდა იმედი, მაცოცხლებელი სტიმული, ის მართლა მარტოსულად დარჩენილიყო...

კალთაში სითბო იგრძნო – ერთ-ერ-თი ფისო ნებიერად მოკალათებულიყო მის მუხლებზე. გაულიმა და მასთან ერ-თად ზედა სართულზე ავიდა...

ლებიუტი

თეონა ბითაძე

წესები

ასე წვიმიანი აგვისტო არ მახსოვს,
ძალიან ახლოა ფიფქებზე ფიქრები...
უაზრო განწყობას თითქოს ცა მკარნახობს
და მეც სევდიანი სინათლით ვინთები.

დღეს მისაყვედურეს გრძნობების აყოლა,
მთხოვენ, რომ ჩარჩოში მოვექცე წესების...
ეჱ, როგორ ავუხსნა, რომ, როცა მარტო ვარ,
წესებო,
დარდად და წვიმებად მესევით.

დილითაც ჩამოსხდნენ რაფაზე მტრედები,
აკენკეს, მიიღეს მცირედი ულუფა...
დრო ისე ცოტა მაქვს, როდესაც შენ გხვდები,
მაგრამ... რა თქმა უნდა, წესები – გულუხვად!

შემინდეთ, შემინდეთ გრძნობების აყოლა,
არ ვუსმენ იმ ჩუმ ხმას, წესებს რომ მკარნახობს...
ეჱ, როგორ აგიხსნათ, რომ ხშირად მარტო ვარ,
ასე წვიმიანი აგვისტოც
არ მახსოვს...

სად ხარ

აქამდე სად ხარ – შემოაკლდი ეზოს,
ქვაფენილს,
უშენოდ ვხვდები სეზონების გარდაცვალებას
და თეთრეულსაც, აივნებზე გაშლილ-გაფენილს,
ხიბლი აკლია უშენოდ და
ვგავარ წამებას.
ვამჩნევ, რომ ტანი აუყრიათ მეზობლის ბავშვებს,
მათ ბაძავენ და იზრდებიან ციცქანა ხეები...

თუმცა ქუჩები ვერ იქნება უშენოდ სავსე,
გელოდებიან შუქნიშნები, მოსახვევები...
ხოლო ეზოში აივნები
თვალებად იქცნენ,
ო, რა ამაოდ რეცხავს წვიმა ლოდინის ნაღველს...
ეს მერამდენე წელი დგება, რაც ჩემი დილა
ცრემლიან თვალებს შენს გარეშე ხუჭავს და ახელს...

ჩამოდი

გთხოვ, აუცილებლად ჩამოდი აპრილში,
ხეების კვირტები ერთად რომ გავშალოთ.
დღეს ასე მგონია, ცხოვრების ნაპირში
მიმაგდო სევდამ და... უნდა, რომ წამშალოს.

ზამთრის ცა სუსხს მატებს წარსულზე კაეშანს,
დღეებსაც ფიქრივით უხეშად აგრძელებს
და ვფიქრობ, რომ არსად არ უნდა გამეშვა
ის, ვინც ხიბლს მატებდა ზამთარს და ფანტელებს.

იმდენი რამე მაქვს დღეს შენთვის სათქმელი...
იანვრის დღესავით მამუქებს სიჩუმე...
და როცა გაახლებ ყველა დარდს გამხელილს,
ისევ ძველებურად შენ გვერდით ვისურვებ

ყოფნას და... იქნება, ოცნება ამიხდეს,
იქნება, გვაკმაროს სიშორე განგებამ...
თუ მოხვალ, ადგება იანვრის სევდა და
აპრილის სითბოში თოვლივით ჩადნება.

მარტოობა

მემდურებიან,
რომ სიშორის მმოსავს მანტია
და უფრო მდორედ ფეთქავს გული,
უფრო მოწყენით.
მოგონებების დიდ ბუხარში
ცეცხლი ანთია
მე კი სევდისგან ვიძარცვები
და ვიმოსები...

ოდნავ დალლილი,
ავსებული ფიქრის ბუშტებით,
ზოგისთვის, ალბათ,
უცნაური სანახავი ვარ.
ოცდაერთი რომ მოახლოვდა, არ ვეურჩები,

უკვე დიდი ვარ,
ჩემს გზას თითქოს ვიწყებ თავიდან.

გასვლა არ მინდა ამ საღამოს –
ქუჩა მომბეზრდა...
ვერ ვეგუები სხვა ქალაქის უცხო სახეებს...
დიდი ოჯახი, შუქით სავსე,
ნეტავ, მქონდეს და...
ეჰ, ჯერჯერობით მარტოობის ჭლექით
მახველებს...

თუ ისიც მიდის, მე და სევდა
ვრჩებით მარტონი,
უდედოდ ქარი ძვლებში ატანს,
ისე მწარედ ქრის...
წარბს შეკრავს წესის მოყვარული ჩემი პატრონი
და ამ ყველაფერს
უმადურის ბოდვად ჩამითვლის.



გიორგი შერვაშიძე

მამლაყინწები


მახსოვს, ერთხელ, მამლაყინწებისას, საქმეზე წავედი. მე და ერთი ჩემი სიყრმის მეგობარი ვიყავით. აი, ისეთი მეგობარი, მარტო სიყრმეში რომ არის შესაძლებელი გყავდეს და ზრდასრულობაში კი თითქმის შეუძლებელია, მასთან სადმე გადაიკვეთო. ჰოდა, წავედით. ალბათ, ფული გვჭირდებოდა. რისთვის გვჭირდებოდა, ზუსტად არ მახსოვს, რადგან იმ დროს ფულის დასახარჯი ადგილებიც არ იყო ბევრი. სავარაუდოდ, იმდროინდელ ცხოვრების რიტმს უნდა ავყოლოდით და რამე სისულელე გვექნა. მაგალითად, გვეყიდა ბასრი დანა და ან კი უარესი, იარაღი. ჰო, ალბათ, ეგრეც იქნებოდა. სწორედ ის დრო და ასაკი გვედგა, მუშტისა და კეტის ქნევით ფონს რომ ვერ გახვიდოდი. დაიჩაგრებოდი. სიმართლე ითქვას, არც ის იყო იარაღის მყიდველი და არც მე, რადგან სულაც არ ვტრიალებდით იმ წრეში, სადაც ეგეთი რაღაცები ხდებოდა. თუმცა, ცოტაოდენი ფული და მონდომება თავისთავად არ გამორიცხავდა ალბათობას, რომ მილიციელისგანაც კი გეყიდა ეს უკანასკნელი. და მერე შენ ამ იარაღის ხმარება თქვი? კაცს უნდა მიუშვირო და ესროლო. თუნდაც ფეხებში. და აქაც, ალბათ, არც ის იყო მსროლელი და არც მე, თუმცა ასაკი გვქონდა მამლაყინწერი და მაგ დროს კიდევ სისხლში მკვახეთვით ციტიტები. აბა, ახლა, ერთი წარ-

მოიდგინეთ, ქამარში, ზურგს უკან ნაგანს რომ გაირჭობ, სისხლი თავში მოგაწვება და გული კი სიამაყისგან ყელში გებჯინება, ვინდაა შენი გამჩერებელი? ძალიან ბევრი სხვა მამლაყინწა. კეტიანი, მუშტიანი, ქვიანი და ფიშტოიანი მამლაყინწა, რომლებიც იმ დროს იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მთელი ქვეყანა ერთ დიდ საქათმეს ჰგავდა. არა, განა ახლა არ არიან ეგეთები? ახლაც არიან და მომავალშიც იქნებიან, თუმცა სხვაობა ის არის, რომ მაშინ მამლაყინწობა ცხოვრების წესი იყო და დიდადაც ფასობდა. დიახ, არც გართობა იყო, არც სწავლა, გავლა, კინო და თეატრი. წიგნებით სახლებს ათბობდნენ და მორალით კიდევ სიღარიბეს. მოკლედ, არავის არაფრისთვის სცხელოდა და საქათმეშიც გამუდმებული კრიახი და მამლების ჩხუბი იყო გამართული. ამ ყველაფრის შემხედვარე მამლაყინწები კი კისრებს იგრძელებდნენ და უფროსებს ბაძავდნენ. დიდ მამლებს. დეზებიანებსა და ბიბილოიანებს. უნამუსოებსა და სანახევროებს. „უტვინოებსა და „ოთხკლასგანათლებულებს“. მტყუანებსა და საკუთარი სიმართლის მაძიებელთ. სწორედ ამიტომაც ძალზე ფასობდა გაფხორილი სიარული და ყოველი ნორჩი მამლაყინწაც მხურვალედ ცდილობდა, უკეთესი ადგილი დაეკავებინა საქათმეში.

ეს, საქმეზე წავედით-მეთქი, ცოტა არ იყოს ხმამაღალი ნათქვამია, რადგან

ბევრი ვერაფრის გამკეთებელნი ვიყავით. მძარცველებად და ჯიბგირებად არ ვივარგებდით. არც ხეირიანი ქურდები და ყაჩალები გამოვიდოდა ჩვენგან. ამიტომაც ყველაზე მარტივი და იმ დროს მიღებული საქმე განვიზრახეთ, ანუ მანქანიდან მაგნიტოფონის მოპარვა. დიახ, მარტივი, იმიტომ რომ დიდ ჭკუასა და გამოცდილებას არ მოითხოვდა და მიღებული, რადგან ყოველი მეორე მამლაყინნა ამ საქმით იყო გატაცებული. წამხალისებელიც ბევრი ჰყავდათ და დაზარალებულს კიდევ ვინ მოთვლის. მოპარული ადვილად იყიდებოდა, ნაქურდალის შეძენა ცუდ ტონად სულაც არ ითვლებოდა და დაზარალებულს კი ჩვენებასაც არავინ ართმევდა. ჰოდა, ნახევარსაათიანი წანწალის შემდეგ მივადექით იმ ერთადერთ ავტომობილს, რომლის მეპატრონესაც იმავ დღისით რაღაცაზე ძალიან უნდა დასწყდომოდა გული და უამრავი ადამიანი მოეხსენიებინა ფრიად უხეირო ფორმით. ჯერ გარშემო რამდენიმე წრე დავარტყით, ლეშზე მიმდგარი ტურებივით და მერე, როგორც იქნა, გავტედეთ კბილის მოდება. შიგ ჩავიხედეთ და ბასტა. მშვენიერი, ციმციმა მაგნიტოფონი არ ჩაუტოვებია შიგნით უნიათო პატრონს? ახლა უფრო ფართო და გაშლილი რადიუსით შემოვურპინეთ გარს. დავზვერეთ, ხაფანგი ხომ არ იყო დაგებული და ლეშის პატრონი ხომ არ

გველოდა ჩასაფრებული სადმე. არავინ სჩანდა. ეგდო მძორი უმეთვალყურეოდ. დადგა მოქმედების დრო. მე განზე გავდექი და „გავყარაულდი“, ხოლო ჩემი მეგობარი ზედ მივიდა. დააძრო ჯიბიდან დამსხვრეული „სვეჩხბის“ ნატეხი, დააფურთხა და გვერდითა საქარე მინას სტყორცნა. შუშამ ერთი დაინკარუნა და ისე ჩამოიშალა, თითქოს ფერადი საწუნი კანფეტებისაგან ნაშენი სასახლე ყოფილიყოს, რომლისთვისაც ძირი გამოეცალათ. დაძაბულობისაგან ჩემი თვალები ჩემივე ყურებისხელა გახდა და მეგობრისა კი პირიქით, რადგან სწორედ ამ დროს ჩაირთო სიგნალიზაცია და ისეთი კივილი მორთო, რომ საბოლოოდ გამაფუჭა. იმან კიდევ, ამხანაგმა, პირიქით, ენთუზიაზმი იგრძნო და ისე შესრიალდა ჩამსხვრე-



ულ ფანჯარაში, კარიც არ გამოუღია. მე შიშისაგან გული გამიწვრილდა და ავტომობილს კი ძრავი. მანქანა ისეთი ძალით ირწეოდა ხან ერთსა და ხანაც მეორე მხარეს, რომ ლამის ამოყირავდა. აშკარად, დიდი ბრძოლა და ჭიდილი გაემართათ ჩემს მეგობარსა და მაგნიტოფონს, რომელიც, ვგონებ, სულაც არ აპირებდა ადვილად დანებებას.

სწორედ ამ დროს შემომესმა ფრიად საუცხოო ხმა. ხმა, რომელიც არც ყვირილს ჰეგავდა და არც ძახილს. ხმა – იმდენად მძლავრი და დამუხტული, რომ უმალ გადაფარა სიგნალიზაციის გულისგამანვრილებელი წიოკი. უნებურად ზევით ავიხედე და შევნიშნე, ვიღაც ორი ჯელი გადმომდგარიყო მაღლივი სართულიდან, ისე გამეტებით იქნევდნენ ხელ-ფეხს, რომ იმათგან „დაბერილი“ ნიავიც კი ვიგრძენი. ღრიალებდნენ, მაგრამ რას ღრიალებდნენ. რაღაცით ძალიან ჰეგავდნენ უკაცრიელ კუნძულზე გარიყულ მეზღვაურებს, რომლებიც ბეჯითად ცდილობდნენ გამვლელი გემის ყურადღების მიქცევას. აი, დაგვერხა, მძორის პატრონი გამოჩნდა-მეტქი, გავიფიქრე და მეგობარს დავუყვირე, წავედით-მეტქი. იმან კიდევ მანქანიდან თავი გამოყო, ზევით აიხედა და გონებაში სართულები გადათვალა. როგორც მივხვდი, იმათი დაშვების სიჩქარე გამოიანგარიშა და მერე თავისთვის საჭირო დროს შეადარა. მართალია, დასკვნები ფურცელზე არ გადაუტანია, მაგრამ ღიმილზე შევატყვე, გამოთვლებით კმაყოფილი დარჩა. ერთიც მიეძალა და აი, მაგნიტოფონი უკვე ხელთ ეპყრა და მანქანიდან უკან მოძვრებოდა. ზუსტად იმ წამს სადარბაზოს კარი გაიღო და აქტის ბოლოს სცენაზე დაზარალებულებიც გამოჩნდნენ. მათი მოძრაობები ოდნავ შენელებული და განელილი მეჩვენა. თითქოს, სხვის სიზმარს ვხედავდი, სადაც დრო უფრო ნელა მიედინებოდა. უმალ მივხვდი, რომ სრბოლა

დაწყებულიყო და მე კი ვიგვიანებდი. დაზარალებულები რატომლაც პირდაპირ ჩემკენ გამოემართნენ. ავად იქნევდნენ კეტებს და უშვერი სიტყვებით მლანძლავდნენ. ჩემი მეგობარი კი ხიდან ჩამოხსნილი კნუტივით იხუტებდა გულში მაგნიტოფონს და სულ სხვა მიმართულებით გარბოდა. რაღას ვიზამდი – მეც გავიქცი და ისინიც მომყვნენ. სირბილი კიდევ, იცოცხლე, კარგი ვიცოდი. დიდი ნაბიჯებით და აჩქარებებით. ეს უნარი კი საკმაოდ განვითარებული მქონდა, რადგან მამლაყინწობისას ძალზე საჭირო გახლდათ და ვინც კარგად ვერ დარბოდა, ხშირ შემთხვევაში, გალახულიც ის რჩებოდა.

გავიქცი და გამომეკიდნენ. მივრბივარ და მომსდევენ. მაგინებენ და ვაგინებ. თითქოს, „ბარი-ბარში“ ვართ, უბრალოდ, ისინი სამნი არიან და ძლიერ გაჯავრებულ-მოტივირებულები და მე კიდევ სამუალოდ. ზუსტად ვიცი, რომ დამიჭირონ, შავ დღეში ჩამაგდებენ. მეც გავრბივარ და თან ისე სწრაფად, რომ გზად შემხვედრ საგნებს, ნივთებსა და ადამიანებს ვეღარ ვარჩევ. ცარიელი ინსტინქტი ვარ. შევხტი რაღაც ბუჩქნარში და თავს გადავევლე წინ დამზღდურ მესერს. ჩავირბინე დაღმართზე და სანაპიროზე გავედი. მკვეთრად მოვუხვიე მარცხნივ და ისე სწრაფად მომივიდა, რომ მოტომსრბოლელივით ხელითაც კი შევეხე მინას, რათა წონას-წორბა არ დამეკარგა. პირველი ეტაპი თითქოს წარმატებითაც დავძლიე და დაზარალებულებიც სოლიდური მანძილით ჩამოვიტოვე, თუმცა ამ სისწრაფეში რაღაც მაინც შემეშალა. ვეღარ შევნიშნე ჩემ წინ გაბმული გამაფრთხილებელი ნიშნები და ფერადი ლენტები. ფინიშის ხაზს რომ კვეთენ მორბენლები, ზუსტად ეგრე, სხეულით გავჭერი რამდენიმე რიგი ზონარებისა და ერთი ნახტომით გადავევლე თავს ჩემ წინ აღმართულ პატარა ფიცრულ მაგიდას. გასაოცარია, მაგრამ ბოლო დაბრკო-

ლების დაძლევის შემდეგ, ჩემთვის გაურკვევლი მიზეზების გამო, მოძრაობა ველარ შევძელი. ძლივს გადავდგი ათონდ ნაბიჯი და გავჩერდი. უნებურად, ჯერ დაბლა და მერე კი გვერდით გავიხედე. აღმოჩნდა, რომ მუხლამდე ცემენტის ხსნარში ვიყავი ჩაფლული.

იქვე იჯდა ორი გაოფლილი მუშა, რომელთა გვერდით ჯერ კიდევ სველი ნიჩბები ეყარა. მესამე კი, ჩემ წინ მუხლებზე დამხობილიყო და გრძელი ფიცრით ბეტონს ასწორებდა. როგორც მივხვდი, იმ ორს უკვე გაესრულებინა ცემენტის ხსნარის დასხმა და ახლა ამ მესამეს საბოლოო შტრიხები შეპქონდა მათ ერთობლივ საქმეში. საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი დაესხათ. უშველებელი მართულთხედი. და აპა, ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმათი გულის-წყრომა, როდესაც მიხვდნენ, რომ მთელი შრომა წყალში ჩაეყარათ? ის ორი უმაღ სველ ნიჩბებს დასწვდა და იმ მესამემ კი თავისი უშველებელი ფიცარი ცის კიდემდე აღმართა. ბოდიშების მოხდის დრო აღარ მქონდა, რადგან მდევარი მიახლოვდებოდა. ამიტომაც კიდევ რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმა და მათი შემოქმედების საბოლოოდ გადათელვა მომინია. მართალია, მეც დამწყდა გული მათ შეშედვარქს, მაგრამ, როგორც კი მყარი ნიადაგი დავიგულე ფეხევეშ, უკანმოუხედავად მოვკურცხლე. ან კი რად მინდოდა უკან მოხედვა, როდესაც ისედაც ზუსტად ვიცოდი, რომ ახლა, უკვე სამი კაცის ნაცვლად, ექვსი მომსდევდა.

ამ მცირე ინციდენტმა საკმაოდ ბევრი დრო დამაკარგვინა. მეც მოვუმატე და უფრო სწრაფად ავმუშავე ჩემი ფეხები, რომლის იმედადაც იყო დარჩენილი სხეულის სხვა ნაწილები. წინ რაღაც ბორცვისმაგვარი შევნიშნე, რომლის თავზეც ნაცნობი კორპუსი მეგულებოდა, მის წინ კი პატარა სკვერი იყო და იქ ვიმედოვნებდი ადვილად დამალვას. პირდაპირ იქით ავიღე გეზი და

სიმაღლე რომ დავძლიე, წინ გრძელი, დასასვენებელი სკამი შემომეგება. დაუფიქრებლად გადავახტი და ის სულაც არ გამითვალისწინებია, რომ ზედ შეიძლება, ვინმე მჯდარიყო. არადა, იჯდა. ვიღაც გვარდიელი. ეგეც იმ დროის ერთ-ერთი ფეხომენი და განუყრელი ატრიბუტი. ანუ, სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდების ჯგუფის წევრი, რომლებიც სრულიად უმიზეზოდ დახეხტებოდნენ დედაქალაქში და მაგრად ირტყმევინებოდნენ თავიანთი მძიმე ჩექმებით. თანაც, თურმე, ეს ოჯახეორი, მარტო არ იყო. ვიღაც ძალზე შეუხედავ გოგოსთან ერთად იჯდა, რომელსაც დიდი რუდუნებით იკრავდა გულში და ასევე დიდი მონდომებით უკოცნიდა დახეთქილ ტუჩებს. ჩემდა სამწუხაროდ, იქვე, გვერდით სკამზე, ისხდნენ მისი მეგობარ-გვარდიელებიც, რომლებიც უტიფრად მისჩერებოდნენ თავიანთი ამხანაგის სასიყვარულო სცენებს და განგებ იმღვრევდნენ თვალებს. ან კი უბრალოდ რიგში იდგნენ და თავის ჯერს ელოდნენ, რათა იმავე შეუხედავი გოგოსაგან მიეღოთ კუთვნილი წილი ალერსისა. ბედის ირონიით, როდესაც სკამს გადავევლე თავს, სწორედ ამ ქალბატონს წამოვკარი ფეხი. მართალია, მე წონასწორობა შევინარჩუნე, მაგრამ აი, იმან კი ვერა. ჩახარა თავი და ვგონებ, დროებით მწყობრიდანაც გამოვიდა. აი, ეს ამბავი კი დიდად არ მოეწონათ იქ მჯდომ გვარდიელებს. ნალდად, გულწრფელად შევწუხდი, როდესაც მოვიხედე და ასეთი სურათი დამხვდა. ეგრევე მივხვდი, რომ ბოდიშით აქაც ვერას გავხდებოდი. და, ალბათ, ის არც არაფერში სჭირდებოდათ, რადგან ბევრს ნამდვილად ვერც ვერაფერს უწამლებდა იმათ მომატებულ პოტენციას.

ისევ იმრავლეს ჩემმა მდევრებმა. სამ ძარცვის მოწმესა და ასევე სამ შეურაცხყოფილ მუშას ახლა სამი სექსუალურად დაუკმაყოფილებელი გვარდი-

ელი შეემატა. წარმოდგენაც კი მზარავდა, რა დღეში ჩამაგდებდნენ, იმათ რომ ხელში ჩავვარდნოდი. ამიტომაც, სანამ ისინი, ყველანი ერთად და სათითაოდ, გაერკვევოდნენ თუ ვინ, ვის, სად, როდის და როგორ მისდევდა, მე დრო ვისელთე და ნაცნობი კორპუსის „არკაში“ შევვარდი. სწრაფად გადავირბინე ეზო და პირველსავე სადარბაზოს შევაფარე თავი. აი, კიბეზე სირბილით ასვლა კი, უკვე ნამდვილად გამიჭირდა. დაღლამაც თავი იჩინა და ენაგადმოგდებულმა ძლივს მივატანე მეხუთე სართულამდე. შესვენება ვცადე. არაფერი გამომივიდა, რადგან გარედან შემოსული ყვირილისა და ჩოჩელის ხმა ისევე მასტიმულირებდა, როგორც რომ ვირს ცხვირის წინ დაკიდებული თივა და მეც, ჩემდა უნებურად, განვაგრძობდი მოძრაობას. მდევრებმა აშკარად ვერ შენიშნეს ჩემი უკანასკნელი მანევრი და სადარბაზოშიც არავინ შემოყოლია. სამწუხაროდ, ჩემს თავს დატეხილ განსაცდელთა კასკადი ამით არ დამთავრებულა. ბოლო, მეცხრე სართულზე, კიდევ ერთი მოულოდნელობა მელოდა – უზარმაზარი ნაგაზი, რომელიც ბოროტად მიღრენდა და ერთდროულად მანახებდა ყველა კბილს.

ახლა კიბეზე თავდაღმართში სირბილი მომიწია. სიმწრისაგან სულ სამ-სამ საფეხურს ვახტებოდი. ჩემი გამოთვლით, ძალმა მეექვსე სართულამდე მსდია, მაგრამ მე პირველამდე მაინც ვერ დავიჯერე ეგ ამბავი. ვგონებ, პატრონმა უხმო თავისთან და ან კი უპრალოდ ჯაჭვის სიგრძე აღარ ეყო. უცნაურია, მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, რა უნდოდა ამხელა ძალლს იქ? დამდუღრულივით გავვარდი გარეთ და დაუფიქრებლად შევვარდი გვერდითა სადარბაზოში. ეზო ცარიელი მეჩვენა, მაგრამ, ისე ვიყავი შეშინებული, ვერავინ დამარნმუნებდა, აღარავინ მოგსდევსო. ვეღარც ვერაფერს ვხედავდი და აღარც არაფერი მესმოდა. კეფა

მიფეთქავდა და შუალედებში სუნთქვას ვაჩერებდი. მესამე სართულამდე ძლივს ავბობლდი და მერე იქვე, კიბეზევე ჩავიკეცე. თვალებში დამიბნელდა და გული ამერია. სწორედ ამ დროს კარის გალების ხმა შემომესმა. ძლივს ავწიე თავი და ვიღაც ჩასკვნლი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც კიბის თავში იდგა და გულდასმით მათვალიერებდა. მას ცალ ხელში „პოლის ჯოხი“ ეჭირა და მეორეში კი წყლიანი ვედრო. ისეთი ზიზღითა და მრისხანებით აღსავსე სახე ჰქონდა, ეგრევე მივხვდი, რომ მასაც უსაზღვროდ გავურთულე ცხოვრება. რაღაც ჩაისისინა და მოულოდნელად თავზე გადამასხა ვედროს შიგთავსი ბინძური წყალი. მართალია, ამან გვარინად მომაფხიზლა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ პუტკუნა ქალბატონს ეს საქციელი ჩემს გამოსაცოცხლებლად სულაც არ ჩაუდენია. დავინახე, როგორ მოიმარჯვა იატაკის საწმენდი ჯოხი და კიბიდან წყლის გადარეცხვა დაიწყო. მივხვდი, რომ სულ მალე ჩემი ჯერიც დადგებოდა და სანამ ის ტურტლიანი ტილო მომწვდებოდა, გაცლა ვამჯობინე. ბანცალით ჩავიარე კიბე და გარეთ გავედი. იქ კი ისევ ის დღე დამხვდა, რომელიც სადარბაზოში შესვლამდე იდგა. ღონებისდილი წავლასლასდი სახლისკენ. უსაზღვროდ სველი, დაღლილი და შეურაცხყოფილი ვიყავი. და აბა, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა გუნებაზეც დავდგებოდი, როდესაც უბანში ის ჩემი მეგობარი დამხვდა და ყოვლად მოურიდებლად მახარა, ბიჭო, ისე სწრაფად გავრბოდი, რომ მაგნიტოფონი ხელიდან გამივარდა და გატყდათ. რაღას ვიზამდი? არაფერი მითქვამს. არადა, სწრაფად სირბილი და გულის გატყდომა მაგას ჩემი უნდა ენახა?!

სამი თვის შემდეგ სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ის მაგნიტოფონი იმ ჩემს მეგობარს სულაც არ გასტეხია – თავისი მეზობლისთვის მიუყიდია და

თანაც საკმაოდ სარტიანად. გასაკვირია, არა? და აკი, თავიდანვე გითხარით, აი, ისეთი მეგობარი იყო-მეთქი, მარტო სიყრმეში რომ არის შესაძლებელი გყავდეს და ზრდასრულობაში კი თითქმის შეუძლებელია, მასთან სადმე გადაიკვეთო-მეთქი.

ყოჩაღი ოლეგი

ოლეგი ბავშვობიდან ყოჩაღი იყო. ყოველ შემთხვევაში, ბებიამისი იძანდა ასე და მასაც მხურვალედ სჯეროდა ამისა. მეტიც, ძალ-ლონეს არ იშურებდა და მცირედ საშუალებასაც არ უშვებდა ხელიდან, რათა ეს სიყოჩაღე კი-დევ ერთხელ დაემტკიცებინა როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე თანასოფლელთათვის. მაგრამ იმ ღამით მისმა ნამოქმედარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და აღელვებულ ბებიას კი სამუდამოდ გამოულო საიქიოს კარი.

იმ ღამით ოლეგს თვალი არ მოუსუჭავს. ღელავდა და თან ძალიან. უკვე ათასჯერ დაეტრიალებინა თავში თავისი გეგმა და სიმართლე ითქვას, სრულყოფილებამდე არც არაფერი აკლდა, რომ არა გულს შეჩენილი შფოთი. საკუთარ წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. თვალნათლივ ჰქონდა წარმოდგენილი თითოეული ნაბიჯი და მოქმედება, მაგრამ იყო კიდევ რაღაც. რაღაც სხვა, რაც ძალზედ აფორიაქებდა და რასაც ვერ უმკლავდებოდა. უბრალოდ, დროებით ივინწყებდა ხოლმე და მერე – ისევ იგივე შფოთი. შესაბამისად, ღელავდა. შუალამემ რომ მოატანა, ჩუმად ჩაიცვა ტანთ და ფეხსაკრეფით გავიდა ეზოში ისე, რომ ბებია არ გაელვიძებინა. არავისთვის არაფერი უთქვამს. მოხუცის-თვისაც კი არ გაუნდია თავისი გულის წადილი. იფიქრა, ასე უფრო გავახარებ, როდესაც მოულოდნელად გაიგებს და იხილავს ჩემს ნავაჟუაცარსო.

საჭირო ხელსაწყოები დღისითვე

ძელ თონეში გადაემალა და კიბე კი-დევ ისედაც ჭიშკართან იყო მიყუდებული. ზურგზე მოიკიდა მომცრო გუდა და ურდული უხმაუროდ გამოწია. დასწვდა საკმაოდ გრძელ კიბეს, სიგრძით შემოიგდო მხრებზე, რათა ძირს არ დასთრეოდა და ფრთხილად გაიტანა გარეთ. ძალლი აედევნა წერტუნით, მაგრამ უკანვე შეაგდო, რადგან დაგეგმილის განხორციელებაში თანამზრახველები სულაც არ სჭირდებოდა და მით უმეტეს, ოთხფეხა. კიბე გრძელი იყო და წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა. გარეთ ბნელოდა. ჭრაქი არ უხმარია, რადგან უცხო თვალს ერიდებოდა. გუმანით მიჰყვა შარას და ფეხებს ისე ფრთხილად ადგამდა, თითქოს ყინულზე მიდისო. მეზობლის სახლის კუთხემდე თითქმის სუნთქვაშეკრულმა იარა, რათა ზედმეტი ხმა არ შეერია ბინდისთვის. აი, იქ კი, კუთხეში, მკეთრად გადაუხვია გზიდან და ანწლის ბუჩქებში შეჯლიგინდა. ბოგირს დაუყვა და სოფლის განაპირას გავიდა. ახლა ისე აღარ ფრთხილობდა. კიბის ცალი, უკანა გვერდი დაუშვა და ხმაურიანად ამოისუნთქა. მთელი სხეული უთროთდა. ცოტა დაღლილიყო კიდეც, მაგრამ დასახული მიზანი ძალას მატებდა. კიბის თრევა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ზურგით ზიდვა და გზაც დანიშნულების ადგილამდე, იმაზე უფრო სწრაფად გაილია, ვიდრე მოელოდა.

შენობას რომ მიადგა, გუდა მოიხსნა და ფსკვნილი შეუხსნა. ჯერ ჭრაქს მოუკიდა ცეცხლი და მერე კი გულში დანთებულ განზრახვას. სწრაფად დასწვდა მომცრო ფოლადის საჭრელ ხერხს და საქმეს შეუდგა. გამალებითა და თავდაუზოგავად შრომობდა. არაფრად აგდებდა გადატყავებულ თითებსა და ქუთუთოებზე წვეთებად დაკიდებულ მლაშე ოფლს, რომელიც თვალებს უწვავდა. შუბლს მჯილით იწმენდდა და დამსკდარ თითებს კი, შლევი რამ ნა-

დირივით, ენით ილოკავდა. ჩქარობდა. ისევ ხერხავდა. ბოქლომიც მიხვდა, რომ დიდხანს ვერ დაუდგებოდა წინ ოლეგის გულის წადილსა და მონდომებას. მალევე დაჰყვა მის ნებას და კარიც ხმაურით გაიღო. ჭრაქის მკრთალმა ნათებამ ვრცელ დარბაზს ყვითელი ფერი გადაჰკრა. დასვენება არც უფიქრია, რადგან გათენებამდე უნდა მოესწრო ყველაფერი და საქმე კი იმაზე მეტი აღმოჩნდა ვიდრე ეგონა. ინყინა, კარგად ვერ დამიგეგმავსო, თუმცა გული იმით შეიმაგრა, საქებარი სიტყვაც მეტი იქნებაო. დაკვირვებული თვალი მოავლო დარბაზს და გონებაში მოხაზა თავი და ბოლო. აი, აქედან დავიწყებო, თავისითვის ჩაილაპარაკა და კართან მდებარე პირველსავე სვეტს მიაყუდა კიბე. ხალათის განიერ ჯიბეებში ჩაიწყო მომცრო ხის სატეხი, ჩაქუჩი და მოკლე ბანარი. ფრთხილად აუყვა ფიცრის საფეხურებს და კიბის თავში რომ მოექცა, ჯერ სვეტს შემოავლო ბანარი და მერე კი წელზე შემოირტყა. თოკი ისე განასკვა, რომ მასსა და სვეტს შორის საკმარისი სივრცე დარჩენილიყო, რათა მუშაობაში ხელი არ შეშლოდა და უკან გადაზნექვისაც არ შეშინებოდა. სატეხი და ჩაქუჩი მოიმარჯვა და დასცხო. წკარუნის პირველი ხმა დარბაზის ყველა კუთხეს მისწვდა და ექოდ შემოურბინა არემარეს. მერე კი აკაკუნდა და აკაკანდა გარშემო ყველაფერი. ოლეგი გამეტებით ურტყამდა ჩაქუჩის სატეხს და სვეტიდანაც გაუჩერებლივ ცვიოდა სხვადასხვა ზომის ნატეხები. ღვარცოფივით შლიდა და მუსრავდა ყველაფერს თავისი გზიდან.

თოხივე სვეტის გაფხეკა რომ დაასრულა, მიხვდა, ასეთი ტემპითა და მონდომებითაც კი ვერ ჩაეტეოდა დროში. დილის ცხრა საათზე მღებავები წამოადგებოდნენ თავზე და მთელ შრომას წყალში ჩაუყრიდნენ. აშკარად მიდგომა უნდა შეეცვალა. კედლები მთლიანად კი არა, ნაწილობრივ უნდა გაეფხიკა.

ისე უნდა ექნა, რომ მომსვლელს ნახატი ვერ ამოეცნო და მღებავს კიდევ ფუნჯის დასადები ადგილი არ დარჩენდა. ახლა შესასვლელიდან მარჯვნივ მდებარე კედელს მიადგა თავისი მსახვრალი კიბე და მორიგი სურათი შეათვალიერა მუშტრის თვალით. ბაწრის სოლებით კედელზე მიმაგრება დიდ დროს წაილებდა, ამიტომ იქვე მიაგდო ეგეც, ჩაქუჩიცა და სიფრთხილეც. გადაწყვიტა, რომ მცირე მონაკვეთების დაზიანებისთვის ნაკლები შრომა იყო საჭირო და კედლიდან სახის ამოფხეკას საკუთარი ძალითაც შეძლებდა. თან ნამეცადინებიც იყო. წინა დღისით ეზოს ბებერი კაკალი ერთ ამოსუნთქვაზე გაეტყავებინა. ოლეგიმ არ იცოდა წერა-კითხვა და სიმართლე ითქვას, ამას მისთვის ხელი სრულებითაც არ შეუშლია. საერთოდაც ვერ ხვდებოდა, რაგამოსახულებას მუსრავდა და ამითი ერთობ კმაყოფილიც იყო, რადგან საფიქრალიც ნაკლები ჰქონდა, ვის იერზე მეტი ძალა დაეტანებინა და ვისზე კი ნაკლები. უბრალოდ, მიჰყვებოდა ქვევიდან ზევით, თანაბრად, ნიკაპიდან შუბლისკენ და ხელის მოქნილი მოძრაობით ატეხდა უცხო სახეებს დიდსა და პატარა ნაწილებს. თითქოს, იქ დასატულთ ცხოვრებაში დაპელებოდათ განსაცდელი და ახლა ეს ყოჩალიც შეჰმატებოდა მწვალებელთა რიგებს და გამეტებით ცდილობდა, მათი გამოსახულებებისთვისაც კი არ დაენებებინა სიმშვიდე.

ოლეგი მუყაითად ირჯებოდა. ცოტას ისვენებდა. უბრიდა. ხანაც კი – ძალიან. მარჯვენა ეღლებოდა. არ ნებდებოდა. სატეხი მარცხენაში გადაჟერდა და მარჯვენა ხელს ურტყამდა ბოლოზე, რათა იარაღს მეტი ძალა დასდგომოდა. მერე ისევ ხელებს უნაცვლებდა. სისხლი სდიოდა ხელისგულებიდან. სტიგმატი? არა, უფრო სიყოჩალის დამლა. მაინც არ ჩერდებოდა. ჩქარობდა. კედელს მრავალგან ემჩნია

სისხლიანი ანაბეჭდი. და იყო ამაში რაღაც გულისმომაკვდინებელი. უსახური სახეები და იქვე დატანებული ადამიანის წითელი ხელისგულები. ბრძოლა ღმერთებისა. ჭეშმარიტისა და მცდარისა. ძველისა და ახლისა. ოლეგიც ღმერთების იარაღი იყო და ბილნავდა მტერს. ამ საქმეს კი იმდენად მოხერხებულად აკეთებდა, რომ დილაზე მისულ მღებავებს, ალბათ, არც არაფერი ექნებოდათ შესაძები. და აპა, მაშინ გენახათ იმისი, მღებავებისა და კიდევ მთელი სოფლის თავკაცის გაოცებული სახეები, როდესაც მის ნავაჟუაცარს იხილავდნენ. – თან ერთ ლამეში, კაცო? – ალბათ, ჰეთხავდა თავკაცი თავის გვერდით მდგომს და მერე დაამატებდა: – ბარაქალა მაგის მარჯვენას. როგორი ყოჩალი ყმანვილი ყოფილა?! – ისიც იქვე იდგებოდა და ოდნავ გაიღიმებდა. თავს ჩახრიდა. აინურებოდა უსაშველოდ დალლილი და მეტისმეტი ქებით დამორცხვებული. მერე გაიქცეოდა და ბებიას ახარებდა ყველაფერს. ანახებდა ნატანჯ ხელისგულებს და კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა სიბნელის უსუსურობაში. ის კი სახეგაბადრული მობანდა იარებს და სუფთა ზეწრით გადაუხვევდა მტკივან ხელებს. რუდუნებით აკოცებდა შუბლზე და ეტყოდა, დაგლოცოს გამჩენმაო. აი, ეს ფიქრი კი ცოტათი არ ესიამოვნა და უხერხულად შეიშმუშნა. გაახსენდა, რომ ბებია ნამეტანი წარმართი იყო და შესაძლებელია, ბოლომდე ვერც ჩასწვდომოდა მის ნათელ იდეებს.

ოლეგს პირწმინდად ამოეტეხა ორ კედელზე დახატული სახეები. კმაყოფილმა გადაავლო თვალი თავის ნაჯაფარს. მერე დარჩენილ ორ კედელს გადახედა და გულს შემოყეარა – იქ სულ მასობრივი სცენები იყო გამოსახული. თავზარი დაეცა, როდესაც წარმოიდგინა, კიდევ რამდენი საქმე დარჩენიდა. სარკმელს გახედა. ლამის უკუნი გამტყდარიყო. იგვიანებდა. ხელები სტკიოდა. ბებიაზე

ფიქრი გულს უკლავდა. ვაიდა, ვერ მიმხვდარიყო მის საქციელს?! მძიმედ ამოიოხერა და კვლავ შეუცვალა კიბეს ადგილი. მომრგვალებული კედელი ბოლოსთვის მოიტოვა, რადგან იქ უფრო დიდი ნახატები იყო და შესაბამისად, სამუშაოც ნაკლები ექნებოდა. გადაწყვიტა, მარტო თვალები დაეთხარა გამოსახულებებისთვის, რათა დრო მოეგო. მოიმარჯვეა სატეხი და იმდენი თეთრი წერტილი გამოიყვანა კედელზე, რამდენი ვარსკვლავიც მოჩანდა ცაზე მისი ოთახის ფანჯრიდან. მუშაობაში გართულს თავს დაათენდა. ალბათ, საათიღა თუ რჩებოდა საქმის დასამთავრებლად. უნდა ეჩქარა. ისიც აჩქარდა და თან იმდენად, რომ კიბიდან ჩამომხტარს კოჭში გადაუბრუნდა ფეხი. სიმწრისგან ღრიალი მორთო და ძირს დაგებულ ფილებს დაუშინა მუშტები. წამოდგომა სცადა. გაუჭირდა. ცალ ფეხზე დადგა. წეროს დაემსგავსა. კიბეს დასწვდა და ისევ დავარდა. ისევ აბლავლდა. არც ახლა აპირებდა დანებებას. დამარცხება არ უნდოდა. მუხლებზე დაჩიქილმა მიათრია კიბე ბოლო კედლამდე. მერე წამოდგა და პატარა საფეხურზე ასკინკილათი ახტა. აი, პატარა ოთახში კი ვეღარ შევიდა. საოცარი დაღლა იგრძნო. თავბრუ დაეხვა. ძირს დაიხედა და სისხლის ზოლები შენიშნა, რომლებიც გველებივით მოიკლაკნებოდნენ კედლიდან მისკენ. გაიფიქრა, ეტყობა, ბევრი სისხლი დავკარგე და იქვე ჩაიკეცა. მიხვდა, რომ საქმეს ბოლომდე ვეღარ მიიყვანდა. ბრაზი მოერია. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი თავის ნახელავს და ცოტათი დამშვიდდა. ეს უკვე სულ სხვა ადგილი იყო. ბრძოლის ველს ჰგავდა. ნატყვიარს. სისხლმდინარეს. იქაურობას აღარც ფუნჯი სჭირდებოდა და აღარც საღებავი. და ის ერთი, დარჩენილი კედელი კი მის ნახელავს უფრო თვალსაჩინოს ხდიდა, რადგან მკაფიოდ წარმოაჩენდა სხვაობას ძველსა და ახალს შორის. ესიამოვნა.

მღებავები რომ მოვიდნენ, ოლეგი

ეზოში დახვდათ. ხის ძირში იჯდა და თვალებს რაღაცნაირად, ეშმაკურად აკვესებდა. მერე კი მოვლენები ისე სწრაფად და უცნაურად განვითარდა, რომ ერთი პირი ისიც გაიფიქრა, ეს ყველაფერი ხომ არ მესიზმრებაო? შენობაში შესული მლებავები გველნაკენივით გამოცვივდნენ უკან. ვიშვიშებდნენ და სულ თავში იცემდნენ ხელებს. იფიქრა, გულს შემოეყარათ, საქმე რომ დასრულებული დახვდათ და ხახამშრალები დარჩნენო. მაგრამ მთლად ეგრეც არ უნდა ყოფილიყო. რაღაცნაირი, სხვანაირი ბრაზითა და ზიზღით შესცემოდნენ, თქმით კი არაფერი უთქვამთ. დაყარეს იქვე თავიანთი ხელსაწყოები და სოფლისაკენ გაიქცნენ. ფეხზე წამოდგა, რადგან იფიქრა, ასე ხალხის დახვედრა უხერხულიაო. იქვე ნაპოვნ ჯოხს დაეყრდნო და ნაგებობამდე კოჭლობით მივიდა. მერე კედელს მიეყრდნო და ისე გაიჯვიმა, რომ მთელი სოფლისას კი არა, ამქვეყნიერების ქებას შეაგება წამოლერებული მქერდი. აღარც ფეხი სტკიოდა და აღარც ხელისგულები. საერთოდაც ვეღარაფერს გრძნობდა, გარდა დილის მქენარა სუსხისა და სამომავლო აღფრთოვანებისა. აღფრთოვანებისა, რომელიც სოფელს უნდა მოეტანა თან.

მართლაც, თხუთმეტიოდე წუთში მთელი სოფელი იქ გაჩნდა თავისი „თავიკაცითურთ“, მაგრამ ვაი, რომ ნანატრი აღფრთოვანება არ ჩანდა არსად. ხალხი ერთობ უცნაურად იქცეოდა. პირჯვარს ინერდა და რიგრიგობით შედიოდა საყ-

დარში. მერე იქიდან დაზაფრულები გამოდიოდნენ და სდუმდნენ. სწუხდნენ და ეშინოდათ. ტიროდნენ და სახეს იცვლიდნენ. ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. თითქოს, მთელ სოფელს ერთი საერთო სახე მიეღო – დაღმეჯილი და უსიამო. კუშტი. პირქუში. ხორშაკ ქართაგან დაღარული. თვალდაწვრლებული და უსაზღვროდ დაბული. გარშემო ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ოლეგს თავისი მომატებული გულისცემაც კი ესმოდა. აშკარად არ იყო საქმე კარგად. ყველა თვალს არიდებდა. ის, ის სოფლის თავკაციც კი არაფერს იძახდა. სწორედ ის, რომელმაც თავად გამოაცხადა კრებაზე, ეკლესის კედლები უნდა შევათეთროთ და მერე შიგ კლუბი გავხსნათო. მერე, განა მისი ნახელავი არ სჯობდა იმათ ნაწუნწკლ საღებავებს? მან ხომ საერთოდაც გააქრო, რაც იქ ეხატა?!

სოფელი ისევე მდუმარედ გაიკრიფა, როგორც მოვიდა. კაციშვილს არ დასცდენია სიტყვა. თავზარდაცემული დაეშვა სახლისკენ. კოჭლობდა. ვერაფერს ხვდებოდა. გონება დაბინდვოდა. ერთადერთი, რაზეც შეეძლო ფიქრი, ეს იყო ბებია და მისი სახე. ნაბიჯს უმატა. თითქმის გარბოდა. უფრო მეტს დარდობდა. წაიქცა. ადგა. დაიგვიანა. სიტყვას ჩაესწრო. გულს ვეღარ გაეძლო. ბებია აღარ იყო. იყო მხოლოდ ამბავი სოფლისა. სოფლისა, რომელმაც ვერ გაიმეტა ეკლესია წასაბილწად და ფეხილით შეათეთრა. თუმცა, ეს სულ სხვა სოფლის ამბავი იყო. აქ კი, ამ სოფელში, ცხოვრობდა ყოჩალი ოლეგი...

დებიუტი

ნინო კაკაჩია

მაგიური თეატრი 1

სული მიყიდე ხორციანად ქვის ლევიათანს
და ყველა ცოდვა განტევების იკისრა ვაცმა,
სამარიტელის ლოცვებისგან დაღლილმა თითქოს
ქრისტეს მოსთხოვე ხელმეორედ გოლგოთა, ჯვარცმა.
როგორც სამოთხით გამორიყულ ყველა ლუციფერს
მზის კარიბჭესთან ელოდება მოგვების ჯარი,
შენც მოგეწია შურისგების და მტრობის ნიშნად,
ბაიხალიდან გამოქცეულს, ქვიშების ქარი.
ორსული ხარ და ორ სულობას ებრძვიან შენში,
დახშულ ყურებში ყრუ ტკივილის მტკაველიც ატანს.
ქრისტეს მოსთხოვე ხელმეორედ გოლგოთა, ჯვარცმა,
სული მიჰყიდე ხორციანად ქვის ლევიათანს...

მაგიური თეატრი 2

როგორც მეძავი, შუალამით დანგრეულ სახლთან
დგახარ და გინდა, ყველა სურვილს შეასხა ფრთები.
არ გეშინია ჰადესიდან ამოძახილის,
ცერბერის ყელზე შემოხვეულ ცხრათავა დევის.
რომ მოკლას სიზმრის დამშეული ფობეტორები,
შენი ციკლოპი ელოდება დამის წყვდიადებს,
თითქოს ბინძური კუნძულიდან გამოპარული
დემონი შენი სხვა დემონებს თავებს მიადებს.
და ასე ივლით, სანამ მიწა იქნება თბილი,
სანამ მეგობრობს ბელიალი და თანატოსი.
ყველა სურვილი იზემებს, იქნები მშვიდი,
როცა დადგება ალსასრული ამ სამყაროსი.

ქარიშხლიანი

ეძღვნება 13 ივნისის ტრაგედიას

რომანსეროებს მოქონდათ წვიმა –
მელანქოლია ივნისის დილის;
და დედალოსის გადახსნილ მკერდზე
ჭინკებს ეძინათ მეფური ძილით.
დღე იტკიებდა გაკვეთილ მუცელს,
ნეკერჩელებს სველი ემოსათ პლისე...
და სადღაც მაღლა ტანაყრილ ღრუბელს
წვიმაში ქოლგით მიყავდა ქრისტე.

შენ გზის ცოლი ხარ!

შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი,
ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან რომანებს აბამ,
დედამიწიდან მოტაცებულ გიშრისფერ თვალებს
ნუკრივით ნაბავ!
შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მე ვიცი, ვიცი,
მთვარემ ათასჯერ მიგაჯაჭვა ზევსის საწოლთან,
უცებ დაეშვა ოლიმპოდან ღმერთების ჯარი,
მთებიც გასწორდა!
იყო მდიდრული, პოჰემური ღამე და, ალბათ,
იმ ღამით კლავდინენ ჯადოსნური დაშნით ონავრებს.
შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი,
ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან აბამ რომანებს!

ნუნუ გელაძე

ადამიანურ ღირებულებათა ნაზრევებისებები

საუბარი დაჩა მარაინდეთან

მწერალი და მთარგმნელი ნუნუ გელაძე დიდი ხანია იტალიაში ცხოვრობს და ემსახურება ქართულ მწერლობას – თარგმნის ქართულიდან იტალიურად და, საზოგადოდ, ქართულ კულტურას აცნობს უცხოელებს. მისი თაოსნობით არაერთი ლიტერატურული შეხვედრა გაიმართა ქართველ მწერლებთან რომში, მილანში, პალერმოსა და იტალიის სხვა ქალაქებში.

გთავაზობთ ნუნუ გელაძის ინტერვიუს ცნობილ იტალიელ მწერალ დაჩა მარაინდეთან.



დაჩა მარაინის, სამწუხაროდ, ქართველი მკითხველი არ იცნობს. ოთხმოც წელს გადაცილებული საყოველ-თაოდ აღიარებული იტალიელი პრო-

ზაიკოსის, უურნალისტის, ესეისტის, პოეტის, სცენარისტის, დრამატურგის, კინოდოკუმენტალისტის, მთარგმნელის მრავალრიცხვანი რომანი, პიესა, ლექსი თუ ესეისტური ნაშრომი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი და არაერთი საერთაშორისო ლიტერატურული, ასევე, ყველა პრესტიული ეროვნული პრემია აქვს მოპოვებული; 2014 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. მინიჭებული აქვს უცხოეთისა თუ ეროვნული უნივერსიტეტების დოქტორის საპატიო წოდება.

უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი დაჩა მარაინი სამწერლო კარიერას ადრეული ასაკიდანვე იწყებს. ოცდაექვსი წლისა აქვეყნებს თავის პირველ რომანს „არდადეგები“, რომელმაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ კრიტიკისა და ეკლესიის მსახურთა ქარცეცხლში მოჰყვა თავისი „უხამსობის“, „გარყვნილების“,

„პორნოგრაფიულობის“ გამო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „რეალისტური რომანის სასიკვდილო ეგზეკუციად“ შეირაცხა. ასეთივე სკანდალური აღმოჩნდა მომდევნო წელს გამოცემული რომანი „უქეიფობის ასაკი“, რომელმაც გამომცემელთა საერთაშორისო პრემია დაიმსახურა და მოგვიანებით ფილმადაც გადაიღეს. მომდევნო წლებში დარჩა მარაინი აქვეყნებს მოთხოვნების, პოეტურ, ესეისტურ და პუბლიცისტურ კრებულებს; რომანებს – „ზეპირად“, „ქურდი ქალის მოგონებები“, „ქალი ომში“, „პიერას ამბავი“, „ნერილი მარინას“, „ჰელსინკისკენ მიმავალი მატარებელი“ და სხვ., საბავშვო წიგნებს, პიესებსა და სცენარებს (იგი პაზოლინის ფილმის „ათას ერთი ღამის ყვავილის“ სცენარის თანავეტორია). ნამდვილი აღიარება დარჩა მარაინის, როგორც რომანისტს, მოუტანა 1990 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „მარიანა უკრიას ხანგრძლივი ცხოვრება“ და თუ მანამდე მისი წიგნების ორმოცი-ორმოცდაათი ათასი ეგზემპლარი იყიდებოდა, ამ უკანასკნელის მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა და ფილმადაც გადაიღეს (საერთოდ, მარაინის არაერთი რომანია ეკრანიზებული). მას შემდეგ დარჩა მარაინიმ სხვადასხვა ჟანრის და ხასიათის ოცზე მეტი წიგნი გამოსცა, რომელთა უმრავლესობა მასკულისტურ იტალიურ საზოგადოებაში ქალის აუტანელ ყოფას ეხება, თუმცა იგი არა მხოლოდ კალმით იბრძვის ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ, სამოციანი წლებიდან მოყოლებული, ჩაბმულია ფემინისტურ მოძრაობაში და აქტიურად იცავს ქალების, ლტოლვილთა თუ უმცირესობათა უფლებებს, ებრძვის რასიზმს და ისლამის დემონიზაციას, აღვირახსნილ ფუფუნებასა და ბავშვთა შრომის დაკაბალებას; ეწევა ქველმოქმედებას და უანგაროდ ხელმძღვანელობს ლიტერატურული დაოსტატების კურსებსა თუ ლიტერატურულ ფეს-

ტივალებს. ერთ-ერთი ასეთი ფესტივალი უკვე რამდენიმე წელია სექტემბრის თვეში ქალაქ არონაში იმართება და საოცრად თავმდაბალ და უშუალო ქალბატონ დაჩა მარაინისთან საუბრის შესაძლებლობა მეძლევა ხოლმე. როცა ჩვენს საუბრებს ინტერვიუს ფორმა მივეცი და „ცისკარში“ გამოქვეყნების ნებართვა ვთხოვე (თან უურნალის ერთ-ერთი საუკეთესო ნომერი წავულე საჩვენებლად), სიამოვნებით დამთანხმდა.

ნუზუ გელაძე – თქვენი ვრცელი და, მართლაც, იშვიათი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ოჯახთან ერთად თქვენი პირველი მოგზაურობა კავკასიას უკავშირდება, უფრო სწორად, იაპონიაში მცხოვრებ ქერა და ცისფეროთვალა ჰაინუს ტომს, რომელიც კავკასიური ნარმოშობის ეთნოსად ივარაუდება და რომლის ეთნოგრენით იყო დაინტერესებული მამათქვენი, ანთროპოლოგი ფოსკო მარაინი. ხომ არ გვიამბობდით ამის შესახებ და იაპონიაში გატარებულ ნლებზე?

დარჩა მარაინი – უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს, მამამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონკურსში; მოიპოვა დაფინანსება ჰაინუს ტომის ანთროპოლოგიური კვლევებისათვის და ახლად შერთულ მხატვარ მეუღლესთან და ორიოდე წლის ქალიშვილთან, ანუ ჩემთან ერთად, იაპონიაში გაემგზავრა. ჩვენმა ოჯახმა რამდენიმე წელი იცხოვრა ჩრდილოეთ იაპონიაში, ჰოკაიდოს კუნძულზე, სადაც ფოსკო სწავლობდა ჰაინუს ტომის ცხოვრებას. გვქონდა ხის პატარა სახლი, თოვლში ჩაფლული, და ვიყავით ძალიან ბედნიერები; აქვე დაიბადა ჩემი და, რომელსაც იაპონური სახელი იუკი (თოვლი) დაარქვეს (ჩემი მესამე დაც, ანტონელა იაპონიაში დაიბადა); გვყავდა იაპონელი მეგობრები, იაპონელი ძიძა, გვეცვა იაპონური სამოსი და ვიკვებებოდით იაპონური კერძებით, ჩვენთვის ეს ინტეგრაციის ერთგვარი ფორმა იყო. მე

ლამის იაპონურად ავიდგი ენა და ადგი-ლობრივი დიალექტიც კი ვიცოდი, მაგრამ 1943 წელს ყველაფერი შეიცვალა: იაპონიამ გერმანიასთან და იტალიასთან ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება დადო და იაპონიაში მცხოვრებ ყველა იტალიელს მოსთხოვა ხელი მოეწერათ ჩრდილოეთ იტალიაში მუსოლინის მიერ გამოცხადებული სალოს რესპუბლიკის მხარდამჭერთა პაქტზე; ეს ხდება მაშინ, როცა იტალიის სამხრეთი მოკავშირების მიერ ნაციფაშიზმისგან უკვე გათავისუფლებულია. სასტიკი უარის გამო (ჩემი მშობლები ანტიფაშისტები იყვნენ) მთელი ჩვენი ოჯახი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესეს – ჯერ ტემპაკუში (ნაგოი), მერე, როცა იქაურობა დაბომბეს, კოდაიჯის ტაძარში. იქ გავატარეთ ორი უმძიმესი წელი, გადავიტანეთ სიცივე, შიმშილი, არაერთი დაავადება: ავიტამინზი, სუროვანდი, პერნიციოზული ანემია... სამი პატარა ქალიშვილის შიმშილით სიკვდილის შიშით შეძრნუნებულმა მამამ ყველას თვალწინ „იუბი კირის“ რიტუალი შეასრულა, ცულით ნეკი მოიჭრა. ეს რიტუალი ბანაკის ზედამხედველებს, იაპონური ტრადიციის მიხედვით, მტრი-სადმი ლმობიერებას ავალდებულებდა; ასე მოგვცეს თხა, რომლის რძითაც ცოტა ხანს ვიკებებოდით ბავშვები. ომის დამთავრებამ უეჭველ სიკვდილს გადაგვარჩინა, გაგვათავისუფლეს იტალიელები და ტოკიოში თითქმის ერთი წლის ლოდინის შემდეგ ამერიკელების სამხედრო გემით 1947 წელს სიცილიაში, დედაჩემის, ტოპაზიას მშობლების (სიცილიური არისტოკრატული გვარის ალიატა სალაპარუტას ჩამომავლები – ნ.გ.) გაპარტახებულ მამულში ჩავაღწიეთ.

– ყოველივე ამის შესახებ თქვენ დანვრილებით გადმოსცემთ მოგონებათა წიგნებში – „ბაგერია“, „კობოსკენ მიმავალი გემი“, „სამყაროს თამაში“, „დიდი დღესასწაული“, ამ უკანასკნელში კი გამოიხმოთ იმ გარდაცვლილი ადამია-

ნების სულებს, ვინც თქვენს ცხოვრებას კვალი დააჩინია. რა როლი შეასრულეს თქვენს ცხოვრებაში მშობლებმა? მე-გობრებმა?

– ჩემმა მშობლებმა მასწავლეს უმთავრესი: საკუთარი იდეებისა და პრინციპების დაცვა, თუნდაც რისკის ფასად; მოყვასის პატივისცემით მოპყრობა არა წინასწარდადგენილი ფორმალობის და-საცავად, არამედ და უნინარესად, საკუთარი თავის პატივსაცემად.

– ...და ამავე წიგნში მოხსენიებულ მეგობრებზე რას გვეტყვით?

– პიერ პაოლო პაზოლინი იყო პრინციპული და შეუვალი საქმეში, მაგრამ საოცრად თბილი, ჩუმი და მშვიდი ჩვეულებრივ ურთიერთობაში; ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით და ბევრს ვმოგზაურობდით ერთად, ბევრი სირთულეც გადაგვიტანია მოგზაურობისას. ის ყველანაირ დისკომფორტს უდრიტვინველად იტანდა, სადაც მოუხდებოდა, იქ დაწვებოდა დასაძინებლად; ეგ არის, გაზტურის ანთებაც კი არ იცოდა, იმდენად იყო დედაზე დამოკიდებული. ახლაც მესიზმრება ხოლმე, მოდის და მთხოვს: „ყავას მომიდულებ?“ ალბერტო მორავია რადიკალურად განსხვავდებოდა პიერ პაოლოსგან – უყვარდა გართობა, მხიარული მოსაუბრე იყო – ლალი, ხუმარა, იუმორში არც სხვებს ინდობდა და არც საკუთარ თავს. ჩვენ თხუთმეტი წელი ვიცხოვრეთ ერთად და მერეც უახლოეს მეგობრებად დავრჩით; სალამოებს მუდამ მეგობრებთან ერთად ვატარებდით, ალბერტომ ისეთი ამბების გამოგონება იცოდა... თავისი იმპროვიზაციით ყველას ხიბლავდა. მარია კალასი იყო მორცხვი, დაბნეული, სევდიანი... ძალიან უყვარდა პიერ პაოლო და ცდილობდა, როგორმე ეხსნა იგი ჰომოსექსუალიზმისგან; მდიდრულ სასტუმროებს მიჩვეული, მიწის იატაკიან ქობმახებსაც არ თაკილობდა, ოლონდ პიერ პაოლოს გვერდით ყოფილიყო და სულ მეკითხებოდა: „როგორ

ფიქრობ, ვუყვარვარ?“ მეც ვუდასტუ-
რებდი, რადგან პიერ პაოლოს მართლა
უყვარდა იგი, ოლონდ პლატონურად.

– ცნობილი მწერალი და სატელევი-
ზიო ნამყვანი კორადო აუჯასი მწერ-
ლობის ჯადოქარს გინოდებთ. რაში გა-
მოხატება თქვენი ჯადოქრობა და რითი
ახსნით თქვენს ასეთ საყოველთაო წარ-
მატებას მთელ მსოფლიოში? პირველი
რომანი „არდადეგები“ 1962 წელს გამო-
აქვეყნეთ. როგორი იყო თქვენი პირველი
ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე?

– წერა მიყვარს და როცა ვწერ,
არანაირ ჯადოქრობაზე არ ვფიქრობ.

რებლად და მალევე დავაარსე უურნა-
ლი სახელწოდებით „ლიტერატურის
დრო“; პარალელურად ვსწავლობდი და
თავის სარჩენად ათასგვარი სამუშაოს
შესრულებაც მიწევდა ხან არქივში, ხან
ფოტოგრაფის თანაშემწედ, ხან მდივ-
ნად. ცხადია, ვწერდი და ვთანამშრომ-
ლობდი ლიტერატურულ უურნალებ-
თან: „პარაგონი“, „ახალი არგუმენტე-
ბი“, „ილ მონდონ“.

– ნანარმობებები ძალიან ინტენსი-
ურად იყენებთ დიალექტებს. მახსოვს,
ნლების წინათ, თქვენი რომანი „იზო-
ლინა“ რომ წავიკითხე, გამიკვირდა და



ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ
მწერლების ოჯახში გავიზარდე: მამა-
ჩემის დედა, იოო კროსე პავლოვსკა,
ინგლისურად წერდა რომანებს, მამაც
არაერთი წიგნის ავტორი იყო და ძა-
ლიან ბუნებრივად მოხდა რომ ცამეტი
წლის ასაკში მხატვრული ნანარმოები
დავწერე. ის პალერმოს სკოლის გა-
ზეთში გამოქვეყნდა. თვრამეტი წლისა
სიცილიდან რომში გადავედი საცხოვ-

გამიჭირდა კიდეც ვენეტური დიალექ-
ტის გაგება, მერე და მერე შევეჩვიე პიე-
სა „ვერონიკა, კურტიზანი და მწერლის“
ვენეციურს, რომანის, „მარიანა უკრიას
ხანგრძლივი ცხოვრების“ სიცილიურს,
„დონა ლინორა ჯაკობინას“ ნეაპოლურს
და პოეტურ კრებულ „ჩემო ქალებოს“
რომაულს. თქვენ არაერთი ინგლისელი,
ამერიკელი და იაპონელი ავტორი თარ-
გმნეთ, როგორ ფიქრობთ, მთარგმნელმა

დიალექტი როგორ უნდა გადმოიტანოს?

— ერთი ენის დიალექტის თარგმნა მეორე ენის დიალექტზე, სამწუხაროდ, შეუძლებელია, რადგან იგი ლინგვისტური ექსპრესია და ზედმიზევნითაა ჩაქსოვილი იმ გარემოში, რომელშიც ამ დიალექტს იყენებენ; გარდა ამისა, როგორც წესი, დიალექტს არა აქვს დამწერლობა, ის მხოლოდ ზეპირი მეტყველებაა და აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება მთარგმნელისთვის ის იქნება, ლინგვისტურ ლოკალიზაციას ყურადღება არ მიაქციოს.

— თქვენს წიგნში „მწერლობის სიყვარული“, ყველა ეროვნების მწერალს თუ ლიტერატორს რომ გამოადგებოდა სახელმძღვანელოდ, წერთ: „...ნებისმიერი თარგმანი არის კომპრომისი... ტექსტის მუსიკალობა განნირულია დასაკარგად, თუმცა არიან მთარგმნელები, რომელთაც შესანიშნავად თარგმნები იმ ენიდან, რომელიც თითქმის ან საერთოდ არ იცოდნენ“... და მოგყავთ „ცნობილი მაგალითი პასტერნაკისა, რომელმაც ბრწყინვალედ თარგმნა ქართულიდან, ენის არცოდნის მიუხედავად“. გამოდის, იზიარებთ თავისუფალი თარგმანის თეორიას. აქ ხომ არ ჩნდება საშიშროება „traduttore-traditore“ (მთარგმნელი-მოღალატე. იტალიურ სიტყვათა თამაში: traduttore-ს „ო“-ს traditore-ს „ი“-თი შეცვლით ხშირად მიუთითებენ თავისუფალი თარგმანის რისკზე – ნ.გ.)?

— თქვენც ხომ დიდი ხანია თარგმნით და კარგად იცით, რამხელა პასუხისმგებლობის წინაშე დგას ყოველთვის მთარგმნელი. პრობლემა მხოლოდ ის არ არის, იცი თუ არა კარგად ის ენა, რომლიდანაც თარგმნი, არამედ აქ მთავარია სასიამოვნო და ორიგინალური სტილის შექმნა იმ ენაზე, რომელზეც თარგმნი; რაღაც ისეთის შექმნა, რომელიც სილამაზით, რიტმით, ტემპით, მუსიკალობით ორიგინალის ენას უნდა შეესაბამებოდეს. იტალიელი პროფე-

სორები, მაგალითად, რომელთაც ყველა ნიუანსი იციან ენისა, ხშირად ვერ თარგმნიან სათანადოდ. როგორც წესი, სწორედ ეს პროფესორები ქადაგებენ ხოლმე დედნისადმი ერთგულებას. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მთარგმნელმა არ უნდა იცოდეს სათარგმნი ტექსტის ენა, პირიქით, მაგრამ, თუ თარგმნილი ტექსტი კოჭლია, ენის ცოდნა-არცოდნა მეორე პლანზე გადადის. მაგალითს მოვიტან: პაზოლინის მიერ თარგმნილი ესქილე, რა თქმა უნდა, სრულყოფილი არ არის, მაგრამ გრეცისტი სახელიანი პროფესორების მიერ თარგმნილს ასი თავით სჯობს, ვინაიდან პიერ პაოლო იყო პოეტი და საკუთარი პოეტური ნიჭი ჩააყენა დიდი ბერძენი დრამატურგის ლირიკული ენის სამსახურში.

— თქვენი ვრცელი შემოქმედების უმთავრესი თემა ქალია, ხშირად – დაჩაგრული, ნანამები, მოკლული... აღამიანი უემოციოდ ვერ წაიკითხავს თქვენს რომანებსა და მოთხოვობებს: „ჩემი ქმარი“, „ხმები“, „გოგონა მაკუუდას ქუჩიდან“, „წყვდიადი“, „მოპარული სიყვარული“... ისეთი მძაფრია მათში რეალობის შეგრძნება. ნამდვილი ამბებია? ან საიდან მოდის დღევანდელ საზოგადოებაში ქალების მიმართ ამდენი ძალადობა და როგორ უნდა ვეპრძოლოთ ამას?

— თითქმის ყველა ნანარმოები ნამდვილ ამბავზეა აგებული, მათ მთელ მსოფლიოში კრებს Amnesty International-ი, თუმცა ძალადობა ჩვენშიც ბევრია, იტალიაში, ჩვენს ოჯახებში, იმ სუსტი, მხდალი მამაკაცების მიერ ჩადენილი, ქალის დამოუკიდებლობას რომ ვერ ეგუებიან, ქალის თავისუფლება უბედურებად რომ მიაჩნიათ და ოღონდაც არ დაკარგონ კონტროლი, მათზე „ღვთივ დადგენილი და მარადიული უფლება“, ამჯობინებენ, მოკლან ცოლი ან შვილი და ამის შემდეგ ხშირად თავიც მოიკლან. თუმცა ამას საერთო არაფერი აქვს სქესთან – აქ მთავარია ალზრდა, კულტურა; ბავშვი არც მოძა-

ლადედ იბადება და არც მკვლელად. ის არასწორი აღზრდის, კულტურული ფორმაციის შედეგად გარდაიქმნება ასეთად. მართალია, კულტურა იცვლება და ზოგიერთები, უფრო ხშირად მა-მაკაცები, ზოგჯერ ქალებიც, ვერ ეგუ-ებიან ამ გარდაქმნებს, მთელი არსებით ეწინააღმდეგებიან და ეს წინააღმდეგობა აჩენს პარანოიას, დაუნდობლობას, ძალადობას... ამ ყველაფრიდან გამოს-ვლის უმთავრეს გზად მიმაჩნია სწო-რი აღზრდა, დაწყებითი კლასებიდანვე ბავშვებისათვის იმის შთანერგვა, რომ არ შეიძლება ადამიანი ვინმეს ფლობ-დეს, რომ სიყვრული არ ნიშნავს სა-კუთრებას და მეორე ადამიანზე მპრძა-ნებლობას. ასე რომ, სწორედ განათლე-ბაზე, წიგნიერებაზე ზრუნვაა საშური საქმე.

– **წიგნიერება ახსენეთ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ იტალია პოლო აღ-გილზეა ევროპაში მკითხველთა რაოდე-ნობის მიხედვით?**

– მართალია. სამწუხაროდ, იტალი-აში ცოტაა მკითხველი, მაგრამ ამას თავისი საფუძველი აქვს: იტალიური ენა, ბევრ სხვასთან შედარებით, ძველი ენაა, თუმცა სახელმწიფო ენად გვიან ჩამოყალიბდა, ვინაიდან, მოგეხსენე-ბათ, არ არსებობდა ერთიანი სახელ-მწიფო, ერთიანი ერი. იყო პატარ-პატა-რა სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, რომლებიც ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ. საერთო ეროვნული ენა ძა-ლიან გვიან დაკანონდა და ამის შედეგს დღემდე ვიმკით. ნამდვილი იტალიური სამწერლო ტრადიცია, ვიტყოდი, მეო-ცე საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას. მე ხშირად ვამბობ, რომ თანამედრო-ვე იტალიურ პროზას ორი მშობელი ჰყავდა: მამა – იტალო ზვევო და დედა – გრაცია დელედა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიურ მწერლობაში ნამდვილი აფეთქება მოხდა: კალვინი-დან – პავეზემდე, მორავიადან – პა-სანიმდე, კასოლადან – პაზოლინიმდე.

აქვე უნდა ვახსენოთ ქალებიც: ლალა რომანო, ანა მარია ორტეზე, ანა მესი-ნა, ელზა მორანტე, ნატალია გინზბურ-გი, ფაუსტა ჩალენტე – ისინი ჩვენს ლიტერატურულ დედებად იქცნენ.

– და დღეს?

– დღეს ახალგაზრდა მწერლები აგ-რძელებენ მათ ტრადიციას, ასეთებია: მელანია მაძუკო, როსანა კამპო, მარ-გრეთ მაძანტინი, კაროლა სუზანი, სი-მონა ვინჩი, სილვია ავალონე და სხვე-ბი.

– **პოეტი დაჩა მარაინი რომელ იტა-ლიელ კალმის ოსტატებთან გრძნობს სულიერ ნათესაობას? ლიტერატურულ „დაჯგუფება 63“-ის გარშემო გაერთია-ნებულ პოეტებთან ხომ არა?**

– „დაჯგუფება 63“-ის წევრი არასო-დეს ვყოფილვარ. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ვიცნობდი, ვმეგობრობ-დი სანგუინეტისთან, პალიარინისთან, პორტასთან, არ ვეთანხმებოდი მათ შე-ხედულბას იმის თაობაზე, რომ რომანი მოკვდა. და ეს დავადასტურე კიდეც – მე რომანების წერა მას შემდეგაც, რო-ცა მათ ხელი აიღეს ვრცელი ნაწარ-მოებების შექმნაზე. მათგან მხოლოდ უმბერტო ეკომ – „იტალიური რომანი მოკვდა“-ს მთავარმა თეორეტისკომა განაახლა რომანის წერა, უკან წაიღო თავისი თეორიები, ტრადიციული რო-მანები დაწერა და დიდი წარმატებაც მოიპოვა. რაც შეეხება პოეტებს, სული-ერი ნათესაობის რა მოგახსენოთ, მაგ-რამ არაჩვეულებრივ პოეტად მიმაჩნია ალდა მერინი; მასთან ერთად დავასა-ხელებდი ამელია როსელის, რომელ-მაც რამდენიმე წლის წინათ სიცოცხლე რომ თვითმეცვლელობით დაასრულა, შედარებით ახალგაზრდებს – პატრი-ცია კავალის და ვივიან ლამარაკს. სხ-ვაც ბევრი კარგი ახალგაზრდა პოეტი გვყავს, რომელთაც ჩვენს უურნალში – „ახალ არგუმენტებში“ ვპეჭდავთ. დღეს იტალიაში ეს ყველაზე ხანდაზმული უურნალია, რომელმაც, ფაქტობრივად

სამზეოზე გამოიტანა თითქმის მთელი დიდი იტალიური ლიტერატურა.

— „ვწერთ, რათა დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილება, რომელსაც ლამის ერო-ტიკული ვნება აღძრავს; ვწერთ, რადგან, უბრალოდ, ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რადგან სხვაგვარად არ ძალგვიძს და ნერის პროცესში უდიდეს ნეტარებას ვგრძნობთ“, — ამბობთ თქვენს წიგნში „მწერლობის სიყვარული“. ცნობილია, რომ სხვადასხვა ავტორს ნერის დროს სხვადასხვანაირი განცდა ეუფლება — მაგალითად, ჰაინრიხ სიცხე უწევდა, დიუ-მა ტიროდა... თქვენ რას განიცდით?

— ტირილი არ მახასიათებს, მაგრამ, თავისთავად ცხადია, წერის დროს ემო-ციური მუხტი მაღალია და ის ვნება, რაც თვითგამოხატვისკენ, წერისკენ გიბიძებს, უდიდესი ნეტარებაა, რასაც ნებისმიერი შემოქმედი განიცდის, იქნება ეს, ვთქვათ, მხატვარი, როცა ხელში ფუნჯს აიღებს და თეთრ ტილოზე რა-იმეს მოხაზავს, ან მუსიკოსი, როცა სა-ნოტე ფურცელზე ნოტს გამოიყვანს და იცის, რომ ამ ნოტით დაიბადება მისი მელოდია, მისი ფიქრი, მისი გრძნობა...

— სულ ცოტა, კიდევ ათი შეკითხვა მა-ინც მექნებოდა თქვენი შემოქმედების ირგვლივ, რომელიც მაფიას, პოლიტიკას, დღევანდელ სოციალურ და პოლი-ტიკურ ვითარებას ასახავს იტალიასა თუ მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამჯე-რად თეატრით შემოვიფარგლები. 1967 წელს თქვენ დაარსეთ „მაჩვზღარბას თეატრი“, მოვინანებით „ჩენტორჩელეს თეატრი“, შემდეგ ახალი თეატრალური კომპანია „მადალენა“, ხართ ოცდაათზე მეტი პიესის ავტორი, ნარმატებით რომ იდგმება ევროპისა და ამერიკის სცენებ-ზე. როგორია დღეს იტალიური თეატრი, ისევ მოსავს ძევლი დიდება თუ ტელევი-ზიამ დაკაბნა?

— ტელევიზია ვერასოდეს შეცვლის თეატრს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველა სახლში შეიჭრა და მაყურებელთა უმრავლესობა ძალადობით დაიპყრო.


ფაქტი ის არის, რომ დღეს სპექტაკლი ვირტუალური გახდა, ანუ ის ეკრანზე ვითარდება და მის უკან არავინ დგას; მაშინ, როცა თეატრი — სცენა უმუა-ლო კონტაქტშია ადამიანებთან. მაყუ-რებელსა და მსახიობებს შორის ყალიბ-დება ჰარმონია, რაც გამორიცხულია ტელევიზიის ეკრანის წინ. მაყურებე-ლი იზიარებს მსახიობის ემოციებს და თანამონაწილეა ყველაფერ იმისა, რაც სცენაზე ხდება. ერთი სიტყვით, იმარ-თება დიალოგი, თუნდაც მუნჯი, მაგ-რამ ცოცხალი. და ამ დიალოგს ეფუძ-ნება საზოგადოების სულიერი აღზრდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ თეატრს უდი-დესი აღმზრდელობითი და სოციალური ფუნქცია აქვს და ამიტომაც მას ვერც ერთ სხვა სანახაობას ვერ შევადრით.

— ...და როგორია დღევანდელი იტა-ლიური საზოგადოება? ჯერ კიდევ ორ-მოცი წლის წინათ თქვენი მეგობარი პა-ზოლინი წერდა: „დღევანდელი იტალია ზუსტად ისეა დანგრეული, როგორც 1945 წელს. მეტიც, დანგრეულია უფრო სავალალოდ, ვინაიდან შენობებისა და ძეგლების ნანგრევებქვეშ კი არა ვართ მოქცეულნი, რაგინდ აუტანელიც უნდა იყოს ეს, არამედ „ლირებულებათა ნან-გრევებქვეშ“: ჰუმანისტური ფასეულო-ბების და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ადამიანურ ლირებულებათა ნანგრევებ-ქვეშ“. დღეს რა ვითარებაა ამ მხრივ?

— ფაქტია, რომ დღეს იტალიური სა-ზოგადოება სასოწარკვეთილი დაცურავს ჩაძირულ ლირებულებათა ფსკერზე, თუმცა, ვთიქრობ, ეს დიდხანს არ გაგ-რძელდება. ასეთივე ვითარებაა მთელ მსოფლიოში. გაქრნენ იდეოლოგიები, გაქრა დიდი უტოპიები. მაგრამ, რაკი ადამიანს აქვს მოთხოვნილება, სჯერო-დეს ევოლუციის, პროგრესის, ნელ-ნელა შეიქმნება ლირებულებათა ახალი სისტე-მები, რომელშიც ყველა შეიცნობს საკუ-თარ თავს. ტრადიციული ლირებულებე-ბის რღვევას რაღაცა მაინც გადაურჩა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახლა მე და

თქვენ ამაზე ვერ ვისაუბრებდით. გადარჩა ადამიანის უფლებები და ეს ცოტა არ არის; პატივისცემა სხვის მიმართ, მონობის უარყოფა, იმის აღიარება, რომ დემოკრატია ერთადერთი შესაძლებელი წესრიგია ცივილური თანაცხოვრებისა: ძალაუფლების უარყოფა, ძალადობის დაგმობა, იმის დადგენა, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია და აქვს თანაბარი უფლება და მოვალეობა, რომ ყოველი ადამიანი საკრალურია არა რელიგიური, არამედ სამოქალაქო, ჰუმანისტური

თვალსაზრისით. და ეს ღირებულებები შეურყეველია, იმისდა მიუხედავად, მოვაქცევთ თუ არა მათ ზუსტად განსაზღვრული იდეოლოგიის, პარტიის თუ რელიგიის ჩარჩოებში. აქედან უნდა დავიწყოთ, რათა ვპოვოთ ყველაზე მარტივი, ყველაზე პრაქტიკული ღირებულებების გაზიარების სიხარული, რაც შეგვაძლებინებს, ერთად ვიცხოვროთ ერთმანეთზე თავდასხმის გარეშე, პატივი ვცეთ ნებისმიერ განსხვავებულობას და ერთმანეთის თავისუფლებას...



გულთბილი სალამი „ცისკრის“ მკითხველს.

დაჩა მარაინი

ნინო ქუთათელაძე

აზხაზიეთის მონატრება



ძვირფასო მეგობრები, გენატრებათ აფხაზეთი?! მე უკვე სიზმრადაც ვერ ვხედავ ზღვასა და წებელდის მთებს, ფორთოხლისა და მანდარინის ნარინჯში ჩაფლულ სოფლებს, მაგნოლიის ხეივანს სოხუმში, ახალი ათონის ხელოვნურ ტბაზე მოსრიალე გედებს, ჩანჩქერს ზემოთ, ოდნავ მარჯვინივ გადახრილ ქვის ვეება ჯვარს, ივერიის მთას სიმონ კანანელის გამოქვაბულითა და კარსტული მღვიმეებით, ძველი გაგრის ბულვარს, ბიჭვინთის ტაძრის გლუვ კედლებსა და საფეხურებს, აღარ მესმის ხაოიანი აფხაზური – სარა ბარა ბზიეს ბოიტ – ერთმანეთის-

თვის ნათქვამი ლამაზი სიტყვები. მინდა გითხრათ, რომ მე არა მარტო აფხაზეთი, აფხაზებიც მენატრება და სწორედ ამ მონატრებად ჩამითვალეთ ეს წერილი. მინდა აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსი ბაგრატ შინკუბა გავიხსენო.

ბატონ ბაგრატს ხშირად შევხვედრივარ სოხუმის სანაპიროზე, მაგრამ მასთან დალაპარაკება არასოდეს მიცდია, რა თქმა უნდა, მანამ, სანამ იძულებული არ გავხდი, ინტერვიუ ჩამომერთმია მისთვის. ბევრი მაშინებდა მაშინ, ინტერვიუზე არ დაგთანხმდება, ქართველები არ უყვარსო... არადა, დამთანხმდა და სახლშიც მიმიწვია, შვილიშვილებიც გამაცნო... დღემდე მახსოვს ლამაზთვალება, სათნო გოგონა, მისი შვილიშვილი, სახელად გუნდა. არ ვიცი, რატომ განეწყო ჩემ მიმართ კეთილად... იქნებ, იმიტომ, რომ გაიგო – პოეტი ვიყავი... იქნებ, იმიტომ, რომ ერთად აღმოვჩნდით მუჰაჯირობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელზეც აფხაზმა პოეტმა, ნელი თარბამ მიმიწვია... იქნებ, იმიტომ, რომ, როცა ქალბატონი ნელი წერილებსა და წარწერებს მითარგმნიდა, მე და მას თვალები ცრემლებით გვქონდა სავსე... იქნებ, იმიტომ, რომ უბედურება ან მისი შეგრძნება და განცდა უფრო აახლოებს ადამიანებს...

ერთხელ მის მშობლიურ სოფელ ჭლო-უშიც მოვხვდი. ბატონი ბაგრატი გულ-გახსნილი მასპინძელი გამოდგა. მაგრამ ყველაზე მეტად ჭლოუს ბუნებამ გამაოცა, თუმცა რა უნდა გიკვირდეს საქართველოში მცხოვრებ ქართველს?! ჭლოუ, დიახაც, რომ ორ ფერში ლივლივებს – აქ ერთმანეთს მსუბუქ ზოლებად ენაცვლება მწვანე და ლურჯი, უფრო სწორად კი – მწვანისა და ლურჯის სხვადასხვა ტონი... მაშინ ბატონ ბაგრატს ის ლექ-სიც წავაკითხე, ამ სოფელს რომ უძღვნა და რომელიც შემდეგ არჩილ სულაკაურმა სიმღერასავით თარგმნა: „ჭლოუ, ჭლოუ, აქ დამერნა // ყრმობის აკვანი // და პირველი ჩემი ლექსის // ბუდეც აქ არი“. // მართლაც, როგორ შეიძლება აქ არ ამღერდეს კაცი?!

ბაგრატ შინკუბა 1917 წლის 12 მაისს დაიბადა. 1939 წელს დაამთავრა მაქსიმ გორგვის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. შესანიშნავად იცოდა აფხაზური, ქართული, რუსული, ადილეური და უბისური ენები. დიახ, ის არა მარტო პოეტი და პროზაიკოსი, არამედ ისტორიკოსი და ლინგვისტიც გახლდათ. აფხაზეთის ისტორიის საკვლევად მას ერთხანს თბილისშიც უცხოვრია. აქედან მოდის მისი ერთი უცნაური მოგონებაც... ჩვენი არაოფიციალური საუბრისას ბატონი ბაგრატი უცებ გაიხსნა. გამიკვირდა კიდეც ამ, ერთი შეხედვით, გოროზი ძლიერი კაცის სიყვარულზე ალაპარაკება. სიყვარულზე საუბარი კი ისეთი რამეა, უცებ გაახლოებს ადამიანთან, რადგან შენ პირად განცდებს გადასცემ სხვას. თავდაპირველად ბატონმა ბაგრატმა კონსტანტინე გამსახურდია გაიხსენა, თუ რა დიდი ამაგი ჰქონდა მას აფხაზ ხალხზე, როგორ აქცია მან საქვეყნოდ აფხაზი ხალხის გამორჩეული თვისებები, ტრადიცია, კულტურა... შემდეგ გაიხსენა დიდი გალაკტიონი და ქართულადაც კი წაიკითხა ერთი ჩვენთვის კარგად ცნობილი ლექსის სტრიქონე-

ბი: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი, // ლურჯო ზღვაო, თეთრო სანატორია... // მერე უცებ გიორგი ლეონიძესა და მის პოეზიას შეეხო და... ერთი ფრაზა აღმოხდა: „როგორ მიყვარდა?!“ გავოცდი... ვინ გიყვარდათ-მეთქი, ვკითხე რუსულად, რადგან საუბარი რუსულ ენაზე წარიმართა. ნესტან ლეონიძეო, – მიპასუხა დაუფიქრებლად. მაშინ ასე-თი კი არ ვიყავი, გამხდარი, აწონილი და ცოტათი მოუხეშავიც გახლდით. პირველად რომ დავინახე, მეგონა გული გამისკდებოდა. მისმა მომხიბლაობამ უცებ დამატყვევა. ერთი ცოდვაც უნდა ვალიარო, უჩუმრად უკან დავ-ყვებოდი. როცა შემამჩნევდა, მხოლოდ მაშინ გამოველაპარაკებოდი ხოლმე. ვერ ვძედავდი სიტყვის თქმას. ბატონი გიორგი ხშირად გვეპატიუჟებოდა სა-დილად, იშვიათად, მაგრამ სახლშიც მიგვინვევდა ხოლმე. ჰოდა (დიახ, ეს სიტყვა იხმარა ქართულად), ერთხელაც ძალა მოვიკრიბე და ქალიშვილის ხელი ვთხოვე. შეჩერდა... პაუზა გაგრძელდა, თვალებში საოცარი სითბო ჩაუდგა ამ კლდესავით კაცს, სივრცეს გაჰყურებდა აივნიდან. „მერე რა მოხდა-მეთქი...“ ეგ თქვენ ჩემზე უკეთ იცითო, – მიპასუხა და ბოლოს დაამატა, იცით, რა მითხრა?! – თუ ნესტანი თანახმაა, მე არაფერი მაქს საწინააღმდეგოო, მაგრამ, სამწუხაროდ, მერე გავიგე, ნესტანს სხვა უყვარდა. ასე დასრულდა ეს ამბავი, მაგრამ მე დღესაც მადლობელი ვარ იმ გრძნობისთვის, რომელიც მაშინ, შორეულ ახალგაზრდობაში განვიცადე.

ალბათ, იმ დროიდან შემორჩა პოეტ-ში უცნაური მოწინება ქართველი ქალის მიმართ, რუსთველის პროსპექტზე კვლავ და კვლავ გავლის სურვილი: „მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით, // გამოესალმნენ დუმილით მთები, // დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი // და ახლა ბინდი ეშვება ფრთებით. // ყელმოლერი-ლებს დამფრთხალ შვლებივით // ლამაზ გოგონებს ლიმილით ვზვერავ // და მე მა-

ჩერებს, როგორც ჯებირი, // მათი ამაყი,
კეთილი მზერა“.//

ამ უცნაური ამბის მოყოლისას კი-
დევ ერთი ლექსი გამახსენდა, ბაგრატ
შინკუბას გრიგოლ აბაშიძის მიერ თარ-
გმნილი პატარა ლექსი: „ლამის ნათელი
შარაგზას მისდევს, // ველ-მინდვრებს
შუქი ანათებს მკრთალი, // მთვარემ მო-



ისხა ლრუბლების რიდე // და მოგვარიდა
დარცხვენით თვალი. // დაბერე, ქარო, ეს
რიდე შავი // ამხადე, თორემ მარტო ვით
გავძლო! // მინდა სიტყვები, ვით ოქროს
ხვავი, // მივართვა მთვარეს – ჩემს ციურ
სასძლოს“.//

ჩემს შემეცნებაში ბაგრატ შინკუბა
ისევ ლირიკოს პოეტად დარჩა, მიუ-
ხედავად მისი შესანიშნავი პროზაული
ქმნილებებისა. რაკი პროზაულ ქმნილე-
ბებზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლე-
ბა არ შევეხო პირადად ჩემთვის ძალი-
ან საინტერესო რომანს „უკანასკნელი
უბისი“, რომელიც 1974 წელს გამოქ-
ვეყნდა და სამიოდ წელში უკვე ქართუ-
ლადაც თარგმნა მშვენიერმა ქართველ-
მა ქალბატონმა თამარ ჩიჯავაძემ. რო-
მანს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული
მეტად საინტერესო და ჩვენთვის დი-

დად ყურადსალები აფხაზური ანდაზა:
„სამშობლოს დამკარგავი ყველაფერს
კარგავს“.

და მაინც... ვინ იყვნენ უბისები? უბი-
სები მათ ჩერქეზებმა შეარქვეს, რომ-
ლებიც თავის თავს „თვაფხებს“ ეძახ-
დნენ. უბისები შავი ზღვის კავკასიო-
ნის სანაპიროზე მდინარეებს შახესა და
ხოსტას შორის სახ-
ლობდნენ. „კავკასი-
ის ომის დასასრულს,
როდესაც უბისების
შეურიგებელ პოზი-
ციას წააწყდა, მეფის მთავრობამ მათ ბე-
ლადებს ორი მკაცრი
არჩევანი შესთავაზა:
დაეტოვებინათ მთე-
ბი და ჩრდილო-და-
სავლეთის დაბლობ-
ზე ან თურქეთში
გადასახლებულიყ-
ვნენ. უბისების ბე-
ლადების არჩევანი
შორსმჭვრეტელური
არ აღმოჩნდა – 1864
წელს უბისები, თავი-

ანთი ბელადების კვალდაკვალ, თურ-
ქეთში გადასახლდნენ. „როგორც ქა-
რიშალს გადარჩენილი, ქანცგანყვეტი-
ლი ფრინველები ვერ ახერხებენ ერთად
ყოფნას, ასე დაიფანტნენ უბისები ახლო
აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში“. –
მოგვითხრობს რომანის წინასიტყვა-
ობაში ბაგრატ შინკუბა.

რა არის გადასახლება და გაყოფილი
ტერიტორიები, ეს ქართველებზე უკეთ
ვინ იცის?! გავიხსენოთ თუნდაც ფერეიდ-
ნელთა ამბავი, თუნდაც ჰერეთი, თუნდაც
ლაზეთი ან იგივე სოჭის მხარე, სადაც
დღეს, შეიძლება ითქვას, არც ერთი ქარ-
თველი ალარ სახლობს. პატარა ერებს
ერთმანეთის უკეთ ესმით, დიდ ერებს
კი მხოლოდ ტერიტორიები აინტერესებთ
საკუთარი მრავლობითობის გადასანაწი-
ლებლად. ვერც კი დაიჯერებთ, რა კარ-

გად ესმოდა ეს ბაგრატ შინკუბას. როცა ჩვენ უბისებზე ვსაუბრობდით, სწორედ ეს მითხვა მხცოვანმა აფხაზმა, „თქვენ ყველაზე უკეთ უნდა გესმოდეთ ჩვენი“. ეს ფრაზა სამუდამოდ ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში. როცა აფხაზებთან ომის შემდეგ ბაგრატ შინკუბას ადგილსამყოფელი მოვიკითხე, მოსკოვში ცხოვრობსო, მითხვეს. მართალი გითხრათ, ძალიან შემებრალა მწერალი, რომელიც მთელი სიცოცხლე აფხაზური კულტურის სათავეებთან იდგა. როგორც ჩანს, მისი ადგილი აღარ დარჩა მშობლიურ მიწაზე.

იმავე „უკანასკნელ უბისში“ ერთ საინტერესო ადილეურ ზღლაპარსაც გვიამბობს რომანის მთავარი გმირი – ზაურყან ზოლაკი: „ოდესლაც ერთი კაცი ცხოვრობდა, ყველა ენა იცოდა: კურდლისა და ჭიანჭველისა, ერთხელ ტყეში მიდიოდა და უნდებურად ჭიანჭველას დააბიჯა. გაბრაზებულმა ჭიანჭველამ შესძახა:

– ვინ არის ეს უკეთური, რომ მიდის და ძირს არ იხედება?

ეს რომ გაიგონა კაცმა, ჭიანჭველა ხელისგულზე დაისვა და გაოცებული ათვალიერებდა.

– ეს რა დიდი თავი გაქვს?
– ეს იმიტომ, ტვინი რომ შევინახო შიგ.

– ასეთი წვრილი წელი რატომდა გაქვს?

– იმიტომ კი არ ვცხოვრობ, რომ ვჭამო, იმიტომ ვჭამ, რომ ვიცხოვრო.

– რამდენის ჭამა შეგიძლია ერთ წელიწადში?

– ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი მეყოფა.

– მაშ კარგი, ვნახოთ, გეყოფა თუ არა ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი,
– უთხრა კაცმა. ჩასვა ჭიანჭველა ყუთში და ხორბლის მარცვალი ჩაუგდო შიგ.

გავიდა ერთი წელი, გაახსენდა კაცს ჭიანჭველა, გახსნა ყუთი და გაოცდა, ჭიანჭველას მხოლოდ ნახევარი მარცვალი შეეჭამა.

– ნახევარ მარცვალზე მეტი რატომ არ შეგიძამია?

– იქნებ, იმ სულელ კაცს ტყუილუბრალოდ რომ გამოამწყვდია დილეგში, ერთი წლის კი არა, ორი წლის შემდეგ გავხსენებოდი. ჰოდა, მეც ყოველი შემთხვევისთვის შემოვინახე ეს მარცვალი.

– უთხრა ჭიანჭველამ.

ალბათ იმიტომ მახსოვს ეს ზღაპარი ასე კარგად, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე ხშირად ვიხსენებო“.

და იცით, რა ფრაზებს მოაყოლა აღნიშნული ზღაპარი? „ტყუილად ამბობენ, ჩემი ძვირფასო შარახ, რომ ადამიანს ენის დავიწყება შეუძლია, იმ ენისა, ძუძუსთან ერთად რომ შეუწოვია. არა, არ შეუძლია. ისევე როგორც არ შემიძლია მე დედაჩემის დავიწყება. სამი ენა ვიცოდი ახალგაზრდობაში, ისე თუ დადგები, რომ ზღვას უყურებდე, ჩვენგან – უბისებისგან მარჯვნივ, ადილები ცხოვრობენ, მარცხნივ კი – აფხაზები, ჩვენ ახლო მეზობლები ვიყავით და არ შეიძლება ეს ენები არ გვცოდნოდა“.

ალბათ, თქვენც ხვდებით, რა გვითხრა ამ სიტყვებით ბაგრატ შინკუბამ... თუ მეზობლები ვართ, ერთმანეთის ენასაც უნდა ვცეთ პატივიო. ენა საკრალური მნიშვნელობის ფენომენია ყველა ერისთვის... მე გავიგე მისი: იმიტომ არ ვლაპარაკობ ქართულად – თუმცა ვიცი ეს ენა – რომ თქვენ არც კი ცდილობთ, შეითვისოთ თქვენი მეზობლის ენა.

არ ვიცი, თქვენც გაგებინეთ, თუ არა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია – სიყვარული და პატივისცემა სიყვარულსა და პატივისცემას ბადებს. და რაკი კვლავ სიყვარულს მიეუბრუნდით, ბაგრატ შინკუბას ლექსის ერთ მშვენიერ თარგმანსაც შემოგთავაზებთ, ლექსს კი „წყურვილი“ ჰქვია: „აი, გაისმის მამლის ყივილი, // ცხენის ფეხის ხმა მოედო შუკებს, // გოგონა სარკმელს ალებს ლიმილით // და ძალლს უწყრება – „მურია, ნუ ყეფ“ // აი, მხედარი შედგა ჭიშკართან, // ფიცხელი ცხენი ტორს სცემს მიწაზე. //

სარქმელში გოგო ამოცისკარდა // და ვა-
უის ქურდულ მზერას იტაცებს. // – დე-
და, დედიკო, ვილაც მგზავრია, // წყალს
ამოვილებ, ალბათ სწყურია... // შვილო,
გავარდი, ღვინო მიართვი, // ღვინის მირ-
თმევა აფხაზურია.// დედა, მხედარი გარს
უვლის ეზოს, // როგორ უხდება ცხენის
ჭენება, // ვაიმე, მამა რომ შემოესწროს,
// მაშინ რაღა ვქნათ, რა ეშველება! // –
არაფერია... მე შევახსენებ... // და მოი-
გონოს იქნებ თვითონაც, // როცა ჩვენს
სახლთან იდგა ასევე // სახაგამშრალი და
წყალს ითხოვდა...“ // სატრიუიალო ლი-
რიკას მაინც სხვა ეშხი აქვს, სხვა ეშხი
აქვს მას აფხაზურ პოეზიაშიც. აქ ჩანს
კდემამოსილება, პატივისცემა, ტრადი-
ციების ერთგულება და ლტოლვის და-
უოკებელი ჟინიც.

ბაგრატ შინკუბას პოეზიაში დი-
დი ადგილი უკავია პატრიოტულ ლი-
რიკასაც და ეს არც არის გასაკვირი,
რადგან პატარა ერის შვილი სიტყვას
ეჭიდება, სიტყვას, რომელიც მისთვის
უფალია და არ შეიძლება სხვა რამე
იყოს.... მინდა გავიხსენო მისი რომანი
ლექსად „კლდის სიმღერა“, რომელშიც
ყველაფერი ერთად არის შენივთებული
და წარმოსახული: სიბრძნეც, მამულის
სიყვარულიც, მეგობრობის ძალაც და
დიდი სიკეთეც. ეს პოემაც დაწერის-
თანავე ითარგმნა ქართულად და ვისაც
ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ თვითონ
განმარტოვდეთ ამ რომანთან. 1967
წელს ბაგრატ შინკუბას აფხაზეთის სა-
ხალხო პოეტის სახელი მიენიჭა, ხოლო
ზემოთ დასახელებული რომანისთვის
მან აფხაზეთის სახელმწიფო, დიმიტრი
გულიას სახელობის პრემიაც დაიმსა-
ხურა.

მეგობრობისა და ძმობის ძალაზე გე-
საუბრებოდით და სწორედ ახლა მინდა
შემოგთავაზოთ ირაკლი აბაშიძის მიერ
თარგმნილი ლექსი „შართა ამთა“, რო-
მელიც ჩვენებურად „მრავალუამიერს“
ნიშნავს. სხვათა შორის, მინდა ალვნიშ-
ნო, რომ იმ პერიოდში, როცა ირაკლი

აბაშიძე საქართველოს უმაღლესი საბ-
ჭოს თავმჯდომარე იყო, ბაგრატ შინ-
კუბა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს თავ-
მჯდომარეობდა. ისინი, როგორც მსმე-
ნია, გულითადი მეგობრები იყვნენ...
„შართა ამთა! ძმობის გარდა, // ქვეყნად
არის რამ ძლიერი? // თქვენი სადლეგრძე-
ლო იყოს, // თქვენი მრავალუამიერი! //
როგორც ადათ-წესი ითხოვს, // დღე ჰქო-
ნოდეს ბედნიერი, // მისი სადლეგრძელო
იყოს, // მისი მრავალუამიერი!“ – ასე-
თი მაურული ინტონაციები, ცხადია,
ეპოქის ნიშანია, მაგრამ მეგობრობა და
ძმობა მთიელთათვის მაინც მარადიუ-
ლი ცნებებია. და თუ აფხაზურ ლიტე-
რატურას არ გვინდა მივუგდოთ ყური
(ისე კი, რატომ არ უნდა მივუგდოთ, არ
მესმის!), ქართული ლიტერატურის შე-
დევნებს მაინც დავუჯეროთ... გავიხ-
სენოთ თუნდაც, აკავის „გამზრდელი“,
კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის
მოტაცება“, ლეო ქაჩილის „ჰაკი აძბა“,
შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტა-
ტა“... მეტი რაღა გითხრათ?!

ბაგრატ შინკუბა ბევრს შრომობდა,
თხზავდა, თარგმნიდა, წერდა ისტორი-
ულ ნარკვევებს და პოლიტიკურ საქმი-
ანობასაც ეწეოდა. იცოდა, სად გაევლო
ხაზი, სად ინყებოდა და სად მთავრდე-
ბოდა აფხაზთა თავისუფლება. ამისი
დასტურია მისი საყოველთაოდ ცნობი-
ლი რომანი, სხვათა შორის, პოლო რო-
მანი „გაპობილი ქვა“. მაგრამ მე მინდა
კვლავ გავიხსენო „უკანასკნელი უბისი“.
ამ ნანარმოების დასასრულს ზაურყან
ზოლაცი ფურცლებად აკინძულ თავის
ნააზრევს ამავე რომანის გმირს შარას
ქვაძბას ატანს და ეუბნება: „ძვირფა-
სო შარას, გადაშენებული უბისებისაგან
ესლა დარჩა. წაიღე ისინი აფხაზეთში“.
იქნებ, აფხაზთაგანაც ცოტა თუ დარ-
ჩა და დღეს ჩვენი ვალდებულებაა, არა
მარტო გადავარჩინოთ ჩვენი თვითმყო-
ფადობა, არამედ დავიცვათ ისინიც,
უბისების ბელადების მსგავს პოლიტი-
კოსთა არაშორისმჭვრეტელურ გადაწ-

ყვეტილებათა გამო რომ აითქვიფნენ უცხოტომელთა ზღვაში. ახლა კი მინდა მივმართო ბატონი ბაგრატის სულს, რომელიც, ალბათ, ზემოდან დაგვყურებს და კვლავ განიცდის ჩვენს ასეთ ყოფას: „დად, გვახსოვხართ, ხშირად გიგონებთ!.. დად, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მართალი სული!“ და ბოლოს შემოგთავაზოთ ბატონი ბაგრატის ლექსი „ანდერძი“, რომელიც აფხაზურიდან ისევე შესანიშნავად და სიყვარულით თარგმნა ქართველმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, როგორი სიყვარულიც გამოხატა თავის ლექსებში საქართველოს ამ მშვენიერი კუთხისადმი: „მოხუცმა შვილებს დაუტოვა ოქროს ანდერძი, // ანდერძი – გულზე სასოებით ამოსაძერწი. // – ამ წუთისოფლად ულე-

ველი მხოლოდ წყალია, // მაგრამ მწყურვალი, შვილნო ჩემნო, მრავლად არიან. // წყაროს და ბინულს გაუფრითხილდით, ეს გქონდეთ წესად, // დაე, მწყურვალმა გზად წყალი შესვას. // დაე, მაშვრალნი წყალთან ერთად შესვამდნენ ხალის... // შვილებო ჩემო, არ მოაკლოთ დოლაბებს წყალი. // დაე, ტალღები ეცემოდეს წისქვილის ბორბალს, // ფქვავდნენ და ფქვავდნენ დოლაბები ოქროსფერ ხორბალს. // შვილებო ჩემო, არ ჩააქროთ კერის ცეცხლი, // ჭერქვეშ ისმოდეს ჭიკ-ჭიკი მერცხლის. // ოღონდ გახსოვდეთ, რაც მთავარია: // წყალი და ცეცხლი მტრები არიან... “//

დიახ, სამშობლოს დამკარგავი ყველაფერს კარგავს...



მიმოზა კვირკვია

ბეჭისწერის გარდუვალობა და პათარზისი

უურნალ „ცისკრის“ 2015 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა ზურაბ ლავრელაშვილის მოთხრობა „ცვილი და ოქრო, ფერფლი...“

ზურაბ ლავრელაშვილის ნაწარმოები, რომელიც ერთ მთლიან ტექსტს წარმოადგენს, ტრაგიკული ცნობიერებითაა გამსჭვალული; აյ სიცოცხლის ღირებულების, ყოფიერების ავკარგიანობის საზომი პიროვნული თვისებებია, ერთგვარი გულცივობა გარესამყაროსადმი, ადამიანებისადმი. მთავარი გმირი ქალია, სუბლიმირებული იდეების მქონე... მისი პიროვნებაც საცერესია გატარებული, ულიმღამო ყოფა, უაზრო არსებობის სიხარული, სიმდიდრის პრიმატი სიღარიბეზე და თავისუფლების ფარული ტრფობა – ყველაფერი ათქვეფილია, თითქოს „ბოვარიზმის“ სინდრომიც შეინიშნება...

მოთხრობა დაყურსულია სიმბოლოებით, ყველგან ნაღმია ჩადებული მთავარი გმირის ასაფეთქებლად, მისი ქვეცნობიერის გასამუდავნებლად, მაგრამ ცივი მდუმარებაც სუფევს, თხრობა არ არის ემოციური, უფრო მედიტაციურია, პერსონაჟის სულიერი ღრულვებიც ეგზისტენციალისტების სტილშია წარმოჩენილი...

ეს ცხოვრება აბსურდია, უაზრობაა, არ ღირს თავგანწირვა, არც სიყვარუ-

ლი, ყველაფერი შეცდომაა.

ეს ერთი შეხედვით, მაგრამ ამგვარი თვალსაზრისი რაციონალური დაკვირვების შედეგი უფროა, ვიდრე ემოციური განწყობისა... საინტერესო ცდაა სახარებისეული ალუზიების ლიტერატურული მისტიფიკაციისა. მოთხრობის ყველა გმირი გაივლის იმას, რაც იოანეს გამოცხადების თემაა.

განსაკუთრებული წაკითხვა სჭირდება თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებს, რადგან მათ სხვა კრიტერიუმები აქვთ, ძველი პოეტიკა ახლით შეცვალეს და შემოიტანეს კონკრეტულ ლიტერატურულ მიზნებს მორგებული სქემები და არქეტიპები.

სანამ მოთხრობის მთავარ თემას შევხებოდეთ, სათაური განვიხილოთ: ის თითქოს სამებას გამოხატავს, უფრო ზუსტად – მოგვების საჩუქრებს (ცვილი და ოქრო); დამაბნეველია მესამე კომპონენტი. „ფერფლი“. ის, ალბათ, იმას მიანიშნებს, რომ ადამიანის ცხოვრება წარმავალია და ადრე თუ გვიან ფერფლად იქცევა; მწერლის სხვა ნაწარმოებში კი გვხვდება „მტვერი“, რაც იდეურ კავშირს მიანიშნებს; შესაბამისად, თემაც გარკვეულია – ადამიანის პიროვნების სრულყოფა, ძველი ცნობიერების ახლით შეცვლა სულიერი აპოკალიფსის ფონზე ინტერტექსტუალობის საშუალებით.

საინტერესოა ეპიგრაფი, იოანეს გა-
მოცხადების ერთ-ერთი სტროფი: „...და
აჰა, ცხენი სპეტაკი და მას ზედა მჯდომ-
სა მიეცა გვირგვინი“.

მწერალი ახდენს ხატ-სიმბოლოთა
რთულ ვარირებას. ამის მაგალითია
ოთხი მხედარი, რომლებიც ნაწარმო-
ებში მრავალჯერ არის ნახსენები სხვა-
დასხვა კონტექსტში, მაგრამ ყველაზე
მეტად აქცენტირებულია მთავარი პერ-
სონაჟის სიზმარში. ხომ არ არიან ისინი
გამოცხადების მხედრები? შეიძლება ეს
აზრიც გაჩნდეს, რომ არა კირკეგორი-
სეული გადაწყვეტა, რაც ასე მარჯვედ
აქვს აქცენტირებული ავტორს პომპო-
ნიასთან დაკავშირებით: „...პომპონია
სიბნელეს ჩააშტერდა და ოთხი მიბნე-
დილი ფიგურა დაინახა... ლასო იმათ
ეჭირათ, ისინი აოკებდნენ გაგიჟებულ
ჰუნეს, შეწყობილად ეწეოდნენ თოქს,
რათა თავი არ დაეხსნა ცხენს, არ გაშ-
ვებულიყო, არ გასხლტომოდათ ხელი-
დან... პომპონიას თითქოს ეცნო და
არც ეცნო ის კაცები, თუმცა მეოთხის
სახე და სერნაწრი კი ვერაფრით გაარ-
ჩია, რაღაი ის ჩრდილში იდგა, მოშორე-
ბით, ბნელს მიფარებული“.

ნაწარმოებში ეტაპობრივად არის ნაჩ-
ვენები პიროვნების განვითარების საფე-
ხურები, როცა თანდათანობით ვლინდება
ადამიანის განცდები ესთეტიკურ, ეთიკურ
და რელიგიურ ასპექტში. ამ მხრივ პომ-
პონია ყველაზე რთული პერსონაჟია. მისი
სულიერი კათარზისი ხატოვნად, ძუნწი
შტრიხებით აქვს ნაჩვენები მწერალს,
თუმცა პომპონია, როგორც პიროვნება,
სრულყოფილებას ვერ აღნევს, რადგან
მუდამ გარეთ ეძებს თავისი სისუსტისა
და მარცხის მიზეზს, იმის ნაცვლად, რომ
თავისთავად იპოვოს პასუხი სამყაროულ
რთულ კითხვებზე.

პომპონიას სულიერი განვითარება
მოთხობაში სხვა პერსონაჟებთან მი-
მართებაშია ნაჩვენები. ეს ბუნებრივი-
ცაა, რადგან პერსონაჟის ხასიათის გა-
სახსნელად დინამიურობაა აუცილებელი.

პომპონიას, როგორც ქალის გარშემო,
შემთხვევით არ ჩნდება ოთხი მამაკაცი: მაქსიმუსი – ყოფილი საქმრო, სენატორი – მეუღლე, მარკუს ავილა – სტოელ-
თა მიმდევარი და დორიონი – ბავშვე-
ბის აღმზრდელი; თითოეული მათგანი
კვალს სტოვებს პომპონიას ცხოვრება-
ში. მაქსიმუსი, რომელმაც დანიშნულს
„უღალატა“, მას ღვთისკენ სავალ გზას
უჩვენებს, სენატორი მისი მშვიდი ცხოვ-
რების მფარველია, ავილამ ცხოვრების
წარმავლობა დაანახა, დორიონმა კი თა-
ვისუფლებისაკენ უბიძგა; ერთი სიტყვით,
პომპონია არჩევანის წინაშეა და ისიც
მშვიდ ცხოვრებას ირჩევს „პენატებს
შორის“, თუმცა სულიერი კონფლიქტის
შეგრძნებამ სიმშვიდე მრავალჯერ და-
ურღვია.

ადამიანის ცხოვრება შეუცნობელია,
ის არ არის, რაც გვგონია – მოთხოვნების
თითოეული პერსონაჟი ასეთ მკაცრ გაკ-
ვეთილს უტარებს პომპონიას, მაგრამ ის
ბოლომდე ვერ იგებს ცხოვრების არსა,
ამიტომაც ვერ თმობს კეთილდღეობას,
თუმცა დორიონთან საუბარში გამოტ-
ყდება, რომ მასაც სწყურია თავისუფ-
ლება, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია,
რადგან ის ვერ გადაახტება თავის „მე“-ს,
რაც სიმბოლურად არის მითითებული ნა-
წარმოებში ცხენის დასისხლიანებულ კი-
სერზე შემოხვეული ყულფით. ამდენად,
პომპონია, როგორც ქალი და როგორც
პიროვნება, ვერასოდეს პოვებს თავი-
სუფლებას, რადგან ის დამოკიდებულია
გარემოზე; მხოლოდ ერთეულები ახერ-
ხებენ ასეთი დაბრკოლების გადალახვას,
პომპონია კი სუსტი არსებაა, რომელიც
ვერასოდეს დაძლევს ინსტინქტს. პომ-
პონიამაც იგივე გზა გაიარა, რაც მას
ზემოდან დაუდგინეს, ამიტომაც ის ვე-
რაფერს შეცვლიდა...

თუმცა პომპონიამ თავისი ცხოვრების
გარკვეულ პერიოდში ბევრი რამ გამო-
იარა, კვლავ შეხვდა ერთ დროს გაქცე-
ულ მაქსიმუსს, რომელიც ბაზრის სი-
ახლოვეს ფაცხაში დაყუდებულიყო. ეს

ეპიზოდი სახარებას გვაგონებს. პომპონია ფაცხაში იქვრიტება და მოულოდნელად ფაცხის უკნიდან განდეგილი გამოვა. ასე იხილეს ქრისტე მის საფლავზე მისულმა ქალებმაც.

თუმცა ვერც მაქსიმუსის დაბრუნებამ დაარღვია პომპონიას მშვიდი ცხოვრება. სიყვარული მას შეცდომად ესახებოდა. ვერც ღვთისა და კაცის დაპირისპირების აზრს ხვდებოდა. ამიტომ უნდა დაეცადა, სანამ კვლავ მინიშნებას გამოუგზავნიდა ცხოვრება და მანაც არ დააყოვნა, როცა ავილა გამოუგზავნეს; სულიერი განვითარების მხრივ ავილა უფრო მაღალ საფეხურზე აღმოჩნდა ქალისათვის, რადგან პომპონია ცხოვრებას პრიმიტიულად აღიქვამდა და ეგონა, რომ ადამიანი მხოლოდ სიყვარულით იტანჯებოდა, ავილამ კი ეს აზრი მაშინვე გაუქარწყლა: „სიყვარული ვერაფერს გვშველის, მარტო გზას გვაცდენსო“, და დაამატა: „არსებობითაც იტანჯებიანო“.

ნანარმოებიდან ჩანს, რომ პომპონია მზად არის, ეს მამაკაცი შეიყვაროს, მაგრამ ავილა მას იმედს გაუცრუებს: „ის კაცი როდი ვარ, ვისაც შეიყვარებდი“. მათ ურთიერთობაში საინტერესოა ფრაგმენტი, როცა ავილა ბაბუანვერას ყვავილს მონცვეტს და ქალს ეუპნება: „სილამაზეს ხრწნა და წარმავლობა მატებს მხოლოდ“.

მერე კი დასძენს: „რაც წარმავალია, ლამაზიც ის არის“. ამით სილამაზისა და ცხოვრების წარმავლობა მიანიშნა პომპონიას, რომლისთვისაც მძიმე აღმოჩნდა მკაცრ სინამდვილესთან პირის-პირ შეჯახება.

შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია მხატვრული ოსტატობის მხრივ.

პომპონიას სულიერი განვითარებისათვის მწერალს სხვადასხვა პერსონაჟი შემოჰყავს, მაგრამ პომპონია ვისაც არ უნდა შეხვდეს, მრნამს მაინც არ იცვლის. მხოლოდ ბავშვების აღმზრდე-

ლი დორიონი თუ მოახდენს მასზე მცირე ზემოქმედებას და ესეც წამიერი სისუსტეა; ვერც დორიონის სექტის ცხოვრების წესმა მოაქცია ის ღვთისმოსავად. სექტის წევრები ათი მცნების შესაბამისად ცხოვრობენ და ძალიან ჰგვანან ზურაბ ლავრელაშვილის რომანის „მღვიძარების“ პერსონაჟის, ფრედის კომუნას.

მოთხრობის ძლიერი სახეა ვესტას წინამდლვარი, ვინც მრავალ კითხვას აღუძრავს პომპონიას და გულთმისნობით აოცებს.

მოთხრობაში გმირთა საინტერესო გალერეა, მაგრამ ყველაზე შთამპეჭდავი და კომპაქტურია მარკუს ავილა, რომლის თვითმკვლელობაც იდუმალებით შემოსა ავტორმა. ჩვენ დაგვაფიქრა: რაიმე იმპულსი ხომ არ არსებობდა ამ ნაბიჯისათვის? ხომ არ მიუძლვის მის ბედისწერაში ბრალი ქალის ენერგიას, რაც გარეგნულად სრულებითაც არ ჩანს, თუმცა დემონურობისა და მეფისტოფელურის შემცველია.

მაქსიმუსიც ხომ იმავე ენერგიამ დაამარცხა...

ერთადერთი დორიონი ენინააღმდეგება პომპონიას, თუმცა რომ არ გაქცეულიყო მისგან, ვინ იცის, რა მოხდებოდა, ხოლო ქალმა უნებლიერ გასცა იგი, იუდასავით...

აქ უნდა შევეხოთ საგნების მისტიკას და მრავალ კოდს, როგორც იტყვიან ხოლმე, „უხილავ ფარდას“. პერსონაჟების დასახასიათებლად ავტორი დამატებით მიმართავს უსულო საგნებით მინიშნებას. ასეთია მაქსიმუსის ოქროს ბეჭედი; ასევე ცვილის ბურთულა, რომელსაც დორიონი ხშირად ათამაშებს ხელში სხვათა ყურადღების მისაქცევად, რათა თვითონ მზერისაგან შეუვალი დარჩეს. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან დორიონს ძალებს ცვილის მსგავსად ადამიანისაგან პიროვნება გამოძერნოს, რაც მან ნაწილობრივ შეძლო კიდეც. პომპონია მისი გავლენის

არეალში მოქმედა და თავის ცხოვრები-დან გაქცევის სურვილიც გაუჩნდა.

რაც შეეხება მოთხოვობაში ჩადე-ბულ სიმბოლოებს და კოდებს, ისი-ნი ბევრგან გვხვდება და შევეცადეთ რამდენიმე მათგანი მაინც ამოვეხსნა: ეპიზოდი პომპონიასა და დორიონის მოგზაურობისა გვირაბში გვახსენებს არიადნას მითს; ძლიერი სიმბოლური სახეა – სიზმრის ოთხი მხედარი, დაჭრილი ცხენის დამორჩილებას რომ ცდილობს...

სამარცხვინო ბოძზე გაკრული დო-რიონი ჯვარცმული ქრისტეს ასოცია-ციაა, თან ისიც ნიშანდობლივია, რომ მის გვერდით მარკელუსია – ავაზაკის იპოსტასი...

პომპონიას სიზმარში ნანახი ცეც-ხლი, რომელმაც ცხადში შთანთქა მისი კვიცი და ვესტას ტაძარიც გაანადგუ-რა, კიდევ ერთხელ მიუთითებს აპოკა-ლიფსზე, რადგან გამოცხადებაში სიტ-ყვა-სიტყვით წერია, რომ მეორედ მოს-ვლის დროს მესია ცეცხლით და მახვი-ლით მოვა.

რაც შეეხება „ტყის“ სიმბოლოს, მოთხოვობაში ის ზოგადად, გამოყენე-

ბულია როგორც საფრთხის მინიშნება; ტყეს ახსენებს წინამძღვარი, ტყე აში-ნებს პომპონიას, მაგრამ ფინალში ტყე იძენს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელო-ბას; ის შეიძლება ჩაითვალოს აკორდად მხატვრული გამონაგონისა, რამაც მარ-თლაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ავტორმა მოგვცა უმშვენიერესი კალე-იდოსკოპი სიმბოლოებისა, სადაც ცხე-ნი, ოსტატი, ახალი მეგზური – ყველა ერთადაა ნახსენები. „ყველანი შთანთქა ტყემ“, – ეს მიანიშნებს კაცობრიობის ისტორიული ციკლის დასასრულზე, მის სვლაზე მარადისობისაკენ, რადგან „ახლოა ჟამი, რომ აღარ იქნება დრო“.

ჩვენ კი იმედი გვრჩება, რომ ახალ მეგზურთან ერთად მგზავრები ოდესმე გავლენ ტყიდან.

მწერლის გზავნილი ასეთია: ყველა ადამიანს აქვს თავისი ულრანი ტყე, საიდანაც თავის გაღწევას ცდილობს, მაგრამ გამოსავლის პოვნა ყველას არ ძალუდს, რადგან ქვეცნობიერიდან გას-ვლა, თუნდაც საკუთარი „მე“-ს შეც-ვლა, წარლვნის შემდეგ შეიძლება მოხ-დეს და ადამიანს კი ისლა დარჩენია – ელოდოს...

მედეა ზაალიშვილი

ცაში გამოკიდული სახლი



ჩემი მოგონებები ჩითის ჭრელაჭ-
რულა ნაკუნებისაგან შეკერილ საბანს
ჰგავს. რაც გონებაში ამოტივტივდება,
იმას ვწერ – უბრალოდ, ამბავს ვყვები,

ია ზაალიშვილი დაიბადა ქ. თბილისში,
ათას ცხრას ოცდათერთმეტი წლის
(1931 წ.), ოქტომბრის ცხრას (9/X).

მშობლები: მამა – ზაალიშვილი მი-
ხეილი გიორგის-ძე.

დედა: რუსუდანა პაატის-ას.
გედევანიშვილი.

როცა მამაჩემს ეს ცნობა წა-
უკითხავს, აღმფოთებულა.

– მე ჩემს ქალიშვილს მედეა
დავარქვი, ცოლად კი რუსუდა-
ნი შევირთე, ჩემს სიმამრს პაა-
ტა ერქვა. უნდა წავიდე და ყო-
ფა ვუტირო ამ ცნობის შემდგე-
ნელს!

დედაჩემს ძლივს გაუჩერებია
დიდი ხვეწნა-მუდარით. სულ მა-
ინტერესებდა, რა ხდებოდა სა-
ქართველოში ჩემი დაბადების
წელს, საიდან უნდა გამეგო, თუ
არა საისტორიო წიგნებიდან.

ნუ იყითხავთ, თურმე მაშინაც თით-
ქმის ისეთი რამები ხდებოდა, რაც ახ-
ლა: „1931 წლის 31 ოქტომბერს საკ.
კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს
მთელი რიგი დადგენილებები. ადგი-
ლი ჰქონდა ბრძოლას გავლენისათვის,
მოხდა კადრების დაწინაურება პირადი
ერთგულებით...“

თურმე „1931 წლის 14 ნოემბერს,



არც ქრონოლოგიას ვიცავ და არც რა-
იმე წესს ვემორჩილები.

მარჯვენა ყურის ბიბილოს გამო

1931 წელი.

დაბადების მოწმობა № 814.

გაეცა მასში, რომ მოქალაქე მედე-

პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ლავრენტი ბერია...“

დავხურე წიგნი და ჩემს უფროს ძმას, მალხაზს მივადექი – მიამბე იმ დროზე, როცა ამქვეყანას მოვევლინე-მეთქი.

– მამაჩემმა და დედაჩემმა თავისი ცოლ-ქმრული ცხოვრების განმავლო-ბაში პირველად შენი გაჩენის შემდეგ იჩხუბეს!

მამაჩემს ჩემი მარჯვენა ყურის ბიბი-ლო არ მოსწონებია და გადაუწყვეტია, დოლბანდი მაგრად წაეკრა ჩემთვის, რომ ჩამოკეცილი ყური გაესწორებინა. დედაჩემი ენინააღმდეგებოდა, – ბავ-შვი ცოდოაო, მაგრამ მამაჩემს მაინც არ დაუშლია თავისი. მე ტირილი დამინ-ყია. ჩემს მეორე ძმას თენგიზს, ხელში ავუყვანივარ, თურმე ოთახში აქეთ-იქით დადიოდა და მაწყნარებდა. როგორც ჩანს, ეს იყო ჩემი პირველი უსიამოვ-ნო შეგრძება, რომელმაც მიმახვედრა, რომ ამქვეყნად, გარდა ჭამისა და ძილის სიამოვნებისა, ბევრი რამ არის არასა-სურველი და უსიამოვნო.

მცვანე და მუში ყავისჭერი

ყველაფერი სინათლით იყო გარემო-სილი, – თეთრი ოთახები, დიდი ფან-ჯრები, თეთრი, გამჭვირვალე ფარდე-ბი, გრძელი დერეფანი, დერეფნის შუაში ჩემთვის ჩამობმული საქანელა. საწოლ ოთახში ნიკელის წყვილი საწოლი, „ში-ფანერი“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ) დიდი სარკით და ორი სავარძელი. ამ ოთახიდან მეორე ოთახამდე გრძელი დე-რეფანი უნდა გაგევლოთ. ეს სასტუმრო ოთახიც იყო და მამაჩემის სამუშაო კა-ბინეტიც, საწერი მაგიდით, წიგნის თა-როებითა და რბილი ტახტით, კუთხეში პატარა მრგვალი მაგიდით, რომელზე-დაც პატეფონი იდგა. ეს პატეფონი ყო-ველთვის მწვანე მეგონა.

ამას წინათ, ერთ კვირადღეს (თემო ახლა 94 წლისაა, მე 83-სა) მოგონებებ-ში გადავვარდით. მე მწვანე პატეფონი ვახსენე. ჩემს ძმას გაუკვირდა, – მწვა-ნე კი არა, მუქი ყავისფერი იყოო. ეგ პატეფონი მე და თენგიზმა ვიყიდეთ (თენგიზი, ჩემი მეორე ძმა, ახლა 91 წლისა იქნებოდა, მსოფლიო ომში პო-დოლსკთან დაილუპა ცხრამეტი წლი-სა). მალხაზმა განაგრძო: „მაშინ, მე 14 წლისა ვიყავი, თენგიზი 12-სა; გადავ-წყვიტეთ გაკვეთილის შემდეგ მშენებ-ლობაზე დაგვეწყო მუშაობა და დედას დავხმარებოდით. ერთხანს ერთი სახ-ლის ჭიშკარიც შევაკეთეთ. უკვე აკა-დემის წევრ-კორესპონდენტი ვიყავი, როცა ერთმა პროფესორმა ქალბატონ-მა მითხრა, – ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ბავშვობაში მინახიხართო. აღმოჩ-ნდა, სწორედ ამ ქალბატონის ჭიშკარი შეგვიკეთებია. ჩევნი შრომით საკმაო ფული შევაგროვეთ. მაშინ პატეფონი ძვირვას ნივთად ითვლებოდა. პატე-ფონი და ველოსიპედი ვიყიდეთ. იმდე-ნი ფულიც დაგვრჩა, რომ დედას დავ-ხმარებოდით“.

არადა, ჩემს მესიერებაში ის პატე-ფონი მწვანე იყო.

რაც სწორია და რაც სწორი არ არის

ძველ სახლს ვერის აბანოსთან მა-ლე დავემშვიდობეთ. მამაჩემმა აიჩემა, ამ სახლიდან ხედი არ მოჩანს, სადმე მთაზე უნდა ავაშენო სახლი, საკუთა-რი ეზოთი და გაშლილი ხედითო.

სანამ სახლს ააშენებდა, როგორც გითხარით, გურამიშვილის № 9-ში გა-დაგვიყვანა, პატარა, 15 კვ. მ. ოთახ-ში. არ ვიცი, როგორ ვეტეოდით. ის კი მახსოვს, ერთ-ერთ კედელზე ჩემმა უფროსმა ძმამ დიდი დაფა რომ დაკი-და და ატომგულის დაძლის ფორმულა მასწავლა. მეგობრებთან მაქებდა, ხელად

ისწავლა, ჩემი დისგან კარგი ქიმიკოსი გამოვაო. მაგრამ იმედი გავუცრუე. ჩემი სკოლის მასწავლებელი, პატარა, მინიატურული ქალი მარო ჯარიაშვილი სულ მსაყვედურობდა: „გრცხვენოდეს, მედეა ზალიშვილო, მალხაზის და მაინც არ იყო“. ქალბატონ მაროს რეზინის მაღალი ბოტები ეცვა და მის გამოჩენას ამ ბოტების ხმაზე ვიგებდით.

მარო ჯარიაშვილს ცდები არ გამოსდიოდა. გაკვეთილი რომ დამთავრდებოდა, ჯერ გავიდოდა და ცოტა ხანში კარს შემოალებდა და შემოგვაძებდა: „ბავშვებო, დაიმახსოვრეთ, არ გაწითლდა, მაგრამ უნდა გაწითლებულიყო“. საყვარელი ქალი იყო. მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითო მოღრუცილი ჰქონდა, დაფაზე მთელი ძალით ურტყამდა ხოლმე: „ეს სწორია, ეს სწორი არ არის, ეს სწორია, ეს სწორი არ არის“. სულ სათვალეს ეძებდა, რომელიც შუბლის ზემოთ ჰქონდა აწეული. პირველ მერხზე, მის მაგიდასთან ახლოს მჯდომ ერთ მოწაფეს სულ ეჩსუბებოდა: „ამაშუკელო, ან დადე სათვალე, ან გადი გარეთა“. ცოტა ხანს ვაწვალებდით და მერე ვეუბნებოდით: „პატ. მასწ., სათვალე შუბლზე გაქვთ“. შუბლზე ხელს იტკეცდა და მერე ბოდიშს უხდიდა ამაშუკელს.

გაჭირვება მაჩვენეო...

ბიჭი ქობულეთის ქუჩის დაღმართს დაუყვა. ძირგამოხვრეტილი ფეხსაცმელები ეცვა. მინა, წვრილ-წვრილი ქვები და ხრეში ფეხისგულებს სტკენდა. მალიმალ ჩერდებოდა, ხან ერთ ფეხსაცმელს იხდიდა, ხან მეორეს. გულმოდგინედ ბერტყავდა. როგორც იქნა, ჭავჭავაძის გამზირამდე ჩააღნია. ას-ფალტზე ალარ უჭირდა სიარული და უფრო მკვირცხლად გაუდგა გზას. მეგობართან მიდიოდა. რაღაც უნდა მოეფიქრებინა, რადგან ორივეს ერთი და იგივე პრობლემა აწუხებდა. ორი დღეა

მის მეგობარს გარეთ არ გამოუხედავს. მის ფეხსაცმელს ძირი გასძვრომოდა. ფეხშიშველა ხომ ვერ გავიდოდა ქუჩაში. არადა, ყველაფერი მეტისმეტად ძვირი ღირდა, სახლში კი გროშიც არ ჭაჭანებდა. ირგვლივ სიცივე, უშუქობა და შიმშილი მძვინვარებდა. ბიჭი მეგობართან მიიჩქაროდა. ხელსაწმენდში ერთი ნაჭერი შავი პური გაეხვია. ცოტაოდენი კუს კვერცხის ფხვნილიც მიჰქონდა. ჰო, კუს კვერცხის ზაფრანისფერი ფხვნილი, – ამერიკის დახმარება! როგორც იქნა, მიაღწია მეგობრის სახლს. კარი შეაღო.

– მოვედი. აი, ეს მაინც მოგიტანე. – მაგიდაზე პურის ნაჭერი და ფხვნილი დადო.

– მოდი „ერბოკვერცხი“ გავაკეთოთ. ზეთი გაქვს?

– ცოტა ქოქოსის ზეთი დაგვრჩა.

ქოქოსის სისხლისფერი ზეთიც, რომელიც იატაკის საცხს უფრო ჰეგვდა, ამერიკის დახმარება იყო.

– ბიჭო, – ეუბნება, – ამ ქოქოსის ზეთმა და კუს კვერცხის ფხვნილმა ჩემს პატარა დას ნაღვლის ბუშტი ისე გაუღიზიანა, რომ ახლა საავადმყოფოში წევს.

– რას ამბობ, მართლა?! რომელ საავადმყოფოში?

– ვერის ბალის წინ რომაა.

– წამოვიდოდი სანახავად, მაგრამ ამ ოხერ ფეხსაცმელს რა ვუყო?

ბიჭებმა კვერცხის ფხვნილი წყალში გააზავეს და ქოქოსის ზეთში შეწვეს.

– ესეც ჩვენი საუზმე. რაღაც მოვიფიქრე. მე ახლა წავალ. ერთ-ორ საათში ისევ შემოგივლი და გეტყვი, რა უნდა გავაკეთოთ.

ბიჭმა კარი გაიხურა. კიბეზე დაეშვა. ერთხანს შეჩერდა. ფიქრობდა, მერე ქუჩას გაუყვა. მაშინ თბილისში ერთადერთი ცათამბჯენი თერთმეტსართულიანი სახლი იყო. იქით გაემართა. ამ სახლის უკან, „შავ ბაზარში“ ჭრელ-ჭრელი ხალხი ირეოდა. ბაზრის ერთ კუთხეში ნაგავ-საყრელის უსიამო სუნი ტრიალებდა. რას არ ნახავდით იქ – საჭმლის ნარ-

ჩენებს, ჭუჭყიან ქალალდებს, ცარიელ თუნუქის კოლოფებს, ძველ, დაძონძილ ტანსაცმელს, დახეულ ფეხსაცმელს, დამტვრეულ ავეჯს. ბიჭი ნაგავსაყრელთან მივიდა. ერთხანს ასე იყო – ნაგავს ათვალიერებდა. იქვე ახლოს ბაზრის მოხუცი დარაჯი იდგა, ხელჯოხზე დაყრდნობილი და ბაზრის ორომტრიალს უაზროდ გასცეროდა.

მოხუცი ვან გოგის ნახატს ჰგავდა. ბიჭი მიუახლოვდა და მის გვერდით ჩაიცუცქა. მოხუცი უცებ გამოცოცხლდა:

– რა გაგჭირვებია?

– პაპაჩემო, შეიძლება, ნაგავსაყრელზე რომ ძველი ფეხსაცმელებია, ერთი-ორი შევარჩიო და წავილო?!

მოხუცმა გაკვირვებით შეხედა.

– რად გინდა, რო?

– ძალიან მჭირდება. ძველი ავეჯის ნარჩენებიდანაც მინდა რაღაც შევარჩიო.

– თუ მეტყვი, რა გაქვს ჩაფიქრებული, კი ბატონო, რამდენიც გინდა ქექე ეგ ნაგავი.

ბიჭმა თავისი გახვრეტილძირიანი ფეხსაცმელი აჩვენა. მერე დიდხანს რაღაცას ერურჩულებოდა ყურში, რაღაცას უხსნიდა.

– ვაჲ, აბა, შენ ყოფილხარ თუ ყოილხარ! ეგ რა მოგიფიქრებია! კარგი, ვნახოთ, რა გამოგივა. ჩემს ჯიხურში წვრილ-წვრილი ლურსმნები მაქვს. თუ გინდა, გმიუქებ.

– დიდი მადლობა, ძალიან კეთილი პაპა ხართ.

– წადი, შენ რაც გინდა, ის ამოარჩიე. მე კი წავალ და ტომარასა და ლურსმნებს გაგიმზადებ.

მოხუცი ძლიერ წამოდგა, კოჭლობით გაემართა ჯიხურისკენ. ბიჭი ნაგავსაყრელისკენ გაიქცა.



– მოვედი, – შესძახა ბიჭმა მეგობარს. შევიდა და სავსე ტომარა იატაკზე დადო.

– ეგ რაღაა?!

– ესაა რაცაა. ახლა მჭრელი დანა, დიდი მაკრატელი და ჩაქუჩი გვჭირდება. ნაჯახი თუ გაქვს, ისიც გამოგვადგება.

– რა ჩაიფიქრე?!

ბიჭი დიდხანს ლაპარაკობდა, ხელებს იშველიებდა, რაღაცას უხსნიდა. მეგობარი ეჭვის თვალით უყურებდა.

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე ახლავე შეუდგები მუშაობას. ოღონდ ერთი კუთხე უნდა გამოვყოთ, მთელი ოთახი რომ არ დანაგვიანდეს.

და... შეუდგა კიდეც. მეგობარმა ერთხანს უყურა და მერე თვითონაც აპყვა.

დიდხანს იწვალეს, იჯახირეს და ბოლოს რაღაც გამოვიდა.

ავეჯის ნარჩენებისგან ხის ძირები გამოთალეს. ძირი წინა თითების ადგილას დაჭრეს და ტყავი ჩააყოლეს, რომ უფრო დრეკადი ყოფილიყო. ზემოდან ტყავი გადააკრეს და წვრილი ლურსმნებით შემოჭედეს. პირველი ცდა ნარმატებული არ გამოვიდა, მაგრამ ბიჭის მეგობარმა მაინც შეძლო გარეთ გასვლა. ფეხსაცმლის, უფრო სწორად, ქოშების ძირს კაკუნი გაუდიოდა. ბოლოს ისიც მოიფიქრეს, რომ ძირზე ძველი ლანჩები დააკრეს. მთელი კვირა მუშაობდნენ. ბოლოს ისე დაოსტატ-დნენ, რომ მეგობრებსაც „შეუკერეს“ ხისძირიანი ფეხსაცმელები. კვირაში ერთხელ „შავ ბაზარზე“ მიღიოდნენ. მოხუცი ბიჭებს დაინახავდა თუ არა, სახე უნათდებდა და ლიმილით ეგებებოდა. ისინიც თავის ნახელავს აჩვენებდნენ ხოლმე.

– ბიჭებო, ერთი-ორი წყვილი დამიტოვეთ. იქნებ მუშტარი გამოუჩინდეს და ცოტა პურის ფულიც იშოვოთ.

ბიჭებს რომ დაინახავდა, მოხუცი თავისთვის ჩაიბურტყუნებდა ხოლმე: „ეეჲ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. მა ეს მარგალიტივით ბიჭები ამაზე უნდა სცდებოდნენ და ხელებს იყვლეფლენ?“

ბიჭებმა ერთმანეთს სიცოცხლის ბოლომდე შეცვიცეს მეგობრობა. ფიცი არც არასდროს გაუტეხიათ.

მათგან ერთი – ჩემი ძმა – ახლა 95 წლისაა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოქიმიკოსი მაღაზ ზალიშვილი.

მეორე – სახელმოვანი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი (ჭაბუა ჩემს ძმაზე ორი წლით უმცროსი იყო, მაგრამ ალბათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და ამიტომაც დამეგობრდნენ). ბიჭები ფეხსაცმელებს ჭაბუა ამირეჯიბის მამიდის სახლში „კერავდნენ“. ჭაბუა ერთხანს მამიდამისთან ცხოვრობდა. ჭაბუას მამიდა ცნობილი მსახიობი ცაცა ამირეჯიბი იყო.

ქოში გამეჩირა...

ახლა ჩემს ლანჩმორლვეულ და ძირგახვრეტილ ფეხსაცმელებზე უნდა გიამბოთ. სკოლაში უნდა წავიდე. იქ რომ მივალ, მერხთან დავჯდები და ვინმე სიცილით მეტყვის, – შენს ფეხსაცმელებს მოშეიბიათო. მე კი ჩემს გულში ვიტყვი, მარტო ჩემს ფეხსაცმელებს კი არა, მეც მშია-მეთქი.

– სკოლაში ვერ წავალ. – ჩემს ძმას მალხაზს ვეუპნები, – ეს ფეხსაცმელი იქამდე ვერ მიმყვება, ფეხისგულებიც მტკივა ამ ქვალორლიან გზაზე.

სკოლა კარგა შორს იყო. ქობულეთის დაღმართი უნდა ჩამევლო, გამევლო ჭავჭავაძის გამზირი და მელიქიშვილის ქუჩა (ეს სკოლა ახლაც იქ დგას, ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს).

– ჩემი ბრალია, როგორ ვერ მოვიფიქრე! მოდი, დღეს ნუ წახვალ სკოლაში, ხვალისთვის კი რაღაცას მოგიხერხებ.

ნაშუადლევს სადღაც მიდის. გვიან ღამით ბრუნდება. დილით მაღვიძებს.

– აბა, ეს ქოშები მოისინჯე, ფეხზე როგორ გექნება.

– რა ლამაზებია, – ვეუპნები, – ფეხს ვყოფ. ზუსტად ჩემი ზომაა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ვიღებ გაცრეცილ ჩანთას და სკოლისკენ მივეშურები.

მაგრამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. შუა გზაში ერთი ქოში გაიბზარა და სკოლამდე ძლივს მივაღწიე. იძულებული ვარ გავიხადო. მერხთან ვჯდები და ფეხებს ვმალავ. პირველი გაკვეთილი იწყება. გეოგრაფია გვაქვს. საკმაოდ მკაცრი მასწავლებელია, ცოტა უხეშიც კი. ჩემდა საუბედუროდ, სწორედ მე მიძახებს. გაკვეთილი ვიცი, მაგრამ ფეხშიშველა როგორ გავიდე.

– ვერ გამოვალ, – ვლულლუდებ.

– როგორ თუ ვერ გამოხვალ. ახლავე ადექი და გამოდი დაფასთან. გაკვეთილი არ იცი, არა? – ხმას აუწია მასწავლებელმა.

– ვიცი. ადგილიდან გიპასუხებთ, პატივცემულო მასწავლებელო, – ლამის ვევედრები.

ხელს ჩამავლებს საყელოში და მერხიდან გამომათრევს. სახტად რჩება.

– ფეხშიშველა რატომა ხარ?!

– ქოში გამებზარა, – წავიბუტბუტე.

ბავშვებს ეცინებათ. მხოლოდ ჩემი ახლო მეგობრები, ლალი მესხიშვილი და თამარ ერისთავი არ იცინან. შენუხებულები შემომყურებენ.

– ახლავე გადი გარეთ! – მიყვირის მასწავლებელი.

კლასს ვტოვებ და კართან ვარ ატუზული. ამ დროს ჩვენი სასწავლო ნაწილი, რომელსაც ყველა ძია ვასოს (ცისკარიძე) ვეძახდით, გამოჩნდება.

– აქ რატომ ხარ? რა დაგემართა? – მეკითხება.

შენუხებული ვარ და ძია ვასოს ყველაფერს ვუყვები.

კეთილი კაცი იყო, მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ, მათ შორის მეც.

– ნუ დარდობ. ყველაფერი ხდება. კაბინეტში წამომყევი.

მივყვები და ის მამშვიდებს, რომ ჯერ გაკვეთილი არ დამთავრებულა და ბავშვები არ გამოფენილან დერეფანში.

– ერთი ეს მითხარი, – მეუბნება ძიავასო, – რა ზომის ფეხსაცმელს ატარებ?

ძიავასო გადის კაბინეტიდან და ცოტა ხნის შემდეგ ბრუნდება.

– აბა, ეს ფეხსაცმელი მოიზომე, – მეუბნება და თან მიღიმის.

ოდნავ ნახმარი, მაგრამ ლამაზი ფეხსაცმელია.

– კარგად გაქვს. სულ სიხარულში გაცვითე...

ჩემი ნახატები

საბავშვო ბალი ჩვენი სახლიდან არც თუ ისე შორს იყო. დამოუკიდებელი ბავშვი ვიყავი. ყველა მუშაობდა. შინ მარტო მივდიოდი. ბალის შემდეგ აღარც მშიოდა და აღარც მწყუროდა. ოთახი დახუთული და ბავშვი იყო, ამიტომ უმეტეს დროს გარეთ, კიბეზე ვატარებდი. ფერადი ფანქრები და ფურცლები გამქონდა და ვხატავდი ხოლმე.

მეზობლად ერთი სიმპათიური მოხუცი ცხოვრობდა (სახელი ვერც მე და ვერც ჩემმა ძმამ ვერ გავიხსენეთ). დამინახავდა, თავზე ხელს გადამისვამდა და მეტყოდა: „ჩემი ხუჭუჭა, შენგან კარგი მხატვარი გამოვა“. ჩემი ძმისა არ იყოს, ჩემგან არც ქიმიკოსი გამოვიდა და არც კარგი მხატვარი. მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯოპს, მთელი ცხოვრება სულ დროს ვეძებდი, რომ ავად თუ კარგად, რამე დამეხატა. ახლაც წამდლევს ხოლმე სული და ლამლამობით ვხატავ, ძირითადად გუაშით, შოკოლადის ყუთების მუყაოზე და სქელ, სახატავ ფურცლებზე, ამიტომ ჩემს ნახატებს მაკულატურას ვეძახი. დიდი არაფერია, მაგრამ ჩემი მეგობრები და ჩემი შვილები მაინც ჩასვამენ ხოლმე ჩარჩოში და კედელზე კიდებენ. ეს ნამუშევრები განსაკუთრებით ჩემს მეგობარს, ქეთევან თუხარელს უყვარს. რომელიმეზე მეტყვის, – მაჩუქეო და წაიღებს ხოლმე. მერე, როცა ვესტუმ-

რები, კედელზე კოხტად დაკიდებულს ვხედავ. სურვილი მიჩნდება ჩამოვხსნა და სახლში წამოვილო.

დედაჩემი

1940 წლის ცივი ნოემბერია. ქარი ქრის. კრამიტების რახარუხი მესმის. უკვე ბინდდება. ახლა ვერაფერს გავაწყობ. ხანდახან კრამიტი ვარდება და სახლის უკან კლდეზე იმსხვრევა. კიდევ კარგი, რამდენიმე ცალი შემოგვრჩა. ფარდის უკან, აწყვია. ჩვენი სახლი ქვის დიდი ლოდებითაა ნაშენი, იმ ლოდებით, მამაჩემმა და ჩემმა ძმებმა რომ მოანგრიეს ჩვენს კლდოვან ეზოში, რკინის ლომებითა და ნერაქვით. მეც მინდოდა როგორმე დავხმარებოდი ჩემიანებს, მაგრამ ამისთვის ძალიან პატარა ვიყავი. ვფიქრობდი, – ნეტა, მეც ბიჭი ვიყო-მეთქი. ბებიაჩემმა, მამის მხრიდან, – თამარ ხმალაძე, მეუბნებოდა, თუ მოახერხებდა იდაყვზე იკოცნი, ბიჭად გადაიქცევიო. ბევრი ვეცადე, ლამის ყბა გვერდზე მომექცა და მკლავებიც დავილურჯე, მაგრამ ამაოდ.



ქარმა ლამის სახლს სახურავი ახადოს. მაინც რა საშინელ ადგილას ააშენა მამაჩემმა ეს სახლი! ახლა რომ ვფიქრობ, სულ ფოლკენერის მიერ ალწერილი ბანდრენების სამოსახლო მახსენდება. ეზო დამრეცია – მამაჩემმა და ჩემმა ძმებმა დიდი შრომა ჩადეს და სამ ტერასად დაყვეს. ერთ მხარეს ახალი მეზობელი გაგვიჩნდა. ეზოს აღმოსავლეთ მიჯნაზე მათი სახლის უკანა კედელია აღმართული. ამას თითქოს მცირე სიმყუდროვე შემოაქვს. დანარჩენი ეზო შემოუღობავია, ამიტომ მეზობელთან გადასვლა ადვილია. ერთი სული მქონდა გამეგო, ვინ ცხოვრობდა ამ სახლში. სახლს დიდი ფანჯრები ამშვენებდა, მხოლოდ სამხრეთის მხარეს პატარა სარკმელი

იყო, რკინის ხარიხა ჰქონდა აკრული. ერთხელაც ავძვერი და ამ სარკმლიდან შევიტყოთე. ვიცოდი, კარგი საქციელი არ იყო, მაგრამ ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. თვალი რომ შევაჩვიე ოთახის სიბნელეს, საშინელი რამ დავინახე: ლამაზი, თმაჩამოშლილი ქალი! სახეზე რომ დავაკვირდი, შეშლილს ჰგავდა. რკინის საწოლის თავზე, ცალი ხელით იყო ჯაჭვით მიბმული. წინ პატარა მაგიდა ედგა. ის კი ვერ გავარჩიე, ზედ რა იდო. შეშინებული ჩამოვტო და სახლისკენ გავიქეცი.

ხანდახან, როცა ეზოში ვთამაშობდი, ქალის სასონარკვეთილი კივილი და ხანაც ხარხარი მესმოდა. ბოლოს დედაჩემს ვუამბე ყველაფერი. დედაჩემბა ამიკრძალა ამ ოთახში შეჭყეტა: „შვილო, ის საწყალი ქალი შეშლილია. ბავშვი რომ გაუჩენია, ჭკუიდან გადასულა. ქმარს ისე უყვარს, რომ საგიურთში წასაყვანად ვერ გაიმტა. მომვლელი ქალი დაიქირავა. თვითონაც ეხმარება, ძალ-ღონეს არ ზოგავენ, მაგრამ ქალი შეურაცხადია“.

შიშმა ამიტანა, ვცდილობდი, იმ სახლიდან შორს დამეჭირა თავი. ყველაფერმა ამან ისე იმძქმედა, რომ ლამე კოშმარები მესიზმრებოდა, – ხშირად ვხედავდი თმაგაშლილ, ლამაზ ქალს, რომელსაც დიდი, თეთრი ფრთები ჰქონდა და ცაში დანავარდობდა, მერე მინაზე ეშვებოდა და ჩა ჩემკენ მოდიოდა. მე გავრბოდი, დასამალ ადგილს ვექებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი და მეღვიძებოდა აკანკალებულს.

დედაჩემს შეეშინდა და ფსიქოლოგ-თან წამიყვანა. დასამშვიდებელ წამალს მაძლევდა. ქალი ერთ წელიწადში გარდაიცვალა. მისი პატარა გოგონა უკვე ორი წლის ხდებოდა. ანგელოზს ჰგავდა. ხშირად გადმომყავდა ჩემს ეზოში და ვეთამაშებოდი.

ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენმა მეზობლებმა სახლი გაყიდეს და სადლაც გაუჩინარდნენ.



ქარი არ ჩერდება. ვფიქრობ, ხვალამდე არ ჩადგება.

– რა საშინელი ამინდია! – ეს დედაჩემია, სამსახურიდან ბრუნდება, დალლილი, შეციებული და მშიერი.

– კინალამ ქარმა წამიღო. უჰ, აქაც როგორ ცივა, ღუმელი რატომ არ დაანთე?

– შენ გელოდებოდი, შეშა ცოტა გვაქვს.

– თუ გინდა, ნუ დავანთებთ. სადაცაა ძილის დრო მოვა, ლოგინში გავთბებით.

– ჰო, – ვეუბნები, – ისე კი ცხელი ჩაი კარგი იქნებოდა.

– არა უშავს, დილით დავლიოთ, შაქარი დაგვეზოგება.

მე და დედაჩემი სულ ასე ვამბობთ, – დილით, ხვალ, ზეგ... სულ მომავლის იმედი გვაქვს.

დედაჩემი წვება, საბანს თავზე იხურავს და უმალ იძინებს. მეც ვწვები, მაგრამ არ მეძინება. თაგვები დაფხაკუნობენ, ერთი თეთრი თაგვი ჩემი მეგობარია. პურის წამცეცებს ვუყრი ხოლმე, ისე შემეჩვია, ხელშიც ამყავს. ჩემს გარშემო ყველას ეშინოდა თაგვების, მე კი არა. ვუყურებ და ვფიქრობ, – რა ლამაზები არიან-მეთქი.



არ მეძინება, ახალი საფიქრალი გამიჩნდა, – ნეტაც ნატვრისთვალი რომ მაპოვნინა, პირველად რას ვინატრებდი-მეთქი.



დედაჩემი – რუსუდან პაატას ასული გედევანიშვილი – წყნარი, ჩუმი, შავთვალა არსება იყო. ხმა რომ აეწია, უკიდურესად უნდა გამწარებულიყო. როცა ნერვიულობდა, ყელსა და გულმკერდზე ლაქები წითელი ფოთლებივით გამოაყრიდა ხოლმე. ბეღურას ჰგავდა, შეჩვეულ ადგილს რომ ვერ ელევა, თბილ ქვეყნებს რომ არ მიელტვის, რასაც მშობლიურ მიწაზე იშოვის, იმით რომ იკვებება.

გასაჭირთან შეგუების საოცარი უნარი ჰქონდა. მისი შემყურე, მე და ჩემი ძმებიც მამაცურად ვიტანდით სიღუსჭირეს. როცა სამსახურიდან ბრუნდებოდა, კედელთან მიმდგარ პატარა მაგიდასთან მოვიკალათებდით – დიდ მაგიდასთან არ გვისამოვნებდა შემოსხდომა, რადგან ოჯახში ახლა მხოლოდ სამნი დავრჩით – დედაჩემი, მალხაზი და მე. მამაჩემი და ჩემი მეორე ძმა, თენგიზი ომში იბრძოდნენ. მალხაზი გვიან ბრუნდებოდა. მთელ დღეს უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში ატარებდა. დედაჩემი ისეთი დაღლილი იყო ხოლმე, რომ ხმას არ ვიღებდით, იმ პატარა მაგიდასთან მიმჯდარი ყველაფერს მექანიკურად ვაკეთებდით. თითქოს ჩვენმა ხელებმა ისნავლეს ფინჯნის ერთდროულად ალება, ტუჩებმა ჩაის მოწრუბვა, ერთდროულად ვდგამდით ფინჯანს, ვიღებდით შავი პურის თხელ ნაჭერს და უხალისოდ ვდეჭავდით. მერე საწოლისკენ მივემართებოდით, ერთნაირი მოძრაობით ვწვებოდით. ხანდახან ისე ციოდა, ტანსაცმელსაც ვერ ვიხდიდით. საბანს წავიფარებდით და ყრუ ხმით ვიძახდით: „ძილი ნებისა“.



დედაჩემი მცხეთელი იყო. სვეტიცხოველთან ახლოს ცხოვრობდა. სვეტიცხოველის უკან მდებარე მამულაშვილების სახელგანთქმული ბალის მოპირდაპირე მხარეს. „გედევანიაანთ მამული“ – როგორც მაშინ ეძახდნენ – ერთსართულიანი სახლისა და საკმაოდ დიდი ეზოსაგან შედგებოდა. ეზო არაგვისპირამდე ჩადიოდა. გარდა ამ მამულისა, გედევანიშვილებს ეკუთვნოდათ მინა სახლ-კარით ნატახტარში და წეროვანში, მაგრამ ბოლშევიკებმა ჩამოართვეს. ჩემი უფროსი ძმა იხსენებს: „როცა ნატახტარის მამული ჩამოგვართვეს, ბებიაჩემბა დარიკომ (დარეჯან ფალავანდიშვილმა) თან წამიყვანა. დიდ ურემზე დააწყვეს დარჩენილი ქონება და მცხეთაში ჩამო-

ვიტანეთ. ბებიაჩემი ჩუმ-ჩუმად ლვრიდა ცრემლებს“.

პაპაჩემი, პაატა გედევანიშვილი, შავგვრემანი, გამხდარი კაცი ყოფილა, ბებიაჩემი კი ცისფერთვალა და ქერათმიანი, სუსტი, უფრო სწორად, ნაზი ქალი იყო. პაპაჩემს სმა ჰყვარებია. ფული რომ შემოელეოდა, დედაჩემს მიადგებოდა ხოლმე: „ჩემო რუსო, ერთხელაც მასესხე შენი ოქროს ხუთთუმნიანი და შემდეგ კვირას დაგიბრუნებ“. დედაჩემი თავის ერთადერთ სიმდიდრეს, – ოქროს ხუთთუმნიანს ხატის უკან მალავდა, „მამი, შენ გარეთ გადი და გამოგიტან“ – ეტყოდა დედაჩემი. ეს იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ დედაჩემს მობეზრებია, – აპა, ეს ჩემი ფული, უკან ალარ დამიბრუნო და ალარც სათხოვარი გექნებაო. საწყალ პაპაჩემს „ხორცელა“ (ასე ეძახდნენ მაშინ ქორცელას, ანუ ციებ-ცხელებას) შეჰყრია და ამით გარდაცვლილა.

ბებიაჩემს, თავისი ოქროსფერი დალალების ჩამოშლა ძალიან ჰყვარებია. შვილებს ხშირად ავარცხნინებდა ხოლმე და მეტად სიმოვნებდა. მახსოვს, ჯერ სულ პატარა ვიყავი, დედაჩემი მცხეთაში რომ ჩამიყვანდა. ბებიაჩემი ფანჯარასთან ჯდებოდა, ახლა უკვე ჭალარა დალალებს ჩამოშლიდა, კალთაში ჩამისვამდა და მუჟნებოდა: „აბა, ჩემო საყვარელო, თმა თან დამვარცხნე და თან გამიხილე“. უყვარდა, როცა თავზე ხელებს ვუცაცუნებდი. შენს პატარა თითუნებს ვენაცვალეო, – მეტყოდა ხოლმე. დედაჩემი იცინოდა: „დედი, თავადიშვილობას არ იშლი, მაგრამ ის დრო წავიდა“. ბებიაჩემი აღნაგობით სუსტი ქალი ჩანდა, მაგრამ ოთხი გოგო და ორი ვაჟი კი გააჩინა. ჩემს უფროსი ძმას, მალხაზი პიძაჩემის პატივსაცემად ჰქვია. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო ბიძაჩემი, მენშევიკებს რომ მოუკლავთ. მეორე ბიძა – შოთა, საფრანგეთში, ემიგრანტად წასულა, ულამაზესი კაცი, რომელსაც საფრანგეთში სილამაზის პრიზი აუღია. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანე-

ლების ლეგიონი „ედელვაისი“ კავკასიონის წარმომადა, მათ გზას ქართული ლეგიონი მოჰყვებოდა. კავკასიონის მისადგომებთან სვანები დახვედრიან. მათ ევალებოდათ კავკასიონის საზღვრების დაცვა. სვანები თავგანწირვით იბრძოდნენ და გერმანელები დაუმარცხებიათ, შემდეგ ქართველ ემიგრანტთა ლეგიონიც გაუნადგურებიათ. თუმცა, როგორც ამბობენ, ბიძაჩემი სვანებს არ მოუკლავთ. ქართველთა ლეგიონში ვიღაც „კაგებეშნიკი“ ჩაუნერგავთ და შოთასთვის იმას უსვრია ზურგში. შოთას ხანჯალი მეგობრისთვის მიუცია, – მე ვკვდები, თუ შენ გადარჩი, ჩაიტანე ჩემიანებთანო. საფრანგეთში ყოფნისას, შოთა სპორტული ორგანიზაციის – „შევარდენის“ წევრი გამსდარა. ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელი ყოფილა შოთა ნიკოლაძე (ქუთაისიდან). ჩამოუყალიბებიათ ემიგრანტ ქალთა და ვაჟთა კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები. 1934 წლის პარიზის ვაჟთა კალათბურთის ნაკრებში იყვნენ: ლულუ კერესელიძე, ოსია ჯავახიშვილი, შოთა გედევანიშვილი, აჩიკო ციციშვილი, არჩილ ზურაბიშვილი. ინტერნეტში დევს ფოტო, სადაც ზემოთჩამოთვლილი კალათბურთელები არიან გადაღებული. ბიძაჩემი შოთა შუაში დგას და ხელში ბურთი უჭირავს. გურაშ შარაძეს თავის წიგნში „ქართველი ემიგრანტები“ ბიძაჩემი ჰყავს მოხსენიებული და ფოტოც დაურთავს წარწერით: შოთა გედევანიშვილი.

ერთ პატარა წიგნში, სადაც ლევილის სასაფლაოზე დაკრძალული ქართველების გვარებია მოხსენიებული, ბიძაჩემი უგზოუკვლიდ დაკარგულთა სიაშია მოხვედრილი.

რუსუდან ნიშნიანიდე წიგნაკში „პეტრე ხვედელიძე – ლეგენდარული ქართველი“, იხსენებს: „შოთა გედევანიშვილი შემხვდა, ჩემი ძმის ამხანაგი“. შოთას შეუთავაზებია, ჩვენთან გადმოდიო. „ჩვენთან“ – ნიშნავდა ლეგიონს, რო-

მელსაც მიშა დადიანი ედგა სათავეში. შოთა გერმანულ ფორმაში ყოფილა გამოწყობილი. „გერმანის სტრატეგია იყო, კავკასიონზე გავლით ჩასულიყვნენ ირანში და ირანიდან ჩასულიყვნენ ეგვიპტეში“, წერს პეტრე ხვედელიძე. როგორც ჩანს, ქართული ლეგიონის სტრატეგია იყო კავკასიონზე მოხვედრა და იქიდან საქართველოში დაბრუნება. როდესაც პეტრემ უარი უთხრა მათთან გადასვლის თაობაზე, შოთა გამწყრალა:

– შენ რა, ჩემზე კარგი ქართველი ხარ?! რა გირჩევნია, აქ ჩაკვდე თუ იარაღით ჩახვიდე საქართველოში?

სამწუხაროდ, საქართველოში დაბრუნების ოცნება შოთამ ვერ აიხდინა.



დედაჩემი და მამაჩემი ერთმანეთს 1920 წელს შეხვედრიან მცხეთაში. მაშინ ჯარის ერთი ნაწილი დუშეთში იდგა. მამაჩემი ოფიცერი იყო. როგორც ჩანს, იქ შეუყვარდათ ერთმანეთი და იმავე წელს დაქორწინდნენ. მალე თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. მანამდე კი, ერთხანს, დედაჩემს მონაზვნობა ჰქონდა გადაწყვეტილი. მაშინ თექვსმეტი წლისა იქნებოდა. წავიდა დედათა მონასტერში. დედაჩემის ნაამბობით, მონაზვნებს მცირე შეცდომის გამოც მკაცრად სჯიდნენ. ყოველცისმარე დღე უნდა ეგალობათ. დედაჩემს (და მის დებსაც) კარგი ხმა ჰქონიათ. ერთ-ერთ გალობას ნიკო კეცხოველი და გიორგი ლეონიძე დასწრებიან. გალობა რომ დამთავრებულა, ნიკოსა და გოგლას ერთი ამბავი აუტეხავთ: „ბრავო, რუსო, ბრავო!“. ეს კი ყოვლად დაუშვებელი იყო. დედაჩემი სასტიკად დასაჯეს. მთელი ღამე კუთხეში გაატარა მუხლებზე დაჩირქილმა. შიმშილით კუჭი ეწვოდა, რადგან ვახშამი არ აჭამეს. შეშინებული დედაჩემი მეორე დილითვე გამოქცეულა მონასტრიდან, სახლში ჩაკეტილა და გარეთ აღარ გამოდიოდა. ნიკო და გოგლა თავს დამნაშავედ

გრძნობდნენ. ძალიან შეწუხებულან და ბოდიშის მოხდა გადაუწყვეტიათ, მაგრამ ბებიაჩემა დარიკომ სახლს ახლოს არ გააკარა, – აქედან დამეკარგეთ, თქვე ცულლუტებოო.

მეოცნებე პაცი – მის ეილ ზაალიშვილი

მამაჩემი განათლებით მათემატიკოსი, ბუნებით რომანტიკოსი, „წიგნის ჭია“ – როგორც დედაჩემი ეძახდა, რომელსაც ჭამის დროს ცალ ხელში წიგნი წიგნი ეჭირა და მეორე ხელში კოვზი. სანამ ფურცელს ბოლომდე ჩაიკითხავდა, კოვზი გაუნდრევლად ეკავა. პოეტი, მხატვარი (თვითნასწავლი), მთარგმნელი, ზოგჯერ ბავშვივით გულჩვილი, მუდამ ოცნებებში გახვეული, ზოგჯერ მყაცრი. დედაჩემს მისთვის კიდევ ერთი სახელი ჰქონდა შერქმეული: „მარადიული შეყვარებული“. მე მუდამ მაწვალებდა ერთი კითხვა: „დედაჩემსა და მამაჩემს მართლა უყვარდათ თუ არა ერთმანეთი?“ დედაჩემისთვის ბევრჯერ მიკითხავს (მამას ვერ ვუბედავდი). დედა სულ ერთი და იმავეს მბასუხობდა: „აბა, ეგ რა შეკითხვაა. ერთმანეთი რომ არ გვიყვარდეს, ოჯახს როგორ შევქმნიდით. მამაშენს ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ ის პოეტია და აღმაფრენისთვის მუზა სჭირდება, – ეს მუზა კი ზოგჯერ რეალური და ზოგჯერ თავისი ფანტაზიით გამოგონილი ქალია“. ყოველთვის მიკირდა დედაჩემის, – ამდენს როგორ იტანს, მე ვერ ავიტანდი-მეთქი.

სახლის უკან კლდეს ამსხვრევს რკინის ლომით და ლოდებს მეორე ოთახისთვის ამზადებს.



ერთ საღამოს მამაჩემი რაღაც წიგნს კითხულობს. დროდადრო, ზედმეტად სერიოზული და შეწუხებულიც მეჩვენება. რაც უფრო მეტს კითხულობს, სახე უფრო უნათდება და ბაგეზე ღიმილი დასთამაშებს. ერთი სული მაქვს გავიგო, რას კითხულობს. ვიცი, რომ წიგნი მამიდა ვერამ მისცა.

დილით, მამა რომ წავიდა, ვეღარ მოვითმინე, წიგნი ავიღე და გადავშალე: Скарронь. Колический Романъ (Съ иллюстрациами Эдуарда Цира). 1901 год. С-Петербург. მაშინ ეს წიგნი ვერ წავიკითხე. მერე ორი-სამი წელი გავიდა. ახლა უკვე შევძლებდი მის წაკითხვას. მამაჩემი ომში გაიწვიეს და წიგნის მფლობელი მე გავხდი. როდესაც შესავალი წავიკითხე პოლ სკარონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მივხვდი, რატომ იყო მამაჩემი ასეთი სერიოზული და დამწუხრებული მისი კითხვისას. ხოლო, როცა თვით ნანარმოების კითხვა დავიწყე, იმასაც მივხვდი, თუ რატომ იღილმებოდა მამაჩემი. სამწუხაროდ, წიგნს ბოლო ფურცლები აკლია, მაგრამ, რაც მაქვს, ისიც საკმარისია ამ წიგნის აღსაქმელად. იქნებ, ვინმე დაინტერესდეს და წაიკითხოს თუნდაც ამ წიგნის შესავალი, რომ გაიგოს, რა შეუძლია, ან უფრო სწორად, რისი შექმნა შეუძლია ხეიბარ და სწულ ადამიანს. ბევრს წაკითხულიც ექნება და ვიცი, დამეთანხმება.

კიდევ ერთი წიგნი მაქვს შემორჩენილი – Гр. ჯანშიევ. Перль Кавказа (Боржом – Абастуман). Впечатления и мысли туриста. მამაჩემმა ჯანშიევის გვარის გასწვრივ წარწერა გააკეთა – Шარლათან. როდესაც წიგნი გადავიკითხე, მამაჩემს დავეთანხმე, ამის დამწერი მართლაც შარლატანია-მეთქი. ის წიგნები, რომლებსაც მამაჩემის თითები ეხებო-

ისეთი ქარია, რომ ლამის მთელი სახლი წაიღოს და როგორც ზღაპრებშია, სადმე სხვაგან გადაიტანოს. მამაჩემი დილით აღრე მიღის სამსახურში. არავინ იცის, სად მუშაობს. სახლში შებინდებისას ბრუნდება. დაჯდება, ჯერ გაზეთებს გადახედავს, მერე რაიმე წიგნს კითხულობს, კვირადლეს ეზოში გადის.

და, რელიგიებივით მაქვს შენახული. ასე მგონია, მათ ირგვლივ მისი სული ტრიალებს.

ჯეპა და ფასო

ერთ სალამოს მამაჩემმა ლეკვი და კნუტი მოიყვანა. არ ვიცი, სად იპოვა, ან ვინ მისცა, მაგრამ ძალიან საყვარლები და ლამაზები იყვნენ. ლეკვს ჯეკა დავარქვით, კნუტს – ფასო. მამა მეუბნება: – ჩემო მედ, ერთად გაიზრდებიან და ის გამოთქმა, რომ ძალლი და კატა ერთმანეთს მტრობენ, დამიჯერე, გაცამტვერდებაო.

მიხარია მათი ყურება, – ერთად ჭამენ, ერთად თამაშობენ, ერთად იძინებენ და თანდათან იზრდებიან.

ერთ დღეს მამაჩემი სახლში ბრუნდება, წაიხემსებს და ეზოში გადის. ცოტა სანში, სახლში შემოვარდება, სახეზე ფერი არ ადევს, კედლიდან ძველ „გეკოს“ ჩამოხსნის, თან ყვირის, – მოვკლავ, მაგ შობელძალლსო. მამას ავედევნები და შეშინებული ვეკითხები: – მამი, რა მოხდა, ვინ უნდა მოკლა-მეთქი.

უცებ, ჯეკას მოვკარი თვალი, – დგას კუდამოძუებული, ლაშებზე სისხლის კვალი აქვს, არ ინძრევა და მამაჩემს ისეთი თვალებით შეჰქურებს, თითქოს ტირისო, თითქოს რაღაცას ინანიებსო. მამაჩემი თოფს უმიზნებს.

- არა, მამა, არა, – ვემუდარები.
- შინ შედი, ახლავე შინ შედი.

ისეთი გაბრაზებულია, რომ წინააღმდეგობას ვერ ვუწევ. შინ შევდივარ, ვჯდები და ყურებზე ხელს ვიფარებ. სროლის ხმის გაგონება არ მინდა, მაგრამ მაინც ჩამესმის. წამოვხტები და ტანში მაციებს. კიდევ კარგი, დედაჩემი შინ არ არის. მამაჩემი კარს ჯახუნით ალებს, თოფს ტახტზე აგდებს, ჯდება, ხელებს თავზე შემოიჭდობს და ლამის მოსთქვამს: – ვერ მოვკალი, ეგ შობელძალლი. როგორც ჩანს, გამნარებულმა ჰაერში ისროლა.

გარეთ გავრბივარ. ჯეკა იმავე ადგილას დგას და გულსაკლავად წკმუტუნებს. მოშორებით კი, ქვედა ტერასაზე, საშინელი რამ დავინახე, – ყელგამოლადრული ფასო. ტირილი ამივარდა. ჯეკას ვუყვიროდი, – რატომ, ჯეკა, რატომ...

ის დღე ისე დაღამდა, ჯეკასკენ არ გამიხედავს. შეღამებისას ჩემი უფროსი ძმა რომ დაბრუნდა უნივერსიტეტიდან, ფასო ეზოს ბოლოში დავმარხეთ. საფლავთან ინვა და მინას ფხოჭნიდა.

დილით ეზოში გავედი და ჯეკას დავუწყე ძებნა. არსად ჩანდა. სადღაც გაუჩინარდა. მას შემდეგ არ გამოჩენილა, მხოლოდ მისი თვალები ჩამრჩა მეხსიერებაში – სევდიანი და მომნანიებელი. ნეტა, ვინმეს თუ უნახავს მკვლელი ადამიანის თვალებში ასეთი სინანული. მე – არა.

ჟულიენის შავი პროცესი

დედაჩემი მელიქიშვილის ქუჩის №2-ში მდებარე აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში მუშაობდა გამგის მოადგილედ. ის მარტო იმ მოვალეობას კი არ ასრულებდა, წიგნები რომ გაეცა და უკან მიეღო, არამედ ერთგვარად მასნავლებლის როლსაც ითავსებდა... ჯერ მოზარდს მისი ასაკის შესაფერის წიგნს შეურჩევდა და ისე არ ჩაიბარებდა, მის გარშემო შეკითხვები რომ არ დაესვა. თუ შეატყობდა, რომ ბავშვს წიგნი არ ჰქონდა წაკითხული, ისევ უკან ატანდა. თავის ერთ-ერთ წერილში პროფესორი შალვა ამონაშვილი წერდა, რომ მის განათლებაში დიდი წვლილი დედაჩემსაც ჰქონდა შეტანილი, რომელმაც შეაყვარა ლიტერატურა და წიგნის კითხვის ყადრი ასწავლა. სკოლის შემდეგ, მეც ხშირად ვრჩებოდი ხოლმე დედაჩემთან. გაკვეთილებსაც იქ ვამზადებდი და წიგნსაც იქ ვკითხულობდი. წიგნებსაც დედაჩემი მირჩევდა. მე კი ერთი სული მქონდა, რაც მე მსურდა, ის წამეკითხა. ძალიან

მინდოდა სტენდალის „წითელი და შავის“ წაკითხვა. ეს წიგნი სახლშიც გვქონდა. მის ნაცრისფერ ყდაზე გამოსახულ ულიერის შავ პროფილზე ვიყავი შეყვარებული.

მითი ჯადოსნურ არსებებზე

მაშინ მელიქიშვილის ქუჩა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ბიბლიოთეკა ერთსართულიან, გრძელ, ოროთახიან შენობაში იყო განთავსებული. ბიბლიოთეკის გვერდით, შენეული სკვერის უკან, მე-18 საშუალო სკოლა იყო, სადაც ჩემი უფროსი ძმებიც სწავლობდნენ. ეს სკოლა დიდად არ შეცვლილა, მხოლოდ ფასადი შეულამაზეს და ახლა, თუ არ ვცდები, 53-ე სკოლა ჰქვია. სკოლის მარჯვნივ ასევე ერთსართულიანი სახლი იდგა, ხის გრძელაივნიანი. ახლა მის ადგილასაც მრავალსართულიანი სახლი დგას. ჩემი ძმის მეგობრები ძირითადად ამ აივანზე იყრიდნენ თავს. მოგვიანებით მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი: მაშინ მე-6 ქალთა სკოლა ერქვა. ეს იყო პაპაჩემის (მამის მხრიდან) და დიდედაჩემის – თამარ ხმალაძის სახლი. დიდედაჩემი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა და ჩემი ძმების მეგობრებს დედაშვილურად ექცეოდა.

სახლი სამი დიდი ოთახისგან შედგებოდა. შუა ოთახში დიდი სურათი ეკიდა – მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ატირებული ქალი, რომელსაც ცრემლი ლაწვზე ჩამოსდიოდა. ცრემლი იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ხელის შეხება მინდოდა. რამდენჯერმე, როცა ოთახში მარტო ვიყავი, მაგიდა მიმიჩინებია კედელთან, ზედ ავმდვრალვარ და თითო დამიდია ცრემლისათვის. მიკვირდა, რომ თითო არ მისველდებოდა.

ბებიაჩემის გარდაცვალებიდან სულ მალე სახლი დაანგრიეს და სურათიც გაქრა.

სკოლის მოპირდაპირე მხარეს, სადაც

ახლა ფილარმონია, ერთ წოდებული „სვანური კოშკი“ იდგა, მუქყვითლად შეღებილი, ვინრო ფანჯრებით. ძალიან მინდოდა ამ ფანჯრებში შეჭყეტა, დარწმუნებული ვიყავი, რომ შიგ ჯადოსნური არსებები ბინადრობდნენ.

ერთხელ დედაჩემმა ერთი სქელი, ზორბა ქალი გამაცნო, რომელიც თურმე იმ სახლში ცხოვრობდა და მთელი ჩემი წარმოსახვა იქ მობინადრე ჯადოსნურ არსებებზე ერთიანად დაიმსხვრა.

„პურის შეზამადი“ და „პარტოზილი მუნდირში“

ვიზრდებოდი და თანდათან, გზა-დაგზა ვკარგავდი ჩემს ბავშვურ წარმოსახვებს, ზღაპრული ოცნებებიდან მწარე რეალობაში გადავბარგდი, ყოველდღიურ ორომტრიალში ჩავები. გაქრნენ რაინდები, ფერიები, თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწულები, გაქრნენ სასახლეები და „სვანურ კოშკი“ გამომწყვდეული ჯადოქრები. ჭეშმარიტი სიყვარულის ძებნაში წავაწყდი ცბიერებას, ღალატს, ცილისწამებასა და სიძულვილს. ამიტომ უფრო მეტად შევიყვარე ჩემი მშობლები, ჩემი ძმები, ნათესავები. მათ მივეკედლე. იმასაც მივხვდი, რომ ამ ცხოვრებაში ერთეულებს თუ უმართლებთ თავიანთი ოცნებების ალსრულებაში. ზოგიერთებს ოცნებებიც არ გააჩნიათ. უზრუნველად, მშვიდად ცხოვრობენ. მაგრამ რამდენად მიმზიდველია მშვიდად ცხოვრება?! მშვიდი ცხოვრება ადამიანს ბრძოლის უნარს უკარგავს, აცარიელებს სულიერად და ხორციელად. ჩემთვის მშვიდი ცხოვრება უძრაობაა. ჩამდგარი ქარი ხომ ქარი აღარ არის. არც უძრავი ადამიანია – ადამიანი. ბავშვობაში უმანკოები ვართ, ბევრი რამის გვჯერა, წარმოსახვას ვენდობით. ახალგაზრდობაში ვიბრძვით, რომ ის შევინარჩუნოთ, რაც გვწამდა და

გვჯეროდა; ვიბრძვით, რომ ჩვენი გზები ვეძიოთ. ეს სიცოცხლეა, ცხოვრების გზებაა. სიძერეში, მით უფრო ღრმა სიბერეში ერთი საზრუნავი გვაქვს – ჩვენს თავში ვიპოვოთ ძალა, რომ არ გავხდეთ უმოქმედონი, უსარგებლო საგნებად არ ვიქცეთ, სიკვდილამდე გზა ისე გავიაროთ, რომ გულდან-ყვეტილები არ წავიდეთ ამქვეყნიდან. ამით თითქოს ბავშვობას ვუახლოვდებით, რადგან გვინდა, რომ ბევრი რამ, რაც დაუჯერებელია, ვირწმუნოთ.

ომის დროს დედაჩემს რუსი გენერალი ჩაუსახლეს თავისი ცოლითურთ. დედაჩემს „მატუშკას“ ეძახდნენ და სულ ეფერებოდნენ. მე კი მაინცდამაინც გულზე არ მეხატებოდნენ. დიდედაჩემს მესამე ოთახში, კედელზე დიდი ტომრები ჰქონდა ჩამოკიდებული. ტომრები ხმელი და ზოგჯერ ობიანი პურის ნატეხებით იყო სავსე. დიდედაჩემი პურებს წვრილ-წვრილად ტეხდა, ხახვთან ერთად ხრაკავდა და ცოტა წყალს და მწვანილს უმატებდა. ეს მისი საფირმო კერძი იყო, რომელსაც „პურის შეჭამადს“ ეძახდა. რუსი გენერალი და მისი ცოლი გემრიელად შეექცეოდნენ ხოლმე „შეჭამადს“. ძირითადად ამ „პურის შეჭამადმა“ და „კარტოფილმა მუნდირში“ გადაგვატანინა ომის წლები. როდესაც მე და დედაჩემი შინ ვპრუნდებოდთ, იქ მხოლოდ კუს კვერცხის ზაფრანისფერი ფეხნილი და ქოქოსის სისხლისფერი ზეთი გველოდა. დედაჩემი, ხანდახან, თუ ძალიან მოშიებული ვიყავით, „ერბოკვერცხს წვავდა“. ამ ფხვნილს და ზეთს ეგრეთ წოდებული „პაიოკში“ გვირიგებდნენ. ეს ამერიკის დახმარება იყო. ამ „დახმარებამ“ საშინლად გამიღიზიანა ნაღვლის ბუშტი და საავადმყოფოში ამოვყავი თავი. საავადმყოფოში, სიფრთხილის გამო (მკენარების ეშინოდათ) თმას პარსავდნენ და პირველივე დღეს, სანამ პალატაში შემიყვანდნენ, ჩემი კულულები (რომლითაც მამაჩემი ასე ამაყობდა) ნაგვის კალათაში ჩაყარეს. დედაჩემს თვალები აუცრემ-

ლიანდა, თუმცა ცდილობდა ჩემთვის არ დაენახვებინა. უჩუმრად ერთი-ორი კულული ამოიღო, ქალალდში გაახვია და ჩანთაში ჩაიდო. საბედნიეროდ, სკოლაში არდადეგები გვქონდა და „ხოტორას“ ძახილს გადავრჩი, თმა მალე ამომივიდა და ისევ ხუჭუჭა გავხდი.

ჩემი პატარა ოაზისი

ჩვენი ხრიოკი ეზოს ერთ კუთხეში, აღმოსავლეთის მხარეს, პატარა ოაზისია. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ბალახი ხარობს. ხშირად თბილ დამეებში, როცა დედაჩემი და ჩემი ძმა იძინებენ, გარეთ გამოვდივარ, ბალაზე ვწვები და ცას შევყურებ. ახლაც ზაფხულის თბილი ღამეა. ცა შორია, ვარსკვლავები და მთვარეც შორი და მაინც ახლობელი – სულს მინათებენ, გულს მითბობენ და მამშვიდებენ. მავიწყდება, რომ ირგვლივ შიმშილი და სიდუღჭირეა, რომ 300 თუ 400 გრამ პურს იღებ წიგნაკზე, რომელიც არ გყოფნის. ახლა ვწევარ ბალაზე და იმდღევანდელი განსაკდელის დავიწყებას ვცდილობ. იმ დღეს დედამ პურზე გამგზავნა. პური ავიღე, გზაში პატარა ნაჭერი მოვტეხე და შევჭამე. შიმშილით ისე ვიყავი დასუსტებული, ვიფიქრე, ცოტა ღონეს მოვიკრებ, რომ სახლამდე მივალნიო-მეთქი. სახლი პურის მაღაზიიდან კარგა შორს იყო. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ სახლში რომ მივედი, პურის წიგნაკები ალარ მქონდა, სადღაც გზაში დავკარგე. ავტირდი, არ ვიცოდი, დედაჩემისთვის რა მეთქვა. დედაჩემი გუმანით მიხვდა, რა მატირებდა.

– ნუ ტირი, შვილო, ეგ შეიძლება ყველას დაგვმართოდა. შენ ჯერ პატარა ხარ, მე უნდა წავსულიყავი...

არც ჩემს ძმას უთქვამს არაფერი. უხმოდ ჩაიცვა და უნივერსიტეტში წავიდა. მეტიც აღარავინ ვიყავით სახ-

ლში – ჩემი ძმა თენგიზი და მამაჩემი, არც კი ვიცოდით, ომის ცეცხლმა საით წაიყვანა...

სადაცაა ინათებს. ჩუმად შევდივარ შინ. ვწვები და თავს ვიმძინარებ. შიმშილი არ მაძინებს. თენდება. ვიღებ ჩემს გაცრეცილ სკოლის ჩანთას და დალმართს დავუყვები.

სიავპა და პიავპა

მცხეთის ქუჩიდან მრგვალ ბალს გა- ვივლი და ჭავჭავაძის გამზირზე გავ- დივარ. უნივერსიტეტის მეორე კორ- პუსის წინ მდებარე სახლთან, მიწისპი- რა სართულის გისოსებთან ფანჯარას- თან ვჩერდები. გისოსებს ვეჭიდები, თვალთ მიბნელდება. მერე აღარაფერი მახსოვს.

...თვალს რომ ვახელ, თავი სიზ- მარში მგონია. ასეთი ლამაზი, თბილი ოთახი არასოდეს მინახავს. რბილ ტახ- ტზე ვწევარ. ოთახის შუაში, მაგიდაზე, პატარა სარძევედან ცხელი ორთქლი ამოდის, გვერდით, ლანგარზე თეთრი პურის ნაჭერი დევს. ერთხანს ვუყუ- რებ, მერე ისევ თვალთმიბნელდება.

– როგორც ჩანს, მშეირია, – ჩა- მესმის ქალის წყნარი ხმა, – ბიჭებო, თქვენ გადით ოთახიდან.

ხმა მესმის, მაგრამ თავის აწევა არ შემიძლია. მერე ვგრძნობ, რომ ვიღა- ცის ნაზი ხელი თავს ამინევს, ტუჩებ- თან ცხელი რძით სავსე ფინჯანი მო- აქვს. ცოტას მოვსვამ და თვალებს ვა- ხელ. ჩემს გვერდით სათნო სახის ქალი დგას, მიღმის და მეუბნება: „დალიე და პურიც მიაყოლე“.

გონება მინათდება, კუჭიც აღარ მეწ- ვის, წამოჯდომაც შემიძლია. უნებურად სირტხვილის გრძნობა მეუფლება:

– შეგანუხეთ, მადლობა, წავალ. – ცოტა ხანს მოიცადე, მოღონიერ- დი, – მეუბნება ქალბატონი, თან შუბ- ლიდან თმას მიწევს, თავზე მეფერება.

კარისკენ ვიხედები. ოდნავ შემოღე- ბულ კარში ორ თავს ვხედავ, ერთმანე- თის ზემოთ. გაფართოებული თვალე- ბით მიყურებენ. ვიცანი, თითქმის ჩემი ტოლები არიან, ტყუპი ძმები, მეგობ- რები სიავპას და პიავპას ეძახიან. ქალი ხელით ანიშნებს და უჩინარდებიან.

არ ვიცი, რა ერქვა იმ კეთილშობილ ქალბატონს, მაგრამ მისი სახე ახლაც თვალწინ მიდგას. როცა ვიხსენებ, გუ- ლი სითბოთი მევსება.

ნეტა, სიავპას და პიავპას თუ ახ- სოვთ ეს ამბავი?!

ომში დაკარგული ბიჭები

დედაჩემი მალიმალ პირჯვარს იწ- ერს: „ლმერთო, ყველა გადაარჩინე, დაიფარე ეს ქვეყანა“. ხშირად მინა- ხავს თვალცრუმლიანი ბიძაჩემის, შო- თას სურათთან მდგარი. სურათი დი- დია, ყავისფერ ჩარჩოშია ჩასმული, ბიძაჩემს კარაკულის ბოხოხი ახურავს, პროფილშია გადაღებული. ძალიან ლა- მაზია, თან ვაჟკაცური. მეც ხშირად ვუყურებ ამ სურათს და ჩვენგან წასუ- ლი ადამიანები მახსენდება.

ყველაზე მნარე ჩემი ძმის – თენ- გიზის დალუპვის დღე იყო. სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი. ეზოში რომ გავედი, ფოსტალიონი დავინახე. გულმა რეჩხი მიყო. არ შევმცდარვარ... უნყება მომაწოდა. დედას ვერ ვუთხა- რი, შინ ვერ შევპრუნდი და ჩემს უფ- როს ძმას დავუძახე. ჩემმა ძმამ უნყე- ბას დახედა და უმალ ჯიბეში დამალა. სახე გაუფითორდა, თვალები ცრემლით აეცხო. ავტირდი. ერთხანს ეზოში ვი- დექით. ერთიანად ვცახცახებდი. ასე მგონია, იმ დღეს შემეპარა თმაში ჭა- ლარა. „შენ სკოლაში წადი“, მითხრა მალხაზმა. გავიქეცი, მაგრამ სკოლაში კი არა, დეიდაჩემთან.

1941 წლის ოქტომბრის თვე იყო. ჩემი ძმა რუევის ახლოს, პოდოლსკში

დაიღუპა. მაშინ მამაჩემი ყირიმში იბრძოდა და მძიმედ დაიჭრა. დედაჩემს დიდხანს სჯეროდა, რომ ჩემი ძმა დაბრუნდებოდა. ალბათ სადმე ტყვედ იქნება ჩავარდნილი. როდესაც ყველა იმედი გადაეწურა, დარდით დაავადდა. ჩუმად ტიროდა ხოლმე, მე რომ არ გამეგონა. მე კი მის თვალებს რომ ვუყურებდი, გული ტკივილით მეკუმშებოდა.

1948 წლის მაისის თვეში, უურნალში „დორშა“ (№ 5), გამოქვეყნდა ლევან დოლიძის წერილი „მოსკოვის კედლებთან“. ამ წერილმა თითქოს მარილი დააყარა ჩვენს იარებს. ლევან დოლიძე წერს: „1941 წლის ოქტომბრის მრისხანე დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა აალაპარაკა პოდოლსკელ კურსანტთა გმირობაში. ვინ იყვნენ ისინი, რომლებსაც მე-3 სატანკო ჯგუფის მეთაურის, გენერალ ერის პოპნერისადმი მოხსენებაში, 57-ე მოტოკორპუსის მეთაური გენერალი ბლუმენტრიტი „თავდადებულ წითელ იუნკრებს“ უნოდებს?

ესენი იყვნენ პოდოლსკის ქვეითი ჯარის სასწავლებლის კურსანტები – მიხეილ გოგიჩაიშვილი, ჯონდო ჯლამაძე, შალვა (ბუტა) ჩიქვინიძე, გიორგი ცხვირავაშვილი, დიმიტრი აბაშიძე, სურენგასპარიანი და თენგიზ ზაალიშვილი. 3 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე ებრძოდნენ ფაშისტები კურსანტებს, რომელიდაც უსახელო პორცვის ასაღებად, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. „კურსანტთა ერთი ჯგუფი, – იხსენებს გოგიჩაიშვილი, – ერთ-ერთ სახლში გამაგრდა. მტერი ცდილობდა დაეტყვევებინა ისინი, მაგრამ – ამაოდ. მაშინ ფაშისტებმა ცეცხლს მისცეს სახლი. გმირები არც ალმოდებული სახლიდან ეპუებოდნენ მტერს და ტყვეობას სიკვდილი არჩიეს“.

როგორც ჩანს, ამ ცეცხლმოდებულ სახლში იყვნენ ჩემი ძმა და მისი მე-გობარი ბუტა ჩიქვინიძე, – ულამაზესი ყმანვილი. მაშინ ისინი მხოლოდ 19 წლისანი იყვნენ. ახლაც მაქვს მათი ერთად გადაღებული ფოტო, რომე-

ლიც სამხედრო სასწავლებლიდან გამოგვიგზავნა თენგიზმა.

„სამი ათას პოდოლსკელ კურსანტთაგან ორი ათასზე მეტი დაიღუპა“ – წერს ლევან დოლიძე. ამ 19-20 წლის ბიჭებს სწამდათ, რომ თავგანნირული ბრძოლით საქართველოს იცავდნენ.

ჩემი უფროსი ძმა – მალხაზი გაემგზავრა პოდოლსკში იმ იმედით, რომ თენგიზის, ბუტასა და მათი თანამებრძოლების „მმათა სასაფლაოს“ მიაგნებდა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ისინი დაიღუპნენ, მხოლოდ პურის ყანა ბიბინებდა.

მამის დაბრუნება

ომი დამთავრდა. დამთავრდა მამაჩემის იდისეაც, რომელიც თავის ძველ, გაცრუცილ წიგნაკში დაწვრილებით აქვს აღნერილი:

„დავიბადე 1894 წლის (30/VII) ოცდაათ ივლისს ქ. ახალციხეში. დავამთავრე თბილისის გიმნაზია 1914 წ.

შევედი ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე 1915 წელს, მაგრამ არ დამცალდა მისი დამთავრება.

გამიწვიეს სამხედრო სამსახურში 1916 წელს.

განმანექსეს 1917-ე ქვეითი ჯარის ნანილში, ქ. ალექსანდროვოვში, ვლადიმირის გუბერნიაში.

1916-1917 წლებში ვიპრძოდი რუმინეთის ფრონტზე.

1917 წლის მინურულს ირანის გავლით გადაგვისროლეს თურქეთის ფრონტზე.

1918 წელს 18/VII თვეს ვიყავი დემობილიზებული.

1920 წელს გამიწვიეს წითელ არმიაში, ჩვენი ბატალიონი იდგა დუშეთში, მცხეთის რაიონში.

1931, 33, 35 წლებში მონაწილეობას

ვიღებდი სამხედრო წვრთნებში ქ. თბილისში.

1942 წელს გამინვიეს // სამამულო ომში. ვმონანილეობდი ყირიმის დაცვაში, ვიბრძოდი ქერჩთან, პოლკოვნიკ ლიტვინოვის მეთაურობით. 18/V – თვეს დავიქტრი და კონტუზიაც მივიღე.

1945 წელს მონაწილეობას ვიღებდი ბუდაპეშტის დაცვაში...“

ბევრი რამ ვერ გავარჩიე, რადგან შემოკლებულად ჰქონდა ჩაწერილი. ჩემთვის მისი ცხოვრების ეს მშრალი ჩამონათვალი მთელი რომანი იყო. წარმოვიდგინე ყველა დაბრკოლება, რომლის გადალახვა ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს მოუხდა და მაინც ახერხებდა ჩვენთან – თავის შვილებთან გულთბილ ურთიერთობას და ჩვენზე ზრუნავდა.



მამაჩემი გადარჩა. დაბრუნდა დალილი და დასუსტებული.

....იმ დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, კარი სახეგაბრწყინებულმა ჩემმა ძმამ, მალხაზმა გამილო.

– ფრთხილად, არ იხმაურო, ნახე, ვინ უნდა გაჩვენო, – ჩამჩურჩულა და საწოლთან მიმიყვანა. მამაჩემს ჩასძინებოდა. დატანჯული და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. დედაჩემი ფუსფუსებდა, „ტყუილ წვნიანს“ უმზადებდა. ასე ეძახდა უხორცო სუპს.

მაგიდაზე საგულდაგულოდ შეფუთული ორცხობილა და ქიშმიში იდო. სკაშზე ნაომარი, რამდენიმე ადგილას ტყვიით დახვრეტილი შინელი იყო გადაკიდებული.

Finita la commedia

რამდენჯერ მიფიქრია, ვაითუ ცხოვრებამ დამამარცხოს-მეთქი, მაგრამ სიცოცხლის წყურვილმა მომცა ძალა, უკან არ დამეხია. ვპოულობდი პატარ-პატარა

მიზეზებს, რომ მცირე სიხარული მაინც მეგრძნო. მიხაროდა, როცა კვირაში ერთხელ დედაჩემი, ჩემი ძმა და მე, მელი-ქიშვილის ქუჩის კუთხეში, იაფფასიან კაფეში მოვიყრიდით თავს, ცხელ ჩაის ვსვამდით, თითო ფუნთუშას შევექცეოდით. სრული ბედნიერებისათვის ჩემი ძმა თენგიზი და მამა გვაკლდა. თენგიზი გამორიცხული იყო, რადგან ომში დაიღუპა, მაგრამ მამას ველოდით – იგი რაიონულ საბჭოში იყო წასული, ზამთრისთვის სამი კუბმეტრი შეშის მოსაპოვებლად. წესით ეკუთვნიდა, როგორც სამამულო ომის ინვალიდს, მაგრამ ფეხს ითრევდნენ და საქმეს აჭიანურებდნენ, რადგან ცივი ზამთარი გველოდა. იფიქ-რა, ერთხელაც ვცდიო და წავიდა, არც დაუცდია, უკან გამობრუნდა, რადგან ყური მოჰკრა პასუხს, რომელიც მის წინ მდგომა ჯარისკაცმა მიიღო: „ერთ კვირაში მობრძანდით. ისე, რომ იცოდეთ, თქვენზე გაჭირვებულიც ბევრი გვყავს“. აქ მე ვერაფერს ვერ მივიღებო, გაიფიქრა მამაჩემმა და საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. ბევრი იარა, ბევრი ეწვალა და ბოლოს „ჩაის კომბინატში“ (ახლანდელ კოსტავას ქუჩაზე) იშოვა სამსახური მთავარ მოანგარიშედ. მაგრამ სიხარული მალე მწუხარებით შეგვეცვალა. მამას ცილი დასწამეს და დააპატიმრეს. მის წინამორბედ თანამშრომელს ზედმეტი თანხა დაუხარჯავს და მამაჩემს სამსახურებრივ გულგრილობაში დასდეს ბრალი. ორნახევარი წლის პატიმრობა მიუსაჯეს:

„საქმისადმი გულგრილობის გამოჩენისათვის, თანახმად სსრ-ს სამ. კოდი 117 მუხლ. მიესაჯოს $2_{1/2}$ წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის შემდეგ აეკრძალოს 2 წლის განმავლობაში მის თანამდებობაზე მუშაობა. განაჩენი კასაციურია“. – გაისმა მოსამართლის მონოგრაფიული განაჩენი ქ. თბილისის ერთ-ერთ სასამართლო დარბაზში, – წერს მამაჩემი თავის დღიურში, რომელსაც „ცხოვრების ანარეკლი“ დაარქვა.

შემდეგი ჩანაწერია 19/VI-47 წელს:

„მამა, შენ რატომ მოგისაჯა მოსა-
მართლებ 2_{1/2} წელი? გამფლანგველი
შენ გადაეცი სასამართლოს და შენვე
გსჯიან?“ განცვიფრებით ეკითხება 14
წლის მედეა თავის მამას“.

გამახსენდა. ერთხელ, როდესაც ეს
კითხვა დავუსვი, თითქოს მამაჩემში
გაიღვიძა ძველმა არტისტიმა, ხელე-
ბი გაშალა და ხმამალლა წარმოთქვა:

„ბევრი რამ არის, ჩემო მედ, ზეცად
და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზ-
მრადაც არ მოლანდებიათ.“

— ეგ ჰამლეტიდანაა, ოღონდ, „ჩე-
მო მედ“-ის მაგივრად ჰორაციო უნდა
გეთქვა, მამ.

— ჰო, ჩემო ჭვევიანო გოგონა, კარ-
გად დაგიმახსოვრებია. ნუ გეშინია, სი-
მართლე არ დაიმალება.

რაღაც წამით დამავიწყდა კიდეც,
საიდან მოვდიოდით. ძველ სახლში
დავბრუნდი ჩემი მოგონებებით. ხელი
ჩავკიდე. თითქოს გვერდზე ის ახალ-
გაზრდა, მხნე მამა მომყენებოდა, რო-
მელიც მიმღეროდა, ლექსებს და თავის
საყვარელ მონოლოგებს მიკითხავდა.

მამაჩემის დღიურიდან: „ამ პატარა
14 წლის გოგონამ იცის, რომ მამამისი
მართალია, იცის და მიხვდა ყოველი-
ვეს, რასაც ვერ მიხვდნენ სამართალ-
დამცავნი და მსაჯულები“.

●

მამაჩემი ციხიდან მე-2 კოლონიაში
გადაიყვანეს. პატიმრების ერთ ჯგუფს,
მაშინდელი ლენინის მოედნიდან ცოტა
მოშორებით მდგარ ჯიგრაშენის ეკლე-
სის დანგრევა ევალებოდათ. მამაჩე-
მიც მათ შორის მოხვდა.

დღიურიდან: „მთელი დღე ვმუშა-
ობდით. 17.30 წუთზე შეგვასვენეს. პა-
ტიმრები ხელ-პირს იპანდნენ და „ვახ-
შმის“ მისალებად ემზადებოდნენ...“

ამ დროს დამიძახეს: თქვენი ცოლი
და თქვენი გოგონა მედეა მოვიდაო“.

მე უკვე მთელი კოლონია მიცნობ-

და. როცა მცველი ჭიშკარს აღებდა და
დამინახავდა, გამიღიმებდა. ჩემი სა-
ხელიც იცოდა – მოდი, მედეა, ახლავე
დავუძახებ მამაშენსო.

ჯიგრაშენის ტერიტორიაზე საშინელი
მტვერი ტრიალებდა. დედაჩემი მეტყო-
და: „ცხვირსახოცი მიიფარე პირზე, რომ
ბევრი მტვერი არ ჩაყლაპო“-ო. იმ დღეს,
მამაჩემი რომ დავინახე, შევწუხდი. სა-
ხეზე თეთრი ფერი ედო, ხშირ-ხშირად
ახველებდა. მეორე კვირას რომ მივე-
დით, მამაჩემი ძლიერ იდგა ფეხზე. დღი-
ურიდან: „21/VII. ექიმმა №-მა გამსინჯა.
ვერ ნახა ვერაფერი. რენტგენისაც არ
მჯერა. ეტყობა სიმულიანტიაო – უთხრა
მეორე ექიმს, ახალგაზრდა რუს ქალს.
იმანაც გამსინჯა და წამოიძახა: „რას
ამბობთ. ამ კაცს ორივე ფილტვის ტუ-
ბერკულიოზი აქვს“.

22/VII. „ის ახალგაზრდა ქალი რომ
არ ყოფილიყო, დღესაც ყოფილი იქნე-
ბოდა ჩემი ფილტვების შესახებ. დიდი
მადლობელი ვარ მისი. და გარეთ რომ
შემხვდეს, უსათუოდ დიდ პატივისცე-
მას გადავუხდიდი“.

მამაჩემი საკაცით გადაიყვანეს რეს-
პუბლიკურ საავადმყოფოში. დასუსტე-
ბული მაინც განაგრძობდა წერას. „26
VII-48 წ. დამანვინეს რესპ. საავადმყო-
ფოში. ხველება, გულის ტკივილი სუნ-
თქვას მიზღუდავს. ფეხები დამისივდა.
ჰაერი არ მყოფნის, ერთ კვირის მეტს
ალბათ ვერ გავძლებ“.

27/VII-ს მამაჩემი თავის ბოლო ლე-
ქს მწერს:

ოდეს სიკვდილი თავის სარეცელს
ამ ჩემ ტლუ სხეულს გადააფარებს,
მხრებზე გაიდებს სასტიკ ბედის
ცელს
და მიადგება სხვა მსხვერპლის
კარებს,
განქრება ტკივილი სიცოცხლის
უამი
და განშორდება სული ტანჯულ
გვამს,
უკანასკნელი დადგება წამი...

გაქრა სანთელი – შუქი არსად ჩანს.



იმ დღეს გათავდა ყოფნა-არყოფნა,
ეს ხომ ყოველი კაცის ბედია,
ვისაც ვუყვარდი, არ დამივიწყებს,
მორჩა... *Finita la commedia*, ჩემო
მედეა.



მამაჩემი საავადმყოფოდან გამო-
ნერეს. როცა საკაცით სახლში შემოჰ-
ყავდათ, კარს ხელი მიარტყა და წაი-
ჩურჩულა: „შე საწყალო, ჩემო სახლო“.
მეორე დილით, წყალი დამალევინეთო,
მოითხოვა. სასწრაფოდ ავდექი, ჭიქა
ავავსე, მაგრამ დედაჩემმა ჭიქა გამო-

მართვა და მითხრა, მამიდა ვერასთან
წადი და უთხარი, რაც შეიძლება ჩქარა
მოვიდესო. სანამ მამიდა ვერა და მე
მოვიდოდით, მამაჩემი გარდაცვლილი-
ყო.



ვაკის სასაფლაოზე ერთი პატარა
საფლავია. რკინის ხარისაზე მარმა-
როლოს პატარა დაფაა მიმაგრებული.
როცა მივდივარ, მტვერს ვწმენდ, რომ
კარგად გამოჩნდეს წარნერა: „მიხეილ
გიორგის ძე ზალიშვილი“ (დაბ. 1894
– გარდ. 1948 წ.)

„რუსუდან პატარას ას. გედევანიშვი-
ლი-ზალიშვილისა“
(დაბ. 1900 წ. – გარდ. 1960 წ.)





პაინრიხ ჰაინე

მზის შარავანდი რომ რთავს დაისებს,
ვერ შეედრება მაგ თვალთა მზერას!
იმ დაისებმა გული დაისრეს
და ეგ თვალები გულს უფრო სერავს...

დაისი დღესთან განშორებაა,
მზის დაბნელება რომ მოსდევს სრული;
წყალგალმა შენი თვალები მრჩება
და წყალგამოლმა ბოგინობს გული...

მკვეთრად ირეკლავს სარკე კრიალა
რაინისპირა ციხე-დარბაზებს,
იალქნიანმა ნავმა სრიალამ
მეც მაზიარა ამ სილამაზეს!

ოქროცურვილი ათინათების
შევცქერ ტალღებში სხივების თამაშს,
რომ მიღვიძებენ ღრმად ჩაბუდებულს
გულში ოცნებებს და გრძნობებს თამამს...

მრავლის აღმთქმელი საამო ვნებით
თითქოს გიზიდავს მდინარის ხიბლი,
მაგრამ მე მარჯვე მენავე ვხდები –
ფსკერზე დამე და სიკვდილი მიცდის!

პირ-ლიმით, გულში – ავი ზრახვებით
ალი-კვალი ხარ, სატროოს სადარი, –
თავდაპირველად რომ გაგახაროს
და მერე მორცხვად დაგიკრას თავი...



გზაჯვარედინთან დაკრძალეს კაცი,
ვინც თავად მოისწრაფა სიცოცხლე;
იქ რომ ლურჯთვალა ყვავილი ყვავის,
სიკვდილმისჯილის სიცოცხლით ცოცხლობს.

გზაგასაყართან ვიდექ, ვკვნესოდი
და ლამე იყო ცივი და უტყვი;
და მთვარის შუქზე, სიკვდილმისჯილის
ყვავილს არხევდა ნიავი უხმოდ.



ამ ჩემს სიცოცხლეს ჩაღამებულ, შავბნელ წარსულში
ხანდახან ახლდა სხივმოსილი წუთები ამო,
ახლა აღარ ჩანს სხივი, რამაც ეს წუთები შვა
და მე გარშემო გაუვალი მარტყია ლამე...

როცა ბავშვობა სიბნელეში მობრნყინდება,
დაითრგუნება მაშინ კაცთა ზნე და თვისება,
თუმცა მავანნი თავის შიშის განსაქარვებლად
ომახინად დასძახიან თავის სიმღერას!..

ის უწინდელი, შლეგი ბავშვი – მე ახლა ვგალობ,
როცა მიხდება სიარული ლამეში ბნელში.
მე შეიძლება ვერაფერი მგალობელი ვარ,
მაგრამ გალობამ განმიქარვა ყოველი შიში...



ძველ გზებს მივკვალავ კვლავაც,
ნაცნობ შარებს და შუკებს,
ვნახავ საყვარელ ალაგს,
ან მიტოვებულს უკვე...

მევიწროება ქუჩა,
მგვრის ქვაფენილი ურვას,
მსურს, განვეშორო ქალაქს,
ჩემს თავს რომ დამზღვლეულა.

●
ძილში ვხედავდი ბუნდოვან სიზმარს –
ჩავშტერებოდი ქალის ხატებას,
იკვეთებოდა თანდათან სახე
და მიზიდავდა ანდამატივით.

მის ლამაზ ტუჩებს გადაჰყენოდა
გასაოცარი ღიმილის შუქი,
თვალებში სევდას დაედო ბინა
და სევდით იყო გაბრწყინებული.

ვტიროდი მეც და მეწვოდა ღაწვი
და მეც ცრემლები მდიოდა, კარგო,
რადგან ვერა და ვერ დაგივიწყე,
ვერ დავიჯერე რომ შენ დაგარგე.

●
მავანი ღვთისმშობელზე ლოცულობს,
სხვანი კი – წმინდა პეტრე-პავლეზე,
მე მინდა მხოლოდ შენზე ვილოცო,
შენზე, ვით მზეზე ულამაზესზე!..

იყავ მოწყალე! იყავ კეთილი! –
ცხოვრება კოცნით გამიმზიანე,
გოგონებს შორის ყველაზე ტურფა
სარ მზისქვეშეთში, მზის მოზიარე!

●
სიკვდილი არის მარადი ღამე,
ხოლო სიცოცხლე დღესა ჰგავს მზიანს,
თვალთ მიბნელდება, თვლემა მერევა:
დღე დღევანდელი – დამღლელი დღეა...

ჩვენს საწოლიდან მოჩანს მარტოხე
და იქიდან სტვენს ნაზი ბულბული;
ეს – სიყვარულის მისი სიმღერა,
ჩემს სიზმრებშია შეზავებული...

**თარგმნეს ზურაბ აბაშიძემ და
სიმონ ჭაფარიძემ**

ვასილი შუკშინი

უცხოები

ერთი მომცრო წიგნი მომხვდა თვალში, რომელშიც მოთხრობილი იყო მეფე ნიკოლოზ II-სა და მის ნათესაობაზე.

წიგნაკი საკმაოდ მკაცრია, მაგრამ, ჩემი აზრით, სამართლიანი. აი, რას გავაკეთებ: იმ ნაწილს ამოვინერ, სადაც მოთხრობილია მეფის ბიძის, დიდი მთავრის ალექსეის შესახებ და მერე განვმარტავ თუ რისთვის მჭირდება.

„ალექსეი მამამისმა, იმპერატორმა ალექსანდრე II-მა ბავშვობიდან ფლოტში გაამწესა და საზღვაო სასწავლებელში ჩარიცხეს, მაგრამ კლასში არ დადიოდა, მეცადინეობებს არ ესწრებოდა და დროს სხვადასხვა თეატრებსა და სამიკიტნოებში ფრანგ მსახიობთა და მოცეკვავეთა შორის ატარებდა. ერთმა, გვარად მოკურმა, სულ აუბნია თავგზა.

– რას მირჩევთ, როგორ ვაიძულო ალექსეი, რომ სასწავლებელში გაკვეთილებს დაესწროს? – ჰყითხა ალექსანდრე II-ემ სამხედრო მინისტრ მილიუტინს.

– თქვენო უდიდებულესობავ, ერთადერთი საშუალებაა, მასწავლებლად ქალბატონი მოკური დავნიშნოთ, მაშინ დიდ მთავარს სასწავლებლიდან ვერც კი გამოვიყვანთ.

მისი ძმა, იმპერატორი ალექსანდრე III არ შეშინდებოდა, ასეთი განსწავ-



ლული მეზღვაური რუსული ფლოტის წინამდლოლად და გენერალ-ადმირალად დაენიშნა.

ჯავშნოსნებისა და პორტების მშენებლობა სხვადასხვა ჯურის გაიძვერა და ცბიერი ადამიანებისათვის ოქროს საბადოა სახალხო საკუთრებაზე ხელის მოსათბობად. გენერალ-ადმირალი ალექსეი, რომელსაც ფული სულ სჭირდებოდა ქალებისა და თამაშისათვის, ოცი წელი რუსეთის ფლოტს გარდაქმნიდა, უსინდისოდ ძარცვავდა ხაზინას. არანაკლებ ძარცვავდნენ მისი საყვარლები და მაჭანკლები, რომლებიც საყვარლებს აცნობდნენ.

თვით ალექსეის საზღვაო საქმისა არაფერი ესმოდა და თავისი უწყებისათვის თავსაც არ იწუხებდა. მისი, როგორც უფროსის, მაგალითი მთელს ფლოტში გავრცელდა ზემდგომებიდან

ხელქვეითებამდე. ოფიცრების მიერ ძარცვა-გლეჯა და გულგრილობა წლი-თინლობით იზრდებოდა და დაუსჯელი რჩებოდა. მატროსების ყოფა აუტანე-ლი გახდა. უფროსობა მათ ყველანაირად ძარცვავდა: ულუფით, ღვინით, ტანსაც-მლით. მატროსები რომ არ ამბოხებუ-ლიყვნენ, ოფიცრები მკაცრი სასჯელითა და უხეში მოპყრობით აშინებდნენ. ასეთი უმსგავსობა – არც მეტი, არც ნაკლები – ოც წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

საზღვაო უწყებაში არც ერთი სა-მუშაო არ იყო, რომ ალექსეის თავის ქალებთან ერთად შემოსავლის ნახევა-რი არ ჩაეჯიბა, მეტიც კი. როცა რუ-სეთ-იაპონიის ომი დაიწყო, მთავრობას უნდოდა, ჩილეს რესპუბლიკაში რამ-დენიმე ჯავშნოსანი შეესყიდა. ჩილური ჯავშნოსნები ევროპაში მოცურდნენ და იტალიის ქალაქ გენუასთან დადგნენ. აქ რუსმა მეზღვაურებმა დაათვალიე-რეს. ასეთი ჯავშნოსნები ჩვენს ფლოტ-ში სიზმარშიც არ ენახათ. ჩილელებმა იაფი დააფასეს, თითქმის თავისი ფასი. მერე რა? სიიაფის გამო მოხდა ის, რაც მოხდა. რუსეთის რწმუნებულმა სოლ-დატენკოვმა განმარტა:

– თქვენ ყველაზე მეტი, სამჯერ ძვი-რი უნდა დააფასოთ. სხვანაირად თავს რისთვის შევიწუხებთ. თითოეული ჯავ-შნოსნის გასაყიდი ფასიდან 600 ათასს დიდი მთავარი აიღებს, 400 ათასი ქალ-ბატონ ბალეტას უნდა მივცეთ, ჩვენ, საზღვაო უწყების ჩინოვნიკებს რაღა დაგვრჩება? რუსი მექრთამეებით გაოგ-ნებულმა ჩილელებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობა არაკეთილსინდისიერ შუამავლებთან საქმეს არ დაიჭერდა. , როგორც კი ეს საქმე ჩაიშალა, ჩილუ-რი ჯავშნოსნები დაუყოვნებლივ შეის-ყიდეს იაპონელებმა. შემდგომში ცუსი-მასთან სწორედ ისინი ძირავდნენ ჩვენს ხომალდებს.

ქალბატონი ბალეტა, ვისთვისაც სოლდატენკოვი ჩილელებისაგან 400 ათას რუბლს ითხოვდა, ფრანგი მსახი-

ობი, ალექსეის უკანასკნელი საყვარე-ლი იყო. არც ერთ მეწარმეს თუ მოი-ჯარეს, თუ ქალბატონ ბალეტას სოლი-დურ ქრთამს არ მისცემდა, დიდი მთა-ვარი არ მიიღებდა და არც მოუსმენდა.

ერთმა ფრანგმა არაჩვეულებრივი საზღვაო ტორპედო გამოიგონა, რომე-ლიც ზღვაზე დიდ სმერჩს იწვევდა და ხომალდებს ძირავდა. ფრანგმა თავისი გამოგონება რუსეთის მთავრობას შეს-თავაზა. ის პეტერბურგში გამოიძახეს, მაგრამ იმისათვის, რომ ალექსეის თან-დასწრებით გამოეცადათ, მისგან 25 ათასი რუბლი მოითხოვეს ქალბატონ ბალეტასათვის. ფრანგს ამდენი ფული არ ჰქონდა და შინ დაბრუნდა. პარიზში მასთან იაპონელი ჩინოვნიკი მივიდა და გამოგონება ძვირად შეისყიდა.

– რამდენიმე თვით ადრე უფრო მეტს გადაგიხდიდით, მაგრამ ამჟამად ჩვენთანაც გამოიგონეს უფრო ძლიერი ტორპედო.

– მაშინ ჩემსას რატომ ყიდულობთ?
– იმიტომ, რომ რუსებს არ ჰქონ-დეთ.

ახლა როგორდა გავიგებთ, მაგრამ, იქნებ, ასეთმა ტორპედომ გადააყირა-ვა „პეტროპავლოვსკი“ და მისი ეკიპაჟი ჩაძირა საქმის ერთადერთ მცოდნე ად-მირალ მაკაროვთან ერთად.

ბალეტა ალექსეის სიცოცხლის უკა-ნასკნელი ათი წელი თავის ჭკუაზე ატარებდა. უფრო ადრე გენერალ-ად-მირალშა ზინაიდა დმიტრიევნა იყო, ლეიიხტენბერგის პერცოგინია, ქალიშ-ვილობაში სკობელევა (სახელგანთქმუ-ლი „თეთრი გენერლის“ და). საზღვაო უწყების ჩინოვნიკები მასთან მოხსენე-ბებით ალექსეის გვერდის ავლით შე-დიოდნენ, ის კი, რაც თავის ლამაზმანს უნდოდა, ყველაფერზე უდარდელად აწერდა ხელს.

გენერალ-ადმირალ ალექსეის ბედ-ნიერ დღეებს იაპონიის ომმა მოუღო პილო. იაპონელებს წყნარ ოკეანეში ჰქონდათ სწრაფმავალი კრეისერები და

ჯავშნოსნები, ჩვენ კი ძველი „კალოშები“. თუ როგორ კარგად წვრთნიდა გენერალ-ადმირალი თავის ფლოტს, ამისი დამადასტურებელია ის, რომ „ცესარევიჩმა“ პირველად სწორედ ამ ბრძოლაში გაისროლა, სადაც იაპონელებმა დაცხრილეს.

ოფიცრები ბრძანებებს ვერ იძლეოდნენ. ხომალდებს საზღვაო რუკები არ ჰქონდათ. ზარბაზნები არ ისროდნენ, თავისიანებს ძირავდნენ ან საკუთარ ნალმებზე ფეთქდებოდნენ. წყნარი ოკეანის ესკადრა პორტ-არტურში ისე შეიმალა, როგორც კიბი შლამში. მისაშველებლად ადმირალ როუდესტვენსკის ბალტის ესკადრა გაგზავნეს. მან ტყუავის გადასარჩენად მეფეს მოახსენა, რომ ჯავშნოსნებს მეტალის ჯავშანი მხოლოდ ზემოთ ჰქონდათ, ქვემოთ კი ხისა. მეფემ თითქოს მაშინ უთხრა ალექსეის:

– ბიძაჩემო, სჯობდა ორჯერ მეტი მიგეთვისებინა, ოლონდ ნამდვილი ჯავშნოსნები აგეშენებინა!

„პეტროპავლოვსკის“ დაღუპვის შემდეგ ალექსეი ბრილიანტებით მორთულ თავის საყვარელ ბალეტასთან ერთად პეტერბურგის ერთ-ერთ თეატრში გამოჩნდა. მაყურებლებმა კინალამ ორივე დახოცეს. ესროდნენ ფორთოხლის ქერქებს, აფიშებს, რაც ხელში მოხვდებოდათ.

– ეს ბრილიანტები ჩვენი ფულითაა ნაყიდო! დაგვიპრუნეთ! ეს ჩვენი კრეისერები და ჯავშნოსნებია! აქ მოგვიტანეთ! ეს ჩვენი ფლოტია! – უყვიროდნენ.

ალექსეი თავისი სასახლიდან ვეღარ გამოდიოდა, რადგან ქუჩაში უსტვენდნენ, მის კარეტას ტალახს ესროდნენ. ბალეტა სასწრაფოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა და თან ნალდი ფული წაიღო, რამდენიმე მილიონი რუბლი, ძვირფასი ქვების თითქმის მთა და იშვიათი რუსული ძველი ნივთები რუსი ხალხის სამახსოვროდ, რომელიც ალექსეისთან ერთად გაძარცვა.

ცუსიმამ ბოლო მოუღო ალექსეის. მას მერე ფლოტს ასეთი სულელური და სამარცხვინო დამარცხება არ განუცდია. ათასობით რუსი ჩაიძირა თავიანთი ხომალდებითა და ზარბაზნებიანად, რომელთაგან ნასროლიც მონინააღმდეგებედე არ აღწევდა. იაპონელების რამდენიმესაათიანი შემოტევის მერე ტალღებზე მხოლოდ ნაფოტებილა დარჩა – ალექსეის ოცნლიანი მძარცველობის გამო. ყველაფერი აშკარა იყო: თაღლითი მშენებლების მძარცველობა, უნიჭო ოფიცრების დაუდევრობა და მათგან ტანჯული მატროსებისადმი სიძულვილი. მეფის ბიძამ ყვითელი ზღვის თევზები მატროსულფორმიანი რუსი კაცების სხეულებით გააძლო.

ალექსეი გადადგომის მერე ნაძარცვი ქონებით საზღვარგარეთ ბალეტას სიახლოვეს მოგზაურობდა. პარიზსა და სხვა სასურველ ქალაქებში სასახლეები შეიძინა და რუსი ხალხისთვის მოპარულ ოქროს ქალებში, ლოთობასა და აზარტულ თამაშებში ფლანგავდა, სანამ შემთხვევით გაციებისაგან არ გარდაიცვალაო.

ეს წავიკითხე და ჩვენი მწყემსი, ბიძა ემელიანი გამახსენდა დილით, გარიურაჟზე შორიდან ისმოდა ხოლმე მისი კეთილი და ოდნავ დამცინავი ხმა:

– ქალებო, ძროხებო! ქალებო, ძროხებო!

გაზაფხულზე, მაისში, მის ხმას რომ გავიგონებდით, გული სიხარულით აგვიჩეროლდებოდა, რადგან მალე ზაფხული დადგებოდა!

მერე აღარ მწყემსავდა, დაბერდა. კატუნზე¹ ანკესით თევზაობა უყვარდა. მეც მიყვარდა ანკესით თევზაობა. ხშირად საუბარში ერთმანეთის გვერდით ვიდექით და უხმოდ ვუცქერდით ანკესის ძუას: ჩვენთან მიღებული არ იყო ტივტივების გამოყენება, ამიტომ თვალი გვეჭირა და გვეცქირა – თუ გატოკ-

¹ კატუნი – მდინარე ალთაიში.

დებოდა, უნდა ამოგენია. ანკესის ძუას ცხენის ძუისგან ვაკეთებდით. ცხენის ძუას თეთრ ლერებს მარჯვედ ვაძრობდით. ცხენები გვეწინაალმდეგებოდნენ – ზოგი იაბო ტლინქებს ყრის, ალლა საჭირო. ძუა ძია ემელიანთან მიმქონდა, ის კი მასწავლიდა, მუხლზე როგორ გადამეგრიხა.

ბიძია ემელიანთან ერთად თევზაობა მიყვარდა. ის ამით არ ერთობოდა, არა-მედ გონივრულად თევზაობდა. იმაზე უარესი არაფერია, როცა მოზრდილები ლაზლანდარობენ, ხორხოცებენ და ხმაურობენ: მოვა ბადით მთელი ჯგრო, არემარეს გააყრუებენ, სამ-ოთხ ტონას დაიჭერენ და კმაყოფილი სოფლისკენ გასწევენ, იქ კი შეწვავენ და დალევენ.

ჩვენ მოშორებით მივდიოდით. წყალში ფეხშიშველები ვიდექით, სანამ ფეხები არ გვეტკინებოდა. მაშინ ბიძია ემელიანი იტყოდა:

– ვასკა, შევისვენოთ.

მე ფიჩხს მოვაგროვებდი, ნაპირზე ცეცხლს გავაჩალებდით და ფეხებს გავითბობდით. ბიძია ემელიანი ეწოდა და თან მიყვებოდა. მაშინ გავიგე, რომ მეზღვაური ყოფილა, იაპონელებთან უომია და ტყვედაც ჩავარდნილა. ნაომარი რომ იყო, არ გამკვირვებია, რადგან ჩვენთან ყველა მოხუცს ოდეს-ლაც სადღაც უომია, მაგრამ მეზღვაური რომ იყო და იაპონელებთან ტყვედ ნამყოფი, ამან დამაინტერესა. ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა. არც ვიცოდი თუ რომელ ხომალდზე მსახურობდა. იქნებ, თქვა კიდეც, მაგრამ დამავიწყდა ან, იქნებ, არც უთქვამს. ჩაძიებისა მერიდებოდა, სულ ასე ვიყავი, მხოლოდ ვუსმენდი. ენაწყლიანი არ იყო. რაღაც გაახსენდებოდა, მოჰყვებოდა და ისევ გავრჩუმდებოდით. მე ის ახლაც თვალწინინ მიდგას: ბრგე, გამხდარი, დაკუნთული, ჭაღარაგარეული, აწენილი წვერი ჰქონდა... მოხუცი იყო, მაგრამ ძლიერი ჩანდა. ერთხელ ხელი დააცემდა, რომლითაც სათევზაო ჯოხი ეჭირა, რომლითაც სათევზაო ჯოხი ეჭირა,

იცინა და თვალით ხელზე მანიშნა.

– კანკალებს. დაუძლურდა... მეგონა არ დავჩაჩანაკდებოდი. როგორი ჯანიანი ვიყავი! ჯეელობაში ტივებს მივდევდი... მანუურსკიდან² ვერხ-კაიტანამდე³ მივცურავდით, იქიდან კი ქალაქელებს ცხენის საზიდორებით მიჰქონდათ. ნუიმში⁴ ნაცნობი მყავდა, ჭკვიანი ქვრივი, მაგრამ ქალიშვილს სჯობდა. ნუიმელები კი იბოლმებოდნენ, მე რომ მასთან დავდიოდი. კაცებს არ მოსწონდათ, მაგრამ აინუნშიც არ მომდიოდა, დავდიოდი და მორჩია. როცა მივცურდებოდი, ტივს ნაპირზე ბაგირით მივაბამდი და რა თქმა უნდა, მისკენ გავწევდი. მომწონდა, ცოლადაც შევირთავდი, მაგრამ მალე ჯარში გამინვიეს. კაცები იმაზე ბრაზდებოდნენ, გარეშე რომ მიეჩვია... ის ყველას ეპრანჭებოდა, მაგრამ ყველა ცოლიანი იყო. ერთხელ ტივი დავაბით. ჩემი მეწყვილე ერთ ყოჩალ ქალთან წავიდა, კარგ არაყს ხდიდა, მე კი ჩემი სატრფოსკენ გავწიე. სახლს ვუახლოვდებოდი, იქ კი თურმე მელოდებოდნენ, რვა კაცი იყო. ვფიქრობ, ამათ როგორ ვერ მოვუვლი. პირდაპირ მათკენ წავედი... ორნი შემომეგებნენ: „საით?“ ორივე იქვე მდგომებს მივაწყვიტე. ხუთივე წავაქციე. ჩემკენ ჯგროდ წამოვიდნენ, გული გადამიქანდა. ერთი ავწიე, გზის იქით გადავისროლე, სასიამოვნო საყურებელი იყო, მოსაშეველებლად მოცვიდნენ, მაგრამ მისამართი შეესალათ. ვერაფერს გახდნენ... მარგილებს სტაცეს ხელი, მეც მოვასწარი და ღობიდან სარი ამოვაძრე. ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. გრძელი სარი მქონდა და ვერ მწვდებოდნენ. ქვები დამიშინეს... უსინდისოები. ეს ნუიმელები უჯაშოები არიან. მერე მოხუცები ჩაერივნენ, დააშოშმინეს. ქვებით როგორ შეიძლებოდა! თორმეტი ერთზე და თან ქვებით. დიდხანს ვიბრძოდით, გავიოფლე. უცებ

²მანუურსკი – დასახლება ალთაიში.

³ვერხ-კაიტანი – დასახლება ალთაიში.

⁴ნუიმი – დასახლება ალთაიში.

ვიღაც ქალმა დაიყვირა: ტივი! თურმე იმ მამაძალლებს ბაგირი გადაეჭრათ და ტივი წყალს მიჰქონდა. ქვემოთ ჭორომები⁵ იყო და სულ დაიშლებოდა, შრომა წყალში ჩამეყრებოდა. სარი გადავაგდე და ტივს დავედევნე. წუიმიდან ბისტრი ისხოდამდე 15 ვერსტი⁶ შეუსვერებლად მივდევდი, ხან გზით, ხან ქვებზე, მეშინოდა არ გამეშვა. ვერც კი წარმოიდგენ წაპირ-წაპირ როგორ მივდევდი. როგორ მივრბოდი! ჩემს ცხოვრებაში ასე არ მირბენია, კვიცივით. დავენიე. მივცურდი, ტივზე ავედი. მადლობა უფალს! მალე ჭორომები იქნებოდა, ორნი თავს ძლიერს ვართმევდით, მე კი მარტო. ერთი ნიჩბიდან მეორისკენ ვეფხვივით ვხტოდი, პერანგი გავიძრე... თავი გავართვი, მაგრამ როგორ ვირბინე! ბიძია ემელიანმა ჩაიცინა და თავი გადააქნია. არავის სჯეროდა, რომ ტივს ბისტრი ისხოდთან დავენიე. შეუძლებელიაო. თუ მოინდომებ, შეძლებ.

— მერე, ცოლად რატომ არ შეირთე?
— როდის?

— როცა ჯარიდან დაბრუნდი...

— როგორ! მაშინ დიდხანს მსახურობდნენ! მე ადრე დავპრუნდი, ტყვედ ვიყავი ჩავარდნილი, ოცდათხუთმეტი წლის ვიყავი, დამელოდებოდა? ოხ, რა ჭკვიანი იყო! როცა გაიზრდები, ჭკვიანი შეარჩიე. ქალის სილამაზე კაცს პირველ ხანებში უხარია, მერე კი...

ბიძია ემელიანი დაფუმდა, დაფიქრებული ცეცხლს მიაცეკერდა, თამბაქო შეახვია.

— მერე კი სხვა რამაა მთავარი. ესეც ჭკვიანი იყო, აუგს ვერ ვიტყვი.

მახსოვს ემელიანის ცოლი. კეთილი დედაბერი იყო. მეზობლად ვცხოვრობდით. მათი ბოსტნიდან ღობე გვყოფდა. ერთხელ ღობის იქიდან დამიძახა:

— აქ მოღი!

მივუახლოვდი.

⁵ჭორომი — ადგილი მდინარეში, სადაც მდინარის კლდიერანი ფსკერი ჩანს.

⁶ვერსტი — ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1060 მეტრს.

— თქვენმა ქათამმა, ნახე, რამდენი დადო! — და კალთაში ათიოდე კვერცხი დამინახა. — ღობის ქვეშ გასაძრომი გაუკეთებია და კვერცხებს აქ დებს. აიღე. ხუთი დედას მიუტანე, ხუთი კი, — დედაბერმა ირგვლივ მიმოიხედა და ჩუმად მითხრა: — იმათ მიუტანე, შარაგზაზე.

მაშინ შარაგზაზე პატიმრები მუშაობდნენ. ჩვენ, ბავშვებს, მათთან გვიშვებდნენ. კვერცხები, ბოთლით რძე მიგვქონდა... რომელიმე ბოთლიდან რძეს მაშინვე დალევდა, ბოთლის ყელს ხელს გადაუსვამდა და გვეტყოდა: — დედას დაუბრუნე, უთხარი: ბიძიამ მადლობა შემოგითვალაო.

— თქვენი დედაბერი მახსოვს, — ვუთხარი ბიძია ემელიანს.

— კარგი დედაკაცი იყო, შელოცვა იცოდა.

და ბიძია ემელიანმა აი, რა მიამბო:

— დავნიშნეთ. უფროს ძმა ეგორთან ერთად მივედით. ის ტალიცელი⁷ იყო, მდინარის გაღმიდან მოიყვანეს. აბა ქორწილია... დროს ვატარებთ. ახალი პიჯაკი შემიკერეს, კარგი პიჯაკი, ბობრიკის.⁸ საქორწილოდ შემიკერეს, ფული ეგორკამ მომცა. შევარდენივით მივედი. ქორწილში პიჯაკი ამწაპნეს. ძალიან შევწუხდი, ჩემი პატარძალი კი მეუბნება: „დაიცადე, ჯერ ნუ იდარდებ, იქნებ, დააბრუნონ“. ვფიქრობ, რას დააბრუნებენ! იმდენი ხალხი ირეოდა... არ ვიცი, იქნებ, ჩვენებურებიდან ვიწერ, ალბათ, ტალიცელებიდან. ჩვენებური სად გამოაჩენდა? მაშინ შინ კერავდნენ: მოვიდა თერძი მანქანით, აქვე გამოჭრა და შეკერა. მახსოვს, ორი დღე კერავდა. აქვე ჭამდა და ეძინა. ჩემმა პატარძალმა კი აი, რა მომოქმედა: ნაკუნები აიღო, ბევრი იყო მორჩენილი, ბერესტა⁹ შემოახვია და ღუმლის საკვამურში თიხით მიალესა, სწორედ იქ, სადაც ბოლი ყველაზე მუქი გამოღილის. თავდაპირვე-

⁷ტალიცა — დასახლება ალთაიში.

⁸ბობრიკი — მაღალხაონი მაუდი.

⁹ბერესტა — არყის ხის ქერქი.

ლად ვერ მივხვდი. „რისთვის აკეთებ?“ – ვკითხე. „როგორც კი ღუმელს გავახურებთ, ქურდი ყოველ დილით ბერესტავით მოიღუნება“. როგორ გგონია? სამი დღის მერე ტალიციდან კაცი მოვიდა, ჩემს დედაკაცს ნათესავად ერგებოდა. ტომარა მოიტანა, კუთხეში დადო და ჩემ წინ მუხლებზე დაეცა. „მაპატიეთ, შევცოდე, პიჯაკი წავიღე, თვალი დავადგი“, – მეუბნება. ტომრიდან ჩემი პიჯაკი და ღვინით სავსე გუსიხა ამოილო. ახლა მეოთხედია, ადრე გუსიხა¹⁰ ეძახდნენ. „ალარ შემიძლია, სიცოცხლე გამიმნარდა, დავიტანჯე“, – მეუბნება.

– ცემე?

– რატომ? თვითონ მოვიდა... ეს გუსიხა დავლიეთ, მეც მივუმატე და ისიც დავლიეთ, ორნი კი არ ვიყავით, ეგორს დავუძახე ცოლთან ერთად, სხვა კაცებიც მოგვემატნენ, ქორწილივით იყო! სიხარულით გადავირე, კარგი პიჯაკი იყო. ათი წელი მეცვა. აი, როგორი დედაბერი მყავდა. მაშინ ჯერ ახალგაზრდა იყო, მაგრამ... იცოდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მათ ხუთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდათ. სამი ამ ომში დაეღუპათ, ესენი კი ქალაქში დასახლდნენ. ბიძია ემელი-

ანი მარტოდმარტო ცხოვრობდა. მეზობლები მორიგეობით აკითხავდნენ, ღუმელს გაუხურებდნენ, საჭმელს მიაწვდიდნენ... ღუმელზე ეძინა, არ კვნესოდა, მხოლოდ იტყოდა ხოლმე:

– ღმერთმა დაგლოცოთ...

დილით მივედით. გარდაცვლილიყო.

დიდი მთავრის შესახებ ამდენი რატომ ამოვიწერე, თვითონ არ ვიცი. მინდა გონებას ძალა დავატანო ეს ორი ადამიანი შევიცნო და ერთმანეთს დავაახლოვო, რათა გავიაზრო, მაგრამ ვერ შევძელი. ერთი სადღაც პარიზშია, მეორე – კატუნზე, სათევზაო ჯოხით. ორივე ერთი ერის შვილია, ორივე დიდი ხანია მინაში წევს – უნიჭო გენერალ-ადმირალი და ბიძია ემელიანი, ყოფილი მატროსი. იქნებ, სადღაც იქ, შეხვდნენ ერთმანეთს? იქ, ალბათ, არც ეპოლეტებია და არც ძვირფასეულობა, არც სასახლეები, არც საყვარლები, არაფერი. ორი რუსული სული შეხვდა ერთმანეთს და ან რაზე უნდა ელაპარაკათ. ერთმანეთისთვის სამარადუამოდ უცხოებად დარჩნენ. დიდია დედა რუსეთი!

თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა

¹⁰ გუსიხა – სითხის საწყაო.

Шорена Лебаниże

ჩვენი უურნალის 2016 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნდა ფრაგმენტი შორენა ლებანიძის დოკუმენტური რომანიდან „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“. გთავაზობთ ამ ფრაგმენტის აფხაზურ თარგმანს.

ლდოკუმენტთე ароман „Манана Ануабб – лыткәара сынфажэижәаса мшы“

Шорена Лебаниże ლდოკუმენტთე არომან, Манана Ануა լыткәара ғынғажэижәаса мшы, апъцамთა შაგეითს იამოუპ, აშექე აფყრხათა ხადა ლჰეამთა, აკყртуა _ აპъсуა თააცეარა ირყირგაზ აკამეთრა.

Аთაბყრყირათე ასახვარყირალა, ახშევიშტრალა, აპერსონაჯკეა რყესიხოლიგიათე აილკაარე, იწყვარე, უცეაუთყვააუა ათორუთე ასიუჯე აენარა, ავტორი ალშარა լნათიოთ, აპъხავცეა 1990 შეკესათი აკყрტუაა _ აპъსუაა რყესაზაარა ციდალა დარა რხათ რალახეირა ალშარა. ახა იხახსი აშეიშვიკეა ანთცამთაზ არათე - აპოლიტიკათ აპროცესკეა უს ბაშა იფონნი იაცუ აშექე აქნი იეთახეოუ ახტის.

ავტორ ლილაპშ რხიუპ აპъსნი აშხარა რენი ითხაუ აშეან' ყითა ხუცა, კამან, აუახეამა, უახა აკამეტრათე ახტისკეა უცეაუთყვააუა აცცაკყირაკეა რყელა იმფაე წყვისა უახე. აპъხავები იდყრეით აუაა, ურთ იზყეშეაზ არყახა აუახუამა აქნი ითანაკით, ურთ რინასიყ ირნათ დაეა წყვეარაკ, იზყიდუ აპъსაზაარა აპოზიცია ალა, ახრაკყირა ჰმო აუახს იკაზშა იადაგილით.

ადოკუმენტთე არომან ახატკეა შეისახუ კულტურული ენა, ენცდერე ამჟირე რიმშალა.

Ишეიდახგალით ფრაგმენტ არი აშექე აქნითე.



Аиდაცეაჯეარა
- აეაგა ხთახხომ. აბახა ალაგე იმაე
რიანე იკახთიოთ, აურის ალექსანდრ
იახ იხე ნაირხეით დაუ ზეხუბა, ნას
აეაგა ნახ იშტეით, იმახუარკეა

ოხეიშვან, „Аргылафы“ ისახა, არგыларатე აკაზარა ალა ინაგჯა, ათვა
ზეგე ამრათშეარათე აგან აკეაკ აქნინჯა იახანას, ეშტარგыланы
იააირხეით ეიკეათეაზ, იკეამშეშის
ანყშე ახარკეა.

Ирласны, гэыкала аус руан. Иахбоит аёы шаанартыз итшөаз ахық. Хучы'хучы агылгдкәа, ииашаны иқәх ауан өңц ипъөз ақьашана ата ақнүйтө идыршөуаз аныш. Даур Зыхуба ақье ашана аганқәа еиха ибәбәз ашьақақәа рыла ицаиргәеит, имахәөкәа ықәырбәб аны инапы риашаны, иөыриашаны иөыштихит, афырхәа дынхыпъеит, иматәа иршәшәеит, шәаала хәа х аихәит. Ауахуама ахь ҳхынхәит.

Лашыцаран. Агалабахәаөцәа ртыпъ тынч иғылан, итацәза, ағышьаратә атыпъ ашә ақны иаркыз ацәашы иахылтцуаз амцабз цырцыруа иантъхалон ақәрышә зқәрышәйз, имтцысуаз ахәағштәы змаз апъыс ихағы. Ҳазааигәеит. Ашыл дылаххәит, хынты азал дакәхаршеит, ахы зықәшәа атыжқәа, асаркыа змамз акиотқәа таға икаһаз, Лускуым ацқыя иааиыкәрышаны икағысан. Нас адәахы дәыштәхтит, ауахуама хынты ҳакух аршеит аныш дахтит.

Ицәйлашон. Өңц иртәиз ақьашана аган ақны ҳшьамхышылгелит. Ацх тынч икан. Даур Зыхуба өымт дыыхәапъшуан, акыр инаскъамгакуа ихәарчаруаз аурыс Александр, уи атәымади, ажъаҳәеи сөбәй'хычқәак иманы, ақьашана ақны ацъар ақәрыгылара дағын.

— Аαι, аиашазы, — иаатыркъаны дале агит, — ишәгәаламшәајои абжъагасы адәахы ддәылзгаз? Иарбын еидцарас дызлахәэзи? Ипъшра шәгәалашәо?

Мап хәа схы аасыртысит:

— Зегзы еицизы ракәызшәа еипъшын. Ихы'иөы аалашьцеит. Имагә ақыышә ала адгыл ацәрыпъпра далагит.

— Егъаурым, — ҹыдала шәарт — ажәа шәыстоит сара схата дсыпъшааеит аб Андрия дызшыз, сара схата силгоит.

Сшәаны сыйниыхәағшит. Гүйтрае ак сыйжы атыгара сыйлимшеит, нас снапы насырххеит, сеилашит, акы иахәара сөазыскит:

— Ахы, иухәо закуи, ашьаура

абжъагасы ипъсы атынчра анатом, еиха иаңырхагахоит, иархынтоит. Ахырхәра азин ҳазшаз мацара иоуп измоу. Ҳазшаз инаигзойт ҳыхынты аиашара. Ҳазшаз дахыирхәеит. Ацәымб аразы ацәымбарала атак ақатара аб Андриагы ақәитра уитомзт.

Дысзызыөруан. Дхәыцуан. Саххәеит ихәеит иайлканы.

Еильскааит игәы итаз.

Зежә шықәса зхытцуаз ацкән қәыпъш иакәун. Аибашыра ианалага аены иянркны Гәдотатәи аштаб ахь днеит абъдар иоуырц азы, ацәгъара иақәшәаз ипъсадгыл излаилшоз ала дацхрапц азы, ихатәы дгыл, изыхъ, игәы ие анымкуа, нхыттынты ампытахалааөцәа анақәлаз, аба ируаа ықәихырц азы. Усө ҝан ар'апъхыагылааөцәа рыдцақәа рыла, агәыцьбара игәы иаанагон аба дызустаз идыруан ҳәа. Уажәы издыруамзт. Айлыө мкаара даргәақуан. Агәрамгара даршәон. Аиашара ашьақәыргылара апатос, иғәыхацара дажъон. Ихы итагыжъуаз азтцаара, атәыла ахакиттәра алоузунг ала еибытаз, апсевдо апатриотра идеология атә атәгәыр сағашәама, атынчра инә атомзт. Исләалашәоит ицәадытзызаауа абыыч еипъш, рыщашьараада ашья зәашы ишыны икаждыз абжъагасы ипъсыбаа данаҳуаңшыуаз. Ихылпәа ихыхит. Ихы лайркәит. Инацәкәа иззахаратә ацъар ахь инаиштит. Гүхынгә мза 3 рзы азы дзаахын Диодот ихъзартит, Гәдота ауахуама ақны. 4 рзы Каманка ажәылараз адца иоут. 5 рзы Гәымстә амчра зтахыз, ақәйлааөцәа, ихат'хатца ицәытаз ршьа ақатәаразы дыиасит. 6 зегзы бзианы икан. Иарбынзаалак зтаарас иқаз зегзы ртак мазеины иман. Акы азы ахәыцра иқәшәомзт. Ихала иалихыз аибашыра ақны агәрамгара имамзт. Аха гүхынгәын мза 1 азы еибашуаз иғызыцәа рыла еиларбгаз ауахуама ағналарты ашә ақны, еибашуаз рнапы ала иршыз аб Андрия ипъсыбаа ақны даннанага, иғәатцақа акы

аәәпбасхит, ихазхит, еиәкааз атасқәа ихаосхит, алогика - иабсурдхит, ишьата итыззант, адунеи гъажыит. Икалаゼи ? Иаанагози атәыла аәыхра..Атәым жәлар ракум, динхатцарактәи аешыцәа рыла, итахымкәа, имхәыцкәа акумкуа, иазгәатаны адоухатә уафы ишьра..Аба зыхъзыда..Аб Андрия..Иарбын дғылыз иихъчараны дықаз..Абжыагасы ишьала ишәхаз..

- Уи қалом, сзеиабшыум, - дгәакуан, - истахи ара? ..Сзыкеи ара ?.. Ари аибашъра акузым амчра ахархуара ауп ауафы ишьра...

Акаамет дақәшәаны дықан, игәүбра ицәүзны, дгәамтны.

Дтәан. Дхәыцуан. Иаразнак ихы дәахеит, алашыцара иацәахыз агәарп, ауахуама ахәаңштәи атызкәа, аңенц ышыр иаакыршаны азахуала иқатказ арқыақыақәа, ахаңә иалхыз ашәт ырқыақыақәа амра нақәпхеит. Акы ааे рпүшра атахызшәа. Нас ибжыл ларкәны даацәажәеит..

- Ихәдаңыл ахы аадырханза, ддыршьамхышылеит, иныхәара аан иаизтаазаап : “ахы абжыагасы, их аумхәо, изтәыда ари адгыыл агъсуаа раку акыртцәа раку..” Иара атак ритит” “Ари анцәа идгыл ауп”.

Дгылит, Александр аурыс аңвара ақатцара далгахъан. Итсауланы итае ртит анышәантра агтаө.

.Абзиараз, аехәшья Мария, - ..исеихәйт Диодот, - аштаб ахъ х хынхәыроуп уатәы ҳашәзааниеит.

●
Ашатб. Ахых. Акыта ақны еиө заз агъсуаа арратә рыштаб, ҳара х ағны актәи аихагыла ақны усқак ипхастамхаз ауатахқәа руак ақны аукн иахърымаз. Избан..Аргылара абеиара, апшұзара, атып ахықоу ҳақәыттырғызы, пхынгәын мза 5 икалаz ажәылара ахахә'ахаҳә ақны иаанамыжыит, дааре

аја иртәххаргы, зыбжак еиқәхаз ғнык ғъаргы ирзыпшашааумзт.

Каман иццышәхаз аргарақәа ркье ашана еиңшхит, иуағыдаz тыпхит, ипсыз қытахит, уақа агъстазааे ра хычы узырбоз, абзазара зегы ықәыззант. Ағны'агәар зегы ықәыззант. Аибашъөцәа зегы тахит, шыуокы..Ақәылара аан, апозициақәа рөы, шыокых'атқәара ианақәшәа аамыштахъ. 32 ркнытә 23 ғык аруаа рышьра, иблыз, иреаастаз агъсыбасқәа рзы ирзеиңшызы анышәынтра тыржааит. 23 ғык иршызы анышә иартит (чыдала Адам Гвичиани дрыцхаршьеит : иарб ы шыапы хәын, излаилшоз ала дахәагылан, ихатәи фырхатцарапеи, иғәымшәаралеи дыңаҳшыон, пату иықәхтәит рхәон агъсуаа) . 9 ғык тынч иалыргеит. 32 ғык зустацәаз ыннысө ыпти, изыз рышьатеи ахыннатә изустаз шыақырыгылан. Зегы, ажәи ида. Уи азәк сара саб Иури Ануя иакун.

Дабаргеи ? Изыруи ? Изакәытә хароуи иқәырытаз? _ амш зегы абарт азтцаарақәа схы итагъжыуан, өымтзакәа, ессы минут акы сазбышын, сыйалцәнтаа цыпхъяза сыйтрисны сае апшуан, сшыапы сыйқәгылон, издыруе ада шақа мшы тыз смыцәакәа ацх схазгоижътеи абас гәатеирала. Сыхәцә икылагылаз ахъаа цәгъала исхызгон. Снапқәа сфон. Сан даасырпүшыр хәа сшөон. Аха исыздыруам лара лхата дыцәазу?

Ибгәаларшәа, ибгәаларшәа хәа схы иасхөон. Уажәштә бхынхәйт. Амаң'сачгы зегы бгәаларшәа. Блахынцаратә минутқәа рыпсы рхатца, ауахуама ашә апхъа иғоз амагәкәа, атачкәымкәа рыбжыы анбаҳауаз, баб абжыагасы иаразнак дихәапшит, ақәшаҳатра аниоу аамыштахъ ағнале арта ахъ днеихан, ашә ааирит.

Ағнұтқа иғнамлит. Аигә'сигәа акырызбон, ақәыцма аштәкәа реиңш баб

икәшаны дырkit. Равтоматқәа зегыы ирмазеины иркын:

-Унеи, унеи ушьапы еихыга! Уласы схәйт!

Сыблақәа алашыцара рхылит. Зегыы еилахәеит. Ақәаара. Ақәыжра. Ахәара. Ахатәы ахәара:

-Дныңәа, дыпшыа, аб Андриа!

-Анцәа уихъчаит!

Итабуп, абжыагасы! Апшыара дахъзейт, илахь - ицымшь изатәйт, абцыар ақәыркыя ала иааинсуан блак змаз Иури Ануа иган дкарыжъаанза. Ааи ддырөаастеит. Иөы азганк ала ибла ацәа еидчабалон...

Ибгәларшәа, ибгәларшәа! Бхы ағынаабгаша баштыла, хәыцrala, хшыфла базней, былагүш ихыга баб!

Ашә нхыт анақә хын. Ажәсан ашье апы ала илыбаазшәа акун ишилақыз. Ақәаршың үәзәа леиуан. Ақәа илалаз ицент. Иури ануа иштыта аанды ақны иштабеит.

Дабаргеи: агра змоу ауаа уаанжатәи рхытәахырта ахь аума, Гәымста афхад ахь? Иzzакуи: дыршыразы аума, иае зтаарц аума, Гәдотатәи аштаб ақнитә адтца роуаанза мазала абаҳта ддтәе ркырц акузар? Иури Ануа ауағышасса иаанкылара ртыхызу, ма ршыа рур азы дыргу?

Базхәыц, хшыфрада базней, аихшыала азуы! Зегыы реиха ибзиоу, аха усқак ииашам аверсия ала балага. Базхәыц, иқалит ацьашыахәра, доурыжъит. Иқалар қамлози, хзыхъчо дикәшәар? Изықамлози. Аха ихылти -иңхәыси аанижъуазма.? Даурыжъизтгы, ибжыы мыргакуа иуомзт?

- Елкаарап сый Диодот...

Диодот өитуамзт. Атыхәтәантәи аамтазы зынза өитуамзт. Дхәыцуа илахь ишшүуан. Адашьма илајш ахыигомзт. Сара сыбла дыхпышломзт.

- Ибасхәари, аехәшья Мария...

Иххәарызи? Иури Ануа иштыта

апсцәа рыкынгы имбит, аицинхарта, уажәы атакырта ахь ииагаз илашыце аза иқаз ақны, ағын атқа'абункери, Гәымста ағықә абна'аршырагы, уи зегыы хәыца-хәыца еимидеит, кәакък аанимыхыт. Аруаа зегыы драззаит. Ақыта зегыы ааирхәйт. Акгыы илыө мшеит. Ажәылара қазтаз реихарае сый Каман аанрыжъхан. Иаанхаз ма ақгырыздыруамзт, ма аиаша ахәара ақнитә рәааныркылон. Избан? Иури Ануа шытамтада изра цыара мазае рак азы иртыхызтгы аруаа? Избанзар аруаа иртыхын, ирыщеибышьуаз иқае рцаз ацәахра азы акум, рхатәи цәа аиқәирхараразы Иури Ануа ихыз табу ақәирцарц азы акузар?

Амаңа аилкаара ! _ схы интагъежыт иаразанк.

Абар ағыц амзыз. Абри азы сыпсынхар ауп.



Шыжъбзия аехәшья Мария !

- Мшабзия Диодот!

Өыц игылуаз амра ашъха акалта ақнө ынза имнеицизт, аха Даур Зыхәба инапы макәан хұчық аркны дахтааит. Хаки апштәи змаз абжыцқәа зынз арратә ииқәеи , хыхь ацәахәа еңәакәа зылгаз гимнастеркаки ишәын. Ауки иакун, изынпүшүлөз, уағы еиқәак. Илахь лашаңа, ибла тыччауда, ихы иөи ииашаңа, ипшүзәа. Ихы иөи ипшүзәа ықәышәшөөн. Ихылжәоз ихахәи еиен лапбата. Ихылжәоз ихыхит. Ихылжәеи, иабцьари адәахыы иаанижъуан, ағналә арта ақны.

- Шәышпәкоу ? Зегыы бзиоу ?

- Ааи, хар ҳамам. Уара уаҳзаае згей, Диодот ?

Апшырса ахь сааңза, саакыдгылит, шыжъхъя шәзаазгит, - ииқыз иамакәан ақнитә аконсервтә банкеи, ачасақәеи, тәақәаки аишәи иқәитцит. Иара ихәта айсыз аконсерв. Иара ача өатца. Ҳара

хгәарпә ақны иөыхыз атәа.

Итабуп, Диодот !

Изакәйтә хытәйгәзы имаз аңсуаа рлашарбага, 19 шыққаса зхытаз Афон өңтәй Даур Зыхуба. Дыхәчы'дду зегын уи изы иныхәон. Иңшра азы, аетәахәи чкән хәа иштән, ишықәс амачра азы, раша еитба еипш ихылапшуан. Рыбла дыхшәылар, дхыргомзт.

Акгы, аеҳәшья Мария...Ибыруоу? .. Издыруан иңыба ақны аңарқәеи, аныхақәеи тәахны ишимаз. Аңсуаа рыштабс иқатданы ирымаз зытуан алә ыңрны иқаз, атызқәа былны, адашье ама ақны маңала еизигаз иңыхашәаз зегы, ақәаршығқәа, аңхынта амш'ашоура, анахь арахь ихатхатуаз аруаа ирцәйнхаз.

- Ашәкәкәа аазгаргы стахын аха...

- Сыбла иаахгылит атзы икүйдүрөз ақны иатражыз абиблиотека. Иае акыршаны ана ара икажыз атомкәа. Иңөөз аңенцыр ҆еҳақәа иырлажыз ашәкәкәа, урт зегы атыхәтәантәи рыпсы рхыргон. Аңаахәақәа рыжъара амистика еипш узыпхъоз ажәақәа шье тәмтада изуан. Еибгазшәа ирбоз зегын рықәгареи, рыпјереи иағын.

- Еибуп аныхақәеи, аңарқәеи ауахуама ақны ишәтәахыр. Ағыны ааныжъра иаңсам. Ағыны.

Харт "ағыны" уажәы ауахуама ақен. "Харт" уажәы сани сареи ҳакун. Зны Иури Ануя иөны зыхъзыз инхоз руқһытә иаанхаз, зқыла ихәыз ажәсан атақа, еиларбгаз ағналарта ахъчон, ағых аалал бомбора ахъчала.

Ибгәалашәо? Сара схы сазтаауе ан. Агәарпә етәа. Агәилшәт ҆шәтәи рацәала исычаз абаҳча. Ашәыр зәаз атлақәа. Агамак. Ишәыз ашәыр иакәшаны бызззы хәа зыбжы гоз ашьхақәа. Абұыщқәа рыжъара ирылпхъаауз амра ашәахәкәа. Иараे знак амца, ақәа, анақәа, схатәи бжыы,

уи слымха тнашыаауан: "Араб, Апә пачи"...

- Ала атәи акы соумхәо Диодот.

Ихәараны иқази? Даур Зыхәба аңыпшырта ақны данықаз игәамтны иқаз ахъчала, азыршы ақәиртәазшәа ихәытығорит, зыбла хәыттареыз аруағы иңхарп иғәидлеит, аштахытәи ашьапқәа ирықәгыланы ижәсаҳыр иае сит, тақа дканажыит, зны имахуар аkit, нас ишьапы ахабыцқәа алане атит? Убри иңәар акузма.

- Исызхатом , уамашәа избит.

- Ишпә? Ахумарра бзия избоз х ладу, иахъанза аңырғалыкъәеи, апә альма адацқәеи иракәпәоз, ацхашья зыхъзыз ззымдыруа, ахаангы азәи акы зызнамуыз, уажәы иаразнак ауаа иргәидло иалагама? Избан ?

- Ишпә, иззакуи хәа? Хәаре ада уи аңыз аңжыи, амагә шье ти, аибарқаареи рыла итәин. Иахъынапшлакгы, зехъынцъара иае зымдыруа, рыпты рәарбаба, рылахъ еимарцыхә, иғәааны иқаз аңшракәа абор, ақышәкәа, урт адта қатара акун ирылшоз...Еее...ессые минут, азыпшра, ағәыбрәкәа аңызны, иғәақуа аңшаарала итәин. Иазгәакъаз ауаа рыгагақәа иаштаз, Араб аңсае ра зламз, аңшаара иағын. Иабаеци ? Иабаизи? Ихынхәызар ? Ахыы абар ихынхәйт...Игәатениуа, иғәамтца, быжъ хычык азгы алымхақәа къацәхон, ағәырбара уната иуывагыжъуан, нас аңжы рпаны ашра иалагон, нас илатуааны ашә икылжъон, адәяхы ахы еипш иқелон, иаақәымтзакәа ихагыжъаауз атып азыпшашааумзт, зны агәашә ахь инеиуан, нас шытакъа ихынхәон, нас угәы уәанымкуа иудәжалон, угәы цон, еитах афра иалаге он. Агәарпә, ауадабжъара, ауатахқәа... Иабақаз? Иабаизи ? Еитах агәарпә, ағнаңхъеи. Еитах ауадабжъареи, амае рудани, еитах, еитах... нас акгы.

Ушьапы иакырашаны иаватәоуп нас ақеақәа умагә ашхәа аархара ауп. Атачәым. Икаая абжықәа, нас...

Игәамтны иқаз аруағы алах абцъар адкыланы деихсаңза, мачк иаангылे ит, ахадың хырғызыңра иақөйтит, нас ахы штнахит, игәрыро абжы нтнагеे ит, азы зхыз аблакәа, ауағы игәақрала, ирыңханы иниғағшит, аштахътә ашьапқәа инрықтәеит, нас...

- Апхъатәи ашьапқәа рыла ахағы атәахит, - иихәоз далгейт Диодот.

Сыбжы мыргакәа сихәапшит ұхынгәын мза 4 сгәалашәит.

Амаңара иаансмыжыр акун, - саҳәыцит, - зынжа амаңара иаансымжыр акун. Схынхәит азал аштахъкала, сгәенгәеиуа, атзы ақны иғылаз ақеардә ақны мчы сымамкәа снықтәеит.

●
Диодот аб Андриа иитәиз, ахәамтаңшы истит хамтас, ацара дың цақуамзт.

Акы басхәар стахуп - ихәит.

Ихәлон. Иуымбоз ақылтәарақәа рықытә иғнаңхоз агадақәа, ауахуама иғныңханауан.

Иаразнак ахыс бжыя геит. Автө оматтә абыжықәа, атрилернатә ағәр иаңсаҳит, азал афосфор ұштәыла иаалашеит. Нас ақашь иаңсаҳит. Ақәыңшыра зқыла еиқәышеит, ажәсан ахракыра улымха тызшьаауе аз абжыла ипжәеит. Зсаркья ұғызы апһенцыр, иғнализ ашьацма еиңш иқапшит, инаскыаганы ибылуаз амцаң атжамц инадыңхалит.

Иаразнак аган ахь сыйасит. Иазгәатаны, сыммә ақны ипжәаз аборба, ацпхъкәа, арпхәагақәа, ахысрақәа зегы сывызгарц азы, ааи аиашазы агәра згон, ашьамақатә азенит аборбақәа, амчрақәа зегы зхы иазырхәаз артилерия сара исыққызышәа. Имаңыз, ма идуыз арпхәагақәе,

ахысреи ауахуама ағналартә ахь ирхан, уақа арратә аманеврқәа ианрылагоз ҳарт уақа ҳахтәаз атып қакун.

Шәтып шәымпұсахын, шәымтасын. Баанғыл бахыыкоу, сыңыс хәычык иансу Диодот ибжы сахаит. Ашәартә ххысит. Аха ахая ақны абылтәы ағғыс гылан, минут апхъа имбапшысыз апхәарақәа рымшала адғыл тысуан, аргылара тыс'тысуан, ихы лаирқәйт, ихыиғи инапы ағыриkit, ма ухәда унапқәа акуршо, аха аинстинкттә ичидоу атсыарқәа, насғы анеиаане ра занза иқаумттар ауп. Еилыбкаа? Аехәшья Мария.

Еилыскаит, Диодот.

Мачк ғымт ұғылан.

- Аа, аиаша, - атыхәтәаны исгәалашәеит, - акы ухәар утахын. Ихы иөы аахәашхит, дааитцағәбәеит.

- Сызлалагогы сыйзыруам, ааे рлаха еилукааратә ақы ааиҳәит, макъана имызбызышәа, ихәаша изыеикәыршәару, илшару, - ибдүруоажәйтә хтысуп. Ҷасла исхаштыр акун, иағсхаштит, аха шыжы инаркны ұссақа снатом. Сыңыс снаршын. Сылә амис иауам...Ишпабасхәари...Гәдотатәи абаҳта сыбла ихғылоуп. Ашья. Апхъзы. Асада. Ҷақа икажызы ауағы ұшра змамз куацк хәтә кааметк, игәигшәыгхаз ауаа рыгәта иштаз, ихы иөы зегы ишьаартәыраха, ибсақәа ұыххса атәқара иақәшәаз ақыртуа аруағы, уи...- даане гылит, апхъзы зықтәаз илахь ишәйз иғие мнасетрка ала ирбеит, ибжы ұсахны дналагеит, снаскыаганы сиыхәапшуан. Избоит рыхашьара рымамкуа дзырпхоз. Рышапы атақа дқажын. Әата'ғаңда деимырхъян. Арыцха уи ағагылара акум, инацқыысцәкъя изыртасуамзт. Мчы змамз, ишәиз кәйіжә'кәйіжә, ақды еиңш адғыл дыққажын, ихағы еилыб ыраауан. Ипхъез ипхынтеи, ихыңыцқәеи рыхнитә ашья иәашы илеиуан. Амч зегы рыла иаархаз амагә ашхәа

иқыры бүжбы аатнагон ауп. Дыңсы дыбазаха дкажын дымтсыса. Зегбы акы акун иаакөымтәзакә исуан. Ршье апы, ртачкәым, ашәақшыхәала. Инапы иха иакыршан, ижәфәкә еитцакы... "узихәапшүеи? " ибжбы нсықәиргейт азәи, "угыланы уихәапшүеит, унеини дзыумпкои ? унеи уиыс, ибәбәаны уиыс, ипсү тыршә, агәымха, алахша" аи, аи, рыбжыкәа неиларпүсит егыртгы, "уае аскъя! утсы! иумаҳазеи иуархәо? " Исе ылшом сара. Убасқан еилагеит. Икәаая иаасыкешеит. Рхы рәи еицақхалит. Рыблақәа қапшышьза икан. Ажъақәца пүштәи рәатәаны. Рыхәда адақәа рғыланы. Апхұзы рәашы. "Уара ажәфан ақнитә улбаама!?" Рхаптықәа ағәирытгон, "улымхагы иамахаци дара иқаे ртцо? " Рызегбы еицәажәон, лағышыла скылыртқөон, зқыла зхаттара цәгъяз, өйла иузымхәоз, акааметракә зегбы абираЊ қапшы еиңш идышшәуан сәаңхъя "аҳәксә амш рылыргоит, иуах ауоо? Нас амца рдиркны амашына акуркәа ирыдәхәаланы, гәәкрана иршье оит, нас амшын иартойт. Зәа зтәым рымгәа ғыржәоит, рымгәа итырго ахылт, өңи ииыз апшқацәа атәи иахартсоит еилукаа! Ауаа ракуәам, архәацәафқәа роуп, ала аапккәа, ахайуанқәа..." Амца сөыхкьеит, сыхшығ лашьцеит. Сгәи сыхәда инытагылит. Сыбла ақәысра сахымзакуа, адгыл ақны еикуацәашо иштәз сидғылит. Сшыапы дәйкәстит, ахы иуоит! Уух уара уух, ари амш злыжәгаз хахәшшәеи, ханацәеи, хапхәсакәеи рзы ауп! Зымгәа ғыржәжәаз зәа зтәымз рзы! Атәи иахаштәз апшқацәа рзы! Итахаз абызцәа рзы! Ижәблыз ақытакәа рзы! "Убас, аферым! Уиыс уиыс итегбы уимеек иғзан!" Ухы ухызхашаз абыжыкәа рыла сгәи шытырхуан... Иаразнак дтынчхит, ихы инапы атсаиргәеит.

Уажәи агәра зымгеи, ихәит атыхәтәан, ииашоуп ауасы иғенахара сыйқәым, макъе

ана азәгбы дсымшыцт, аха зегбы акоуп азәгбы иацкыыс сеибым.

Сихәапшит, даараذا дрыщхан, арқыиара даштын. Абжыагафы иқыштәи ана ақны имацара аанхара идыслалит.

- Уца, Диодот, уиацәажәа, угәыхъ иахәа, угәақра ауаз еиңш иахәа, агәра згоит уи уартынчоит.

